

F-244
1997

ISSN 0868-4537




საგარტაღი

პრაქტიკა • მაცნეორება • ჯუღლიცინსტიკა

3-4
1997

IUS
TBILISI - GEORGIA



საგარტო

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 3-4

1997

მარტი-აპრილი

თბილისი 1998 წლიდან

პრაქტიკა ● მეცნიერება ● კულტურისტიკა

მთავარი რედაქტორი
ჭურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

ჯამლით ხაზილაშვილი
გილა ბაქაძე
(მთ. რედაქტორის მოადგილე)
ვლადიმერ პარტაშვილი
იოსებ ბაჩიაშვილი
ოთარ გამყრელიძე
ჯემალ ხანოქია
ამთანდილ დემეტრაშვილი
ბესარიონ ჯორიძე
გივი ინჟიერაძე
მზია ლეკვიშვილი
ნოდარ ნებიერიძე
თევდოზ ნინიძე
ნიხილ საბაშვილი
გიორგი ტაყაშვილი
მინდია ურბანელიძე
შალვა ჩიკვაშვილი
ლადო ჭანტურია
სერგო ჯორბანაძე

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებლები არიან: ჟურნალ „საგარტოს“ რედაქცია, საქართველოს იურისტთა კავშირი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო.

მკითხველთა საშუალებად:

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მახალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვაწოდეთ მისამართით: 280046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.
ტელ.: 99 02 45, 98 41 50, 99 51 01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია: 0880. ინდექსი 76185.

ფასი 2 ლარი.



საკიეხელი

კონსტიტუცია	
გიორგი კვერენხილაძე — კონსტიტუციური კონტროლი საზღვარგარეთის ქვეყნებში (მოკლე მიმოხილვა)	3
პრაქტიკა, წინადადებები, უწინაშეობა	
ნინო შარაძე — „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე რაიონულ სასამართლოებში საწარმოთა რეგისტრაციის პრაქტიკა	9
მიწა და საგარეო	
აკაკი ლაბარტყავა — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის სისტემატიზაციის საკითხი	15
ადამიანი და ცხოვრება	
ინგა ბულაღური — გავრცელების პრობლემა თანამედროვე სოციალურ ფილოსოფიაში (ე. ფრომის მიხედვით)	18
თვალსაზრისი	
ზურაბ დგებუაძე — სიკვდილით დასჯის პრობლემები	24
სისხლის სამართალი	
მარინა კვაჭაძე — ადამიანის ფსიქიკის უშიშროების და ხელშეუხებლობის სამართლებრივი საკითხები	31
აფთხაძე კახიაშვილი — უდანაშაულობის პრეზუმფცია სისხლის სამართლის ალტერნატივის სტადიაზე	39
მზია ფალავანდიშვილი — სხეულის განზრახ დაზიანების მაკვალფიციტრებელი გარემოებები	47
ეპლეზია და სამართალი	
ქეთევან საგინაშვილი — საეკლესიო სამართლის წარმოშობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა	55
ილია ჭავჭავაძე — 160	
ალექსანდრე შუშანაშვილი — ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და სოციალ-დემოკრატები	59
სამართლის ისტორია	
ბიძინა ნანობაშვილი — ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი კახეთში	65
ინფორმაცია	
გელა ბერძენიშვილი — მოსამართლეთა კონფერენცია	71
იუბილე	
გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე	73
გიორგი ნადარეშიანი — იურიდიული ტერმინი „ნაშენი“ და მისი მნიშვნელობა	76
შესანიშნავი სპორტსმენი, იურისტი და მოქალაქე	80

რედაქციის მისამართი: 880048, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80.
 ტელ. 99 02 45, 98 41 50, 99 51 01

გადაცემა წარმოებას 20.12.96 წ., ხელმოწერილია დასაბუთებლად 16.04.97 წ.,
 ფორმატი 70X108/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7.
 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 432. ტირაჟი 500.

საგამომცემლო პოლიგრაფიული კომპლექსი „სამშობლო“,
 თბილისი-880096, მერაბ კოსტავას 14



გიორგი კვეციანი

კონსტიტუციური კონტროლი საზღვარგარეთის ქვეყნებში

(მოკლე მიმოხილვა)

46997

1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციის პროცესმა ნათლად წარმოაჩინა საკანონმდებლო ვაკუუმის არსებობა მთელ რივ საკითხებთან მიმართებაში. საჭირო გახდა ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის დამყარებას. ამჯერად შევეხებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, რომლის ეფექტიანი საქმიანობაც, ჩვენი აზრით ხელს შეუწყობს საქართველოში სახელმწიფო მექანიზმის სრულყოფას და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესს. საქმე ეხება სახელმწიფოში ისეთი განსაკუთრებული ორგანოს ფუნქციონირებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ გაითვალისწინა სრულიად ახალი ორგანოს – საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნისა და ფუნქციონირების საკითხი. სწორედ ამიტომ, აღნიშნულთან დაკავშირებით, საჭიროდ მივიჩნიეთ საზღვარგარეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების პრაქტიკის გაანალიზება.

ცხადია, ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ საზღვარგარეთის ქვეყნებში კონსტიტუციური კონტროლის ყოველმხრივ და სრულ განხილვაზე. მიზნად დავისახებთ ზოგიერთი პირადი მოსაზრებების ნიშნის ქვეშ ამ ინსტიტუტის ორგანიზაციის, კომპეტენციისა და საქმიანობის ძირითადი მომენტების წარმოჩენა.

კონსტიტუციური კონტროლი მიეკუთვნება სახელმწიფო სამართლის იმ ინსტიტუტებს, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე აქტიურად მკვიდრდებიან სახელმწიფო მმართველობის სისტემაში. თუ XX საუკუნის დამდეგს ეს ორგანო გარკვეულ პოლიტიკურ როლს მხროდ ამერიკის შეერთებულ შტატებში ასრულებდა და უცნობი იყო ევროპის უმეტესი სახელმწიფოებისათვის,¹ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. დასავლეთ ევროპის მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა დააწესეს კონსტიტუციური კონტროლის ორგანოები. ამასთან, ეს კონტროლი სხვადასხვა სახელმწიფოებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ფორმებში ხორციელდებოდა², თუმცა მისი დანიშნულება და მიზნები ყველასათვის საერთო იყო. ამჟამად კონსტი-

¹ ევროპაში პირველი საკონსტიტუციო სასამართლო შეიქმნა ავსტრიაში 1920 წელს მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე, რომელმაც მალე შეწყვიტა არსებობა და მხოლოდ 1945 წელს იქნა აღდგენილი. ევროპაში ამ ინსტიტუტის მასიური დაფუძნება ორმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო.

² დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში კონსტიტუციური კონტროლის ინსტიტუტის დასახელებსათვის იყენებენ ტერმინს „კონსტიტუციური იურისდიქცია“.

საპარლამენტო
ბიბლიოთეკა

ტუციური კონტროლის ინსტიტუტი აღიარებულა თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის სახელმწიფო სამართალში და იურიდიულად გაფორმებულია მგორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღებული ე. წ. „მეორე თაობის“ კონსტიტუციებში³.

ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, კონსტიტუციური კონტროლი ნიშნავს საკანონმდებლო აქტის ქვეყნის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმებას. ამ კუთხით იგი ამართლებს დებულებას, რომ კონსტიტუციის ნორმებს უმაღლესი იურიდიული ძალა გააჩნიათ სამართლის სხვა წყაროების მიმართ და რომ სახელმწიფოში სამართალშემოქმედებითი საქმიანობა უნდა წარიმართოს კონსტიტუციასთან მკაცრ შესაბამისობაში⁴.

კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა ფორმები და სახეები

საზღვარგარეთის ქვეყნებში გვხვდება კონსტიტუციური კონტროლის განმარტორციელებელი ორგანოების ორი ძირითადი ფორმა: სასამართლო და არასასამართლო ორგანოები. პირველ შემთხვევაში კონსტიტუციური კონტროლის სუბიექტებად გვევლინებიან მხოლოდ სასამართლო ორგანოები, რომლებიც, თავის მხრივ, ორი წახისაა — საერთო და სპეციალური. ქვეყანათა ერთ ნაწილში კონსტიტუციურ კონტროლს ახორციელებენ საერთო იურისდიქციის მქონე ყველა ინსტანციის სასამართლოები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის უფლება მინიჭებული აქვს მხოლოდ უმაღლეს სასამართლო ინსტანციას (მაგ. აშშ, მექსიკა, დანია, ნორვეგია, იაპონია). არის ქვეყნები, სადაც კონსტიტუციურ კონტროლს მხოლოდ უმაღლესი სასამართლო ახორციელებს (მაგ. შვეიცარია, ირლანდია, ინდოეთი, კოლუმბია, ვენესუელა). ზოგიერთ ქვეყანაში კი შექმნილია სპეციალური კონსტიტუციური სასამართლო, რომელიც განცალკევებულია სხვა სასამართლო ორგანოებისაგან (მაგ. იტალია, გერმანია, ავსტრია, ესპანეთი)⁵.

ზემოაღნიშნული სახესხვაობებიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ იმ თავისებურებებს, რომლებშიც მოქმედებენ კონტროლის სასამართლო ორგანოები სხვადასხვა ქვეყანაში, შესაძლებელია გამოიყოს ორი ინსტიტუციური ფორმა, მოდელი კონსტიტუციური კონტროლის სუბიექტებისა, რომლებისკენაც მიისწრაფვიან ქვეყნების ესა თუ ის ჯგუფები. ესენია: „დეცენტრალიზებული“, ანუ ამერიკული მოდელი, რომლის დროსაც კონტროლი ხორციელდება საერთო სასამართლო სისტემის მიერ და „ცენტრალიზებული“, ანუ ევროპული მოდელი⁶, როდესაც კონტროლის უფლება მინიჭებული აქვს სპეციალურ საკონსტიტუციო სასამართლოს.

რაც შეეხება კონსტიტუციური კონტროლის განხორციელების არასასამართლო ფორმას, ამის კლასიკური მაგალითია საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭო. იგი შეიქმნა 1958 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ. საკონსტიტუციო საბჭო აღჭურვილია კანონბრექტების შემოწმების უფლებით (ე. წ. წინასწარი

3 «Современное буржуазное государственное право. (Критические очерки)», Часть 2. Основные институты, М., 1987, стр. 294.

4 Боботов С. В., Конституционная юстиция, М., 1994, стр. 6.

5 «Государственное право буржуазных стран и стран освободившихся от колониальной зависимости», М., 1979, стр. 163.

6 «Современное буржуазное государственное право. (Критические очерки)», Часть 2. Основные институты, М., 1987, стр. 299.

კონტროლი), მათ შორის ისეთი კანონპროექტებისა, რომლებიც მიღებულია მაგრამ არა პრომულგირებული⁷. გარდა კანონპროექტებზე კონტროლისა, ფრანგული მოდელი იხილავს პოლიტიკური ხასიათის საკითხებსაც. მაგალითად, წვევს არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარების სისწორეს, წარმოადგენს დასკვნას სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ, ადგენს პარლამენტის პალატების რეგლამენტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან და სხვ. ფრანგი მეცნიერის მ. დიუვერჟეს აზრით, საკონსტიტუციო საბჭო არის ორგანო, რომელიც ახორციელებს პოლიტიკური ხასიათის უმაღლეს იურისდიქციას.⁸

კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა ფორმირების წესი

საზღვარგარეთის არც ერთ ქვეყანაში კონსტიტუციური კონტროლის ორგანოების ფორმირება არ ხდება არჩევნების გზით. ამგვარი წესის ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ კონტროლის არჩეული ორგანო არ გახდეს პარლამენტის მნიშვნელოვანი „მოწინააღმდეგე“⁹. ამიტომ, კონსტიტუციური კონტროლის ორგანოების თანამდებობები კომპლექტდება დანიშვნის პროცედურით. განსხვავებენ კონტროლის ორგანოთა ფორმირების პროცედურის სამ სახესხვაობას: საპარლამენტო, არასაპარლამენტო და შერეულ ფორმებს.

კონტროლის ორგანოს ფორმირების საპარლამენტო პროცედურას მიეკუთვნება გერმანიის კონსტიტუციური სასამართლოს დაკომპლექტება, რომლის 16 წევრის დანიშვნა ხდება ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის მიერ (შესაბამისად 8—8 წევრი). კანდიდატის არჩევისათვის საჭიროა ხმათა ორი მესამედი.

კონსტიტუციური კონტროლის ორგანოს ფორმირების არასაპარლამენტო წესი მოქმედებს იაპონიაში, სადაც სასამართლოს 15 წევრი ინიშნება მინისტრთა კაბინეტის მიერ, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარეს ნიშნავს იმპერატორი, მინისტრთა კაბინეტის წარდგინების საფუძველზე. დაახლოებით ამდაგვარი აესპანეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების მექანიზმიც.

კონსტიტუციური კონტროლის ორგანოს ფორმირების შერეული პროცედურა გულისხმობს დანიშვნის პროცედურაში ამა თუ იმ ფორმით პარლამენტის მონაწილეობას. აშშ-ში სენატი უფლებამოსილია თანამდებობაზე დაამტკიცოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული უმაღლესი სასამართლოს წევრები. უთაწმობის შემთხვევაში სენატს უფლება აქვს უარყოს პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატურა და თავად შესთავაზოს პრეზიდენტს მოსამართლის ახალი კანდიდატურა.

საფრანგეთში მოქმედებს საკონსტიტუციო საბჭოს წევრთა „პირადი დანიშვნის“ პრინციპი: რესპუბლიკის პრეზიდენტი, ეროვნული კრებისა და სენატის თავმჯდომარეები 9 წლის ვადით ნიშნავენ საბჭოს სამ-სამ წევრს, რის გამოც საკანონმდებლო ორგანოს „რიგითი წევრები“ კონსტიტუციური კონტროლის ორგანოს ფორმირებაში მონაწილეობას არ იღებენ. საბჭოს თავმჯდომარეს თავისი სამეუღლიდან ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი. გარდა დანიშვნითი

7. პრომულგაცია — პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ოფიციალური გამოქვეყნება სახელმწიფო მეთურის მიერ მისი სანქცირების შემდეგ.

8. Серебренников В. П., Конституционное право Франции, Минск, 1976, стр. 172.

9. «Современное буржуазное государственное право (Критические очерки), Часть 2, Основные институты, М., 1987, стр. 298.

წევრებისა, საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს შემადგენლობაში თავისი უფლებებით სამუდამოდ შედიან რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტები. ანალოგიური პროცედურა გამოიყენება იტალიისა და ავსტრიის კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა ფორმირების პროცესში.

კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა კომპეტენცია

კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა უფლებამოსილებების წრე საზღვარგარეთის ქვეყნებში შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად:

- ა) კონტროლი ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე;
- ბ) კონტროლი სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებებზე;
- გ) შიდაფედერალური კონფლიქტების განხილვა;
- დ) სახელმწიფო ორგანოთა შორის კონფლიქტების განხილვა.

გარდა ამ ძირითადი ფუნქციებისა, კონსტიტუციური კონტროლის ორგანოები ზოგიერთ ქვეყანაში უფლებამოსილი არიან განიხილონ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ მიმართული სასამართლო საქმეები და სხვა საკითხები, რომლებიც გამოვყავით ფრანგულ მოდელთან დაკავშირებით.

როდესაც ვსაუბრობთ კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა კომპეტენციაზე, მნიშვნელოვანია საკითხი დავის აღძვრის უფლებამოსილ სუბიექტთა შესახებ. ქვეყანათა ერთ ნაწილში პარლამენტის მიერ მიღებული კანონების კონსტიტუციურობის თაობაზე დავის წამოჭრის უფლება მინიჭებული აქვს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს (ორპალატიანი პარლამენტის შემთხვევაში — პალატების თავმჯდომარეებს). ამგვარი წესი გავრცელებულია საფრანგეთში. იტალიის რესპუბლიკაში დავის წამოჭრის უფლება გააჩნია მხოლოდ მთავრობას, გერმანიაში — მთავრობას ან ბუნდესტაგის დეპუტატთა 1/3, თურქეთში — რესპუბლიკის პრეზიდენტს, წამყვან პოლიტიკურ ზარტიებს ან პარლამენტის რომელიმე პალატის წევრთა 1/6¹⁰.

ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობაზე კონტროლი შეიძლება იყოს წინასწარი და შემდგომი.

წინასწარი კონტროლის კლასიკური მაგალითია საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოს საქმიანობა, რომელიც უფლებამოსილია საკანონმდებლო პროცესში „შეიჭრას“ მის სხვადასხვა საფეხურებზე, განიხილოს და წარმოადგინოს დასკვნა, როგორც მთლიანად კანონზე, ასევე მის ცალკეულ დებულებებთან დაკავშირებით. 1958 წლის კონსტიტუციის 61-ე მუხლის მიხედვით „ორგანული კანონები გამოქვეყნებამდე, ხოლო პარლამენტის პალატების რეგლამენტები ძალაში შესვლამდე წარედგინება საკონსტიტუციო საბჭოს, რომელიც გამოთქვამს აზრს მათი კონსტიტუციურობის შესახებ“¹¹. ამრიგად, საქმე ეხება წინასწარ, პრევენტიულ კონტროლს, რადგან „დაუშვებელია არაკონსტიტუციურად გამოცხადებული დებულებების გამოქვეყნება ან სამოქმედოდ შემოღება“¹² (კონსტიტუციის 62-ე მუხლი). აქედან გამომდინარე, წინასწარი კონტროლი ხდება საკანონმდებლო პროცედურის სავალდებულო (როცა საუბარია ორგანულ კანონებზე) ან ფაკულტატური (ჩვეულებრივი კანონების მიღებისას) ეტაპი, მისი შემადგენელი ნაწილი.

10 Нудель М. А., Конституционный контроль в капиталистических государствах, М., 1968, стр. 127—129.

11 ა. დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, თბ., 1992, გვ. 148.

12 იქვე.

შემდგომი კონტროლი ვრცელდება პარლამენტის მიერ მიღებულ, სათანადო წესით გამოქვეყნებულ და ძალაში შესულ კანონებზე. განასხვავებენ მის ორგანოებს: კონკრეტულსა და აბსტრაქტულს. კონკრეტული კონტროლის დროს საკითხი დგება, განიხილება და წყდება მხოლოდ კონკრეტულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით. კონტროლის ამგვარი სახე ფართოდაა გავრცელებული „დეცენტრალიზებული“ მოდელის ქვეყნებში. აბსტრაქტული კონტროლი ხორციელდება კონსტიტუციური კონტროლის სუბიექტთა მიერ არა კონკრეტულ სასამართლო საქმესთან კავშირში, არამედ იგი გამოიყენება როგორც კანონის გამოცემის, ისე მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ამ დროს შეიძლება აღიძრას საკითხი კანონის ანტიკონსტიტუციურობისა და ანულირების საობაზე. ამგვარი სისტემა გავრცელებულია კონსტიტუციური კონტროლის „ცენტრალიზებული“ მოდელის ქვეყნებში. მაგალითად, იტალიაში შესაძლებელია კონსტიტუციური სასამართლოს წინაშე დაისვას საკითხი საერთოსახელმწიფოებრივი თუ შიდასოფლკო კანონების კონსტიტუტიასთან შესაბამისობის დადგენის შესახებ.

კონტროლი სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებებზე წარმოადგენს კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა საქმიანობის მნიშვნელოვან მხარეს. ნებისმიერი მოქალაქე, რომლის უფლებები დაირღვა ამა თუ იმ ორგანოს გადაწყვეტილების შედეგად, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ან კონტროლის ორგანოს მათ აღსადგენად. გერმანიაში და ავსტრიაში ამ პროცედურას „კონსტიტუციური საჩივრის“ შეტანა ეწოდება. კონტროლის მსგავსი სახე გავრცელებულია აშშ-ში, ესპანეთში, ლათინურ ამერიკის რიგ ქვეყნებში და წარმოადგენს მოქალაქეთა ძირითადი უფლება-თავისუფლებების დაცვის რეალურ საშუალებას, ხელს უწყობს დემოკრატიის პრინციპების რეალიზაციას.

შიდაფედერალური კონფლიქტების განხილვა წარმოადგენს კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა მნიშვნელოვან ფუნქციას ფედერალურ და დეცენტრალიზებულ უნიტარულ სახელმწიფოებში, სადაც ხშირია დავები ფედერაციისა და მის შემადგენლობაში შემავალ სუბიექტებს შორის, თავად ფედერაციის სუბიექტებს შორის, უნიტარულ დეცენტრალიზებულ სახელმწიფოსა და ავტონომიურ წარმონაქმნს შორის. ეს დავები უმეტესად კომპეტენციების განაწილების საკითხს შეეხება. მისი რეგულირება წყდება სპეციალური პროცედურის საფუძველზე, როდესაც ხდება ნორმატიული აქტების და სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებების კონტროლი, მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის დაცვა, რათა ამ პრინციპის დარღვევა არ იქცეს მომავალი კონფლიქტის წყაროდ. შიდაფედერალური კონფლიქტების განხილვა-გადაწყვეტა აშშ-ს, გერმანიის, ავსტრიის, ესპანეთის, იტალიის, კანადის კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა მნიშვნელოვანი ფუნქციაა.

კონსტიტუციური კონტროლის ორგანოები უფლებამოსილი არიან განიხილონ კონფლიქტები სახელმწიფო ორგანოთა შორის. სახელმწიფო ხელისუფლებას ორგანიზაციის მრავალსახეობა სხვადასხვა ქვეყნებში განაპირობებს კონსტიტუციური კონტროლის ორგანოთა ამ ფუნქციის განხორციელების ფორმის მრავალსახეობას. იტალიის კონსტიტუცია ამ ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს ანიჭებს უფლებას განიხილოს კონფლიქტები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა შორის კომპეტენციის განაწილება-გამიჯვნის თაობაზე. ანალოგიური უფლებამოსილება გააჩნია გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოსაც. აშშ-ში არ არსებობს სპეციალური პროცედურა, რომელიც უფლებას მისცემდა უმაღლეს სასამართლოს განეხილა დავები პრეზიდენტსა და კონგრესს შორის, მაგრამ უმაღლესი სასამართლო მნიშვნელოვან როლს ასრულებს

ხელისუფლების განაწილების მექანიზმში ძალთა თანაფარდობის რეგულირებაზე. მსგავს ფუნქციას ასრულებს საკონსტიტუციო საბჭო საფრანგეთში, სადაც იგი ერთგვარი „არბიტრის“ როლში გვევლინება პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობის, ისევე როგორც მოქალაქეთა უფლებათა თვისუფლებების დაცვა დამოუკიდებელი, ავტორიტეტული სასამართლო ხელისუფლების მიერ წარმოადგენს სახელმწიფოში კონსტიტუციური წესრიგის დამყარების ძირითად წყაროს.



6160 შარაკა

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე რაიონულ სასამართლოებში სანარმოთა რეგისტრაციის პრაქტიკა

საქართველოში სამეწარმეო საქმიანობას 1995 წლის 1 მარტიდან არეგულირებს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, რომელმაც ახლებურად მოაწესრიგა სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში უარყოფითი მხარეების თავიდან აცილების საქმეში. ამ კანონის ერთ-ერთ დადებით სიახლედ მიმაჩნია ის, რომ საწარმოთა რეგისტრაციას ახორციელებენ რაიონული სასამართლოები სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით, ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნებისმიერ პირს შეუძლია გაცნოს სამეწარმეო რეესტრს და მიიღოს რეესტრის ამონაწერი.

სასამართლოების მიერ საწარმოთა რეგისტრაციის პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ სამეწარმეო საქმიანობის მონაწილენი უპირატესობას ანიჭებენ და რეგისტრაციაში ტარდებიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით, ამას ადასტურებს სტატისტიკური სამსახურის მონაცემებიც.

ინდივიდუალური საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ძირითადად ტარდებიან, ე. წ. წვრილმანი მოვაჭრეები და ის პირები, რომლებიც საქმიანობის ვიწრო სფეროთი შემოიფარგლებიან, თუმცა „მეწარმეთა კანონი“ მათ აძლევს უფლებას ქირავნობის ან შრომის ხელშეკრულების საფუძველზე დაიქირაონ პირები და განახორციელონ ნებისმიერი კანონით ნებადართული საქმიანობა (თუ არ გავითვალისწინებთ „მეწარმეთა კანონის“ 1.2. მუხლის მოთხოვნებს). მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმე, როგორც ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი არის ფიზიკური პირი და სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით.

იმ შვიდი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოთაგან, რომელთაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა, ყველაზე ნაკლები განვითარება პოვა კომანდიტურმა საზოგადოებამ.

მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო რეესტრის წარმოება სასამართლოებისათვის სრულიად ახალი ფუნქციაა, მათ საწარმოთა რეგისტრაცია 1995 წლის 1 მარტიდან დროულად და შეუფერხებლად დაიწყო.

სასამართლო პრაქტიკის განზოგადოების მიზნით განვიხილეთ ზოგიერთი სასამართლოს სარეგისტრაციო მასალები, რომლებმაც ცხადყვეს, რომ რეგისტრაცია ძირითადად ხორციელდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა ზოგჯერ ადგილი აქვს დარღვევებსაც. ჩვენ მიზანი სწორედ არსებული ხარვეზების წარმოჩენა და იმ პრაქტიკული წინააღმდეგობების და სიძნელების წარმოსახვა გახლავთ, რომელიც ხელს უშლის „მეწარმეთა შესა-

ხებ“ კანონის განხორციელებას და სწორი სასამართლო პრაქტიკის დანერგვას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად სასამართლო ვალდებულია რეგისტრაცია განხორციელოს აუცილებელი საბუთების წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში. თუ რეგისტრაცია ამ ვადაში არ განხორციელდება, მოსამართლემ წერილობით უნდა აცნობოს განმცხადებელს მასალებში არსებული ხარვეზების შესახებ და მიუთითოს კონკრეტული ვადა მათ გამოსასწორებლად. როგორც ირკვევა, მართალია, საწარმოთა რეგისტრაცია ძირითადად ხორციელდება კანონით გათვალისწინებულ ერთკვირიან ვადაში, მაგრამ ხშირად მოსამართლეები სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი მასალების ხარვეზების შესწორების თაობაზე ზეპირად მიუთითებენ განმცხადებელს და უკან უბრუნებენ სასამართლოში წარმოდგენილ ყველა საბუთს. მაგალითად, თელავის სასამართლოში განცხადება საწარმოს რეგისტრაციის შესახებ შეტანილია 1995 წლის 16 ივნისს, ხოლო მოსამართლემ დადგენილება რეგისტრაციის თაობაზე მხოლოდ 21 ივლისს გამოიტანა. საქმის მასალებიდან გამომდინარე კი ჩვენთვის გაურკვეველია თუ რა მიზეზით მოხდა სარეგისტრაციო ვადის დარღვევა.

სარეგისტრაციოდ აუცილებელ საბუთებთან ერთად, როგორც ცნობილია, მეწარმემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის ქვითრები, მაგრამ ზოგიერთ სასამართლოში, მაგალითად, ზესტაფონის რაიონის სასამართლოში აღნიშნული ქვითრები წარდგენის გარეშე რეგისტრირებულია შ.პ.ს. „შვიდკაცა“.

დადგენილი წესისამებრ სარეგისტრაციო მოსაკრებლის 50 პროცენტს იხდიან ის საწარმოები, რომლებიც ადრე რეგისტრირებულნი იყვნენ გამგეობებში და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად ვალდებულნი არიან ხელახალი რეგისტრაცია გაიარონ სასამართლოში, მაგრამ ქუთაისის სასამართლოში ხშირია შემთხვევები, როცა ხელახალი რეგისტრაციისათვის საწარმოს მოსაკრებლის თავდაპირველ თანხას ახდევინებენ, ნაცვლად ნახევრისა.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.4–5.5. მუხლებში განსაზღვრულია თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს სარეგისტრაციო საბუთები. მაგრამ არის შემთხვევები, როცა აღნიშნული საბუთები სრულად არ შეიცავს ზემოაღნიშნულ მუხლებში ჩამოთვლილ მონაცემებს, მაგალითად, ქუთაისის სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა შ.პ.ს. „ანი“, რომლის განცხადებაშიც არ იყო მითითებული საწარმოს კაპიტალის ოდენობა და საბუთი შესრულებული შენატანის შესახებ, ხოლო მცხეთის რაიონის სასამართლოს მიერ რეგისტრირებულ შ.პ.ს. „ინტერთვალკონის“ დამფუძნებელი დოკუმენტები არ შეიცავენ მონაცემებს თითოეული პარტნიორის შენატანის ოდენობასა და შესაბამისად წილების შესახებ.

საწესდებო კაპიტალის შენატანის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის გარეშე რეგისტრირებულია ფოთის სასამართლოში შ.პ.ს. „ლეონი“, ხოლო გორის სასამართლოს მიერ — შ.პ.ს. „ციცერო“.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რეგისტრაციის პროცესში ზოგჯერ ირღვევა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5.1. მუხლის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც რეგისტრში რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება აქვს ერთ-ერთ პარტნიორს, ამიტომ არასწორია, როდესაც გორის და ზესტაფონის მარეგისტრირებელ ორგანოს რეგისტრაციისათვის მიმართავს არა ერთ-ერთი პარტნიორი, არამედ მითითებულია მხოლოდ საწარმოს საფირმო სახელწოდება, ხოლო საგარეჯოს რაიონის სასამართლოს მიერ რეგისტრირებული ზოგიერთი საწარმოს განცხადე-

ბაში საერთოდ არ ჩანს თუ ვინ წარადგინა სათანადო დოკუმენტაცია.

თანახმად კანონის 5.2. მუხლისა, ინდივიდუალური მეწარმე ან პარტნიორები, ისევე როგორც სამეთვალყურეო ორგანოს შესაძლო წევრები, ვალდებული არიან ხელი მოაწერონ საზოგადოების განცხადებას რეგისტრაციის შესახებ, თუმცა არის შემთხვევები, როცა გორის, საგარეჯოს და ზესტაფონის სასამართლოების მიერ რეგისტრირებული საზოგადოებების სადამფუძნებლო დოკუმენტები სასამართლოში დამფუძნებელთა ხელმოწერების გარეშეა შეტანილი.


ცნობილია, რომ პირები, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებას სამართლებრივ ურთიერთობებში, ვალდებული არიან სასამართლოში დატოვონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ, მაგრამ აღნიშნული ხელმოწერების სასამართლოში წარდგენის გარეშე ზოგჯერ რეგისტრირებულია საწარმოები მცხეთის სასამართლოში.

დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად საწარმოთა ხელახალი რეგისტრაციის დროს მოსამართლეები სრულიად მართებულად ითხოვენ გამგეობის მიერ გაცემულ რეგისტრაციის მოწმობებს და თავდაპირველ სარეგისტრაციო დოკუმენტებს, რადგან ეს საწარმოები იხდიან ძირითადი სარეგისტრაციო მოსაკრებლის 50 პროცენტს, ხოლო ძველი დოკუმენტაციის წარდგენა კი საჭიროა პარტნიორთა ვინაობის და შათ შორის წილის განაწილების შესაბამისობის გასარკვევად, მაგრამ ზოგჯერ ამ საბუთების წარდგენის გარეშე ხდება საწარმოთა ხელახალი რეგისტრაცია და ხოლო ძველ დამფუძნებელ დოკუმენტებში მოცემული პირობები აღარ შეესაბამება ახალ სადამფუძნებლო დოკუმენტებს, რამაც შეიძლება შელახოს ძველი დამფუძნებლების (პარტნიორების) ქონებრივი და პირადი უფლებები. მაგალითად, რუსთავის სასამართლოს მიერ ხელახლა რეგისტრირებული შ.პ.ს.-ის ძველ და ახალ სადამფუძნებლო დოკუმენტებში პარტნიორთა რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, სასამართლოში კი არ არის წარდგენილი საზოგადოებიდან გასული პარტნიორის იურიდიულად გაფორმებული საბუთი წილის დათმობისა და საზოგადოებიდან გასვლის შესახებ.

ქუთაისის სასამართლოში შრომითი კოლექტივის (ამხანაგობის) მიერ შესყიდული ქონების ბაზაზე რეგისტრირებულია შ.პ.ს. „შეკა“. თუმცა, როგორც სადამფუძნებლო დოკუმენტებიდან ირკვევა, საზოგადოების დამფუძნებელი მხოლოდ ერთი ფიზიკური პირია, ხოლო კოლექტივის (ამხანაგობის) დანარჩენი წევრების კუთვნილი წილების დათმობის ან გასხვისების ფაქტი არსად არ არის რეგისტრირებული. ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი ზუგდიდის სასამართლოში, სადაც შრომითი კოლექტივის 4 წევრმა სახელმწიფოსაგან შეისყიდა ქონება, სასამართლომ კი ამ ქონების ბაზაზე რეგისტრაციაში გაატარა ინდივიდუალური საწარმო „მამია ჯიქია“, ხოლო დანარჩენი წევრების წილი არსად არ არის აღნიშნული.

მრავალი ხარვეზი აღმოჩნდა აგრეთვე იმ საზოგადოებათა რეგისტრაციისას, რომლებთანაც სამეთვალყურეო საბჭო არსებობს. მაგალითად, თელავის რაიონის სასამართლოში რეგისტრირებულია სააქციო საზოგადოება „ჭიჭნაური“, რომლის დამფუძნებელი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და დირექტორი არჩეულია დამფუძნებელთა კრების მიერ, თუმცა კანონის 55.8. მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, საზოგადოების დირექტორის დანიშვნა და გამოწვევა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში შედის.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 55.3. მუხლი განსაზღვრავს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს დირექტორი, მაგ-



რამ ქ. ფოთის სასამართლოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება „ფოთის თინავთობპროდუქტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არის დირექტორიც.

საწარმოთა ფილიალების რეგისტრაცია, ძირითადად, ხორციელდება კანონის მე-16 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, რომლის მიხედვითაც ფილიალის რეგისტრაციისათვის ნოტარიალურად დამოწმებული სათანადო საბუთები წარედგინება ძირითადი საწარმოს მარეგისტრირებელ სასამართლოს, რომელიც ნოტარიალურად დამოწმებულ ასლს ძირითადი საწარმოს დადგენილებასთან ერთად, ავზანის ფილიალის მარეგისტრირებელ სასამართლოში, რათა მოსამართლეს სრული წარმოდგენა ჰქონდეს სათანადო საწარმოს შესახებ. ფილიალის რეგისტრაციის შემდეგ დადგენილების ასლი ევზანება ძირითადი საწარმოს მარეგისტრირებელ სასამართლოს, რომელიც თავის ფორმულარში აკეთებს ჩანაწერს ფილიალის რეგისტრაციის შესახებ.

მასალების შესწავლისას გამოვლინდა ნაკლოვანებები, რასაც ადგილი აქვს ფილიალების რეგისტრაციის დროს, საგარეჯოს, გურჯაანის და ხაშურის რაიონების სასამართლოების მიერ რეგისტრირებულია შ.პ.ს. „ელექტროკავშირის“ და შ.პ.ს. „საქპრესას“ ფილიალები, სადაც, როგორც ფილიალების დაარსებაზე უფლებამოსილი პირები, ისე მოსამართლეები სამეწარმეო რეესტრში არასწორად უთითებენ, რომ ფილიალების დამფუძნებელი ზემოაღნიშნულ საზოგადოებებთან ერთად არის მმართველობის ორგანო, ამ შემთხვევაში კავშირგაბმულობის სამინისტრო. ეს ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან ფილიალის დაარსება შეუძლია მხოლოდ სათაო საწარმოს, მოცემულ შემთხვევაში შ.პ.ს. „ელექტროკავშირისა“ და შ.პ.ს. „საქპრესას“. არასწორი პრაქტიკა დამკვიდრეს საგარეჯოს და ხაშურის რაიონის სასამართლოებმა, რომლებმაც რეგისტრაციაში გაატარეს შ.პ.ს. „ელექტროკავშირის“ გურჯაანის ფილიალის მარეგისტრირებელ სასამართლოს, რომელიც თავის ფორმულარში აკეთებს ჩანაწერს ფილიალის რეგისტრაციის შესახებ.

რაც შეეხება სახაზინო საწარმოთა რეგისტრაციას, უნდა აღინიშნოს რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2.5. მუხლის თანახმად სახაზინო საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობათა სუბიექტი, წარმოიშობა არა რეგისტრაციის მომენტიდან, არამედ სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილების საფუძველზე. კანონის ეს ნორმა არასწორად გაიგო როგორც ზოგიერთმა მოსამართლემ, ისე სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეებმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ სახაზინო საწარმოებს რეგისტრაცია არ ესაჭიროებათ.

სახაზინო საწარმო „აღმოსავლური ბაზრის“, წესდება ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო პასუხს არ აგებს საწარმოს ვალდებულებებზე, რაც ეწინააღმდეგება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3. 4. მუხლის მოთხოვნას, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის საწარმოს სუბსიდიურ პასუხისმგებლობას, კერძოდ, სახაზინო საწარმოები კრედიტორების წინაშე თავიანთი განცალკევებული ქონებით არიან პასუხისმგებელნი, ხოლო თუ ამ ქონებიდან კრედიტორების მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება, მაშინ ეს მოთხოვნები კმაყოფილდება შესაბამისი სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის თანახმად მოსამართლეს უფლება აქვს შეამოწმოს აკმაყოფილებს თუ არა სარეგისტრაციო მასალებში მოცემული პირობები კანონის მოთხოვნებს. მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როცა საკუთარი ინიციატივით, რეგისტრაციისათვის სავალდებულო დოკუმენტ-

ტებთან ერთად, მოსამართლე ითხოვს ქალაქის მუნიციპალიტეტის, ქალაქის მთავარი არქიტექტორისა და აგრეთვე პოლიციის სახანძრო განყოფილების თანხმობათა წარმოდგენას, ხოლო ზოგჯერ საკუთარ სახლში საწარმოს დაფუძნებაზე გამგეობის ნებართვებია წარდგენილი მცხეთისა და ხაშურის რაიონულ სასამართლოებში. ყოველივე ეს სრულიად მოკლებულია ნორმატიულ ბაზას და მეწარმეთა მხრიდან უკმაყოფილებას იწვევს.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად მოსამართლემ საწარმოს რეგისტრაციის შესახებ უნდა აცნობოს პრესას და სტატისტიკურ ორგანოებს. ამდენად, მხოლოდ საწარმოს რეგისტრაციის შემდეგ უნდა გაიგზავნოს ინფორმაცია სტატისტიკურ ორგანოში, მაგრამ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ ყველა საწარმოს, რომელმაც სასამართლოში უნდა გაიაროს რეგისტრაცია, წინასწარ უნდა მიენიჭოს საიდენტიფიკაციო კოდი. ეს ორგანო საიდენტიფიკაციო კოდს იძლევა მას შემდეგ, როცა სასამართლო შეამოწმებს სარეგისტრაციო საბუთების კანონიერებას, შემდეგ კი ზღვება კოდის მინიჭება და ამის შემდეგ გამოაქვს მოსამართლეს დადგენილება საწარმოს რეგისტრაციის შესახებ. სასამართლოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი კი შემდგომ ეგზავნება სტატისტიკის სამსახურს. რესპუბლიკაში დამკვიდრებული ამგვარი პრაქტიკა, ჯერ ერთი, ეწინააღმდეგება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნებს და იგი სათანადო ნორმატიულ ბაზას მოკლებულია, მეორე მხრივ, ხელს უწყობს სასამართლოში საწარმოთა რეგისტრაციის საქმეების გაჭიანურებას და მეწარმესაც დამატებითი ხარჯების გაწევა უწევს.

მთელი რიგი სირთულეები იქმნება იმ შემთხვევაში, როცა საწარმო იცვლის იურიდიულ მისამართს. ამ დროს საგადასახადო ორგანოები საწარმოს დაბეგვრას ახალი იურიდიული მისამართით ახდენენ, მაგრამ იგი რეგისტრირებული რჩება ძველი იურიდიული მისამართის ადგილსამყოფელის მიხედვით და ხშირია შემთხვევები, როცა იმ ტერიტორიაზე მოქმედი საგადასახადო სამსახური აგრძელებს მათ დაბეგვრას.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის თანახმად სასამართლომ საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე გამოტანილი დადგენილების ასლები უნდა გაუგზავნოს პრესის ორგანოს და სტატისტიკის ადგილობრივ ორგანოს; ამავ დროს აღნიშნული წარედგინება ადგილობრივ საგადასახადო სამსახურს და საწარმოს მომსახურე ბანკს, მაგრამ საგადასახადო ორგანოები, ბანკები, ასევე სტატისტიკის ორგანოები მეწარმეებს დამატებით თხოვენ საზოგადოების წესდებების წარდგენასაც, რაც სანოტარო ფორმით უნდა იყოს დადასტურებული. ეს კი დამატებით ფინანსურ პრობლემებს უქმნის მეწარმეს. ზემოხსენებული ორგანოებისათვის საკმარისია მხოლოდ რეგისტრაციის თაობაზე სასამართლოს დადგენილების ასლის წარდგენა, სადაც სრულიად და ზუსტად მოცემულია ყველა ძირითადი მონაცემები საწარმოს შესახებ, მათ შორის მონაცემები საწარმოს დამფუძნებლებისა და საქმიანობის სფეროს შესახებ.

პრაქტიკაში დამკვიდრებული წესის თანახმად, მეწარმე სადამფუძნებლო დოკუმენტებში ზოგადად უთითებს საქმიანობის ძირითად მიმართულებას და რეგისტრაციის შემდეგ ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რაც წესდებაში და სამეწარმეო რეესტრში არ არის კონკრეტულად მითითებული. საგადასახადო ორგანოს მუშაკები აძლევენ მათ შენიშვნას ამის თაობაზე, ვინაიდან ყველა ის საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს საწარმო, ზუსტად უნდა აისახოს სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერში.

საწარმოს საწესდებო კაპიტალის არაფულადი შენატანის შეფასება ზოგჯერ ხდება ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაცემული დასკვნების თა-



ნახმად. ეს დაშვებული იყო საწარმოთა რეგისტრაციის დაწყების პირველ ეტაპზე, ვინაიდან იმ დროისათვის არ მოქმედებდა კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ და არ არსებობდნენ ლიცენზირებული აუდიტები. ამჟამად ქონების მართვის სამინისტროს მიერ გაცემული დასკვნების მიღება არასწორად მიმაჩნია, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 19.3. მუხლს, რომლის თანახმადაც აუდიტორი შესამოწმებელი საწარმოსაგან ეკონომიკურად და პიროვნულად დამოუკიდებელი უნდა იყოს. ქონების მართვის სამინისტრო კი ამ შემთხვევაში წარმოადგენს ქონების გამსხვიისების და შესაბამისად ეკონომიკური დაინტერესების მქონეს.

სახელმწიფო ქონების ნაწილობრივი შენატანის საფუძველზე დაფუძნებული საწარმოების რეგისტრაციის დროს სასამართლოები სრულიად მართებულად ითხოვენ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან მისი ტერიტორიული ორგანოს თანხმობას, როგორც მესაკუთრის, ვინაიდან ეს ქონება მისი რეგისტრაციის შემდგომ გამოდის სახელმწიფო საკუთრებიდან და ზდება მეწარმე სუბიექტის საკუთრება; ხოლო სახელმწიფო იღებს მხოლოდ მოგებიდან კუთვნილ წილს.

საბანკო დაწესებულებები ანგარიშის გახსნისათვის მეწარმეთაგან ითხოვენ იურიდიული პირებისათვის ადრე მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ აუცილებელ ატრიბუტებს: ბეჭედი და შტამპი, რაც კიდევ ერთ სირთულეს და გაურკვეველობას უქმნის მეწარმეს და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებს აძლევს შესაძლებლობას ეს საკითხი გადაწყვიტონ თავიანთი შეხედულებისამებრ. იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს არ გააჩნია ბეჭედი და შტამპი, მის მოვალეობას ასრულებს საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების ხელმოწერები (ფაქსიმელია). ქონებრივ ბრუნვაში საწარმოს გამოსვლისათვის კი საკმარისია მხოლოდ სასამართლოს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი.



აკაკი ლაბარჯავაძე

სამართლებრივ სსსოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის სისტემატიზაციის საკითხი

სოფლის მეურნეობის გარდაქმნის პროცესში შექმნილი პირველი კოლექტიური მეურნეობების (ამხანაგობები, სხვადასხვა სახის კოოპერატიული ორგანიზაციები და სხვ.) ჩამოყალიბების, მათი საქმიანობის პროცესში წარმოშობილ ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავებამ მოამზადეს აუცილებელი პირობები საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის შესაქმნელად, კერძოდ, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა განხორციელების პროცესში აღმოცენებულ ურთიერთობათა სამართლებრივად მომწესრიგებელ დიდალი ნორმატიული აქტების შესამუშავებლად, რომელთა გარკვეული ნაწილი უნიფიცირებული იყო.

მიუხედავად ამისა, გარდამავალი პერიოდის სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო და საკოლმეურნეო სექტორების არსებობის გამო უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა აგრარულ ურთიერთობათა დიფერენცირებულად მოწესრიგებას, ამისათვის საჭირო ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა შემუშავება ხორციელდებოდა კოლმეურნეობათა, როგორც კოოპერატიულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და საბჭოთა მეურნეობათა, როგორც სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სამართლებრივი მდგომარეობის თავისებურებათა გათვალისწინებით, აგრეთვე საკუთრების სახელმწიფო და საკოლმეურნეო-კოოპერატიულ ფორმათა განსხვავებულობის მიხედვით. დიფერენცირებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები იყო სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, დებულება სახელმწიფო მეურნეობების შესახებ და სხვ. ისინი წარმოადგენდნენ დარგობრივ ფუძემდებლურ, სისტემატიზირებული სახის, დარგის ნორმათა უმრავლესობის მომცველ ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს.

გარდამავალი პერიოდის სასოფლო-სამეურნეო ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს შორის ფართოდ წარმოდგენილი ცალკეულ კოლმეურნეობათა წესდებები, ლოკალური, ე. ი. შიდასაკოლმეურნეო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები მუშავდებოდა უშუალოდ კოლექტიურ მეურნეობათა მიერ მათთვის მინიჭებული ნორმატიული აქტებითი უფლებამოსილების ფარგლებში, კოლმეურნეთა ყრილობებზე მიღებული, სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოს მიერ დამტკიცებული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების საფუძველზე და რეგისტრირებული შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში. ე. ი. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება და ცალკეულ კოლმეურნეობათა წესდებები სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობაში წარმოდგენილი იყო სანქციონირებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების სახითაც.

მთლიანობაში გარდამავალი პერიოდის სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობა წარმოდგენილია კანონმდებლობის სისტემატიზაციის დარგობრივი (პორიზონტალური) კრიტერიუმის მიხედვით და არა იერარქიული (ვერტიკალური) კრიტერიუმით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის შიდადარგობრივი სისტემატიზაცია, ე. ი. ქვედარგებად დაყოფა აგრარულ ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტების მიხედვით. აგრარულ ურთიერთობათა მონაწილე

კოლმეურნეთა, სახელმწიფო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა და სხვა მოქალაქეთა პირად საკარმიდამო მეურნეობათა შესახებ ორროდე ნორმატიული აქტის არსებობის გამო იგი კანონმდებლობის ცალკე ქვედარგად არ არის გამოყოფილი, რაც უნდა მივიჩნიოთ გარდამავალი პერიოდის სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზად.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების კონტრაქტაციის შესახებ კანონმდებლობა ქვედარგად წარმოდგენილია მისი უნიფიცირებულობის, ე. ი. აგრარულ სფეროში არსებულ ყველა სახის (სახელმწიფო, კოოპერაციული, კერძო) მეურნეობისათვის ერთნაირად სავალდებულობისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა რეგულირებისათვის დიდი მნიშვნელობის გამო და კიდევ ამ ღონისძიების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დღეისათვის რესპუბლიკაში შექმნილი უმძიმესი სასურსათო კრიზისიდან თავის დასაღწევად შენარჩუნებულ სახელმწიფო მეურნეობებთან კონტრაქტაციული ურთიერთობის სრულყოფით, ხოლო გლეხურ მეურნეობებთან ასეთი ურთიერთობის დამყარებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფო შესყიდვის უზრუნველყოფის გზით.

კონტრაქტაციის შესახებ კანონმდებლობის ქვედარგად გამოყოფის კრიტერიუმებით არის განპირობებული რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ქვედარგად გამოყოფაც.

გარდამავალი პერიოდის სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის ქვედარგებიდან მხოლოდ საკოლმეურნეო კანონმდებლობის წარმოჩენა სისტემაში მასტრუქტურებელი სამეურნეო საქმიანობის კრიტერიუმის შესაბამისად კოლმეურნეობებში საწარმოო, შრომითი განაწილებითი და სხვა ურთიერთობათა მარეგულირებელი დიდძალი ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები არის სახელმწიფოს, მისი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა მხრივ კოლექტივიზაციით ზედმეტად გატაცების, კოლმეურნეობებისადმი ყველა ღონეზე მეტი ყურადღების მიქცევის შედეგი.

გარდამავალი პერიოდის სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული დიდძალი სისტემატიზირებული ნორმატიული მასალის არსებობით შეიქმნა აუცილებელი პირობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის ერთ-ერთ დამოუკიდებელ დარგად ფორმირებისათვის, აგრარულ ურთიერთობათა მონაწილე სუბიექტების მიხედვით ფუნქციონირების შედარებით განსხვავებული, მაგრამ სამართლებრივი რეგულირების ერთიანი საგნით ურთიერთდაკავშირებული ქვედარგების ჩამოყალიბებისათვის. კლასიფიკაციის ამ კრიტერიუმით სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის სისტემატიზაციით შესაძლებელი ხდება მისი სრულყოფილად წარმოჩენა, შესწავლა-გაანალიზება, შეფასება, შესაბამისი დასკვნების გაკეთება და მათი დაკავშირება დღეისათვის რესპუბლიკის ეკონომიკაში, კერძოდ, სოფლის მეურნეობაში ზომიანარე რთულ პროცესებთან, სამომავლოდ ამ პროცესების სწორად წარმართვის მიზნით.

გარდამავალი პერიოდის სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის წარმოშობა და განვითარება ზემოქმედებას ახდენდა შესაბამისი სამართლის დარგის — სასოფლო-სამეურნეო სამართლის ფორმირებაზე, რადგან კანონმდებლობა მოიცავდა სასოფლო-სამეურნეო სამართლის ნორმებს, ე. ი. წარმოადგენდა ამ ნორმების არსებობის ფორმას. მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო სამართალი გარდამავალ პერიოდში არ არსებობდა, მხოლოდ ოცდაათიანი წლების დამლევს სამართლის დამოუკიდებელ დარგად და სასწავლო დასციპლინად ყალიბდება საკოლმეურნეო სამარ-


თალი, რომელიც მილიანად არ ემთხვეოდა კანონმდებლობას კოლმეურნეობათა შესახებ, მაგრამ ძირითადად შეესაბამებოდა მას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის ადექვატური სამართლის დარგი — სასოფლო-სამეურნეო სამართალი დამოუკიდებელ დარგად ყალიბდება ოთხმოციანი წლების დამდეგს, როგორც გამოხატულება, ასახვა, გარეგანი ფორმა კანონმდებლობის კომპლექსური დარგის — სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობისა.

ფაქტობრივი მასალა და დასკვნები ქმნის გარკვეულ თეორიულ ბაზას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და საერთოდ კოოპერატიული კანონმდებლობის შემდგომი გამოკვლევებისათვის. გარდა ამისა, იგი აუცილებელია ეროვნული სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის შესაქმნელად, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების, ამხანაგობების, გლეხურ, ფერმერულ და სხვა მეურნეობათა შექმნასთან და საქმიანობასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების შესამუშავებლად.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობამ მოქმედების ძალა დაკარგა, არ არსებობენ მათი მარეგულირებელი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობები. ხდება კერძო წარმოებით ურთიერთობებზე გადასვლა სოფლის მეურნეობაში. კერძო სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია მიწაზე კერძო საკუთრება. ამის გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტის მიერ დროულად იქნა მიღებული კანონი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ (1996 წ.). ამ კანონით მიწა იქცა სამოქალაქო ბრუნვითი ურთიერთობების მონაწილე ნივთად. აქედან გამომდინარე აღნიშნავს პროფესორი ვოლფგანგ ვინკლერი: სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება იმყოფება ზოგად საკუთრებით წყობილებაში, როგორც კონსტიტუციურ სამართალსა და სამოქალაქო სამართალშია ჩამოყალიბებული; მეორე მხრივ, მის მიმართ მოქმედებენ სპეციალური ნორმები, რომლებიც მიზნად ისახვენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის ხელისშეწყობას.¹ სწორედ ეს ნორმებია გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ კანონში, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოს შეუძლია ჩაერიოს სასოფლო-სამეურნეო მიწის გარიგებათა და საიჯარო ურთიერთობათა რეგულირებაში, ვინაიდან ასეთ ჩაურევლობას შეიძლება მოჰყვეს უმძიმესი შედეგები აგრარულ სფეროში, როგორცაც ადგილი ჰქონდა გერმანიაში, სადაც როგორც პროფესორი ლ. ჭანტურია აღნიშნავს: მიწის ნაკვეთების გასხვისება და იჯარით გაცემა თავისუფალი იყო და არავითარ სახელმწიფოებრივ ზემოქმედებას არ ექვემდებარებოდა. მაგრამ ასეთმა წესმა სოფლის მეურნეობაში, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მიწების მიმართ უარყოფითი შედეგები გამოიწვია: მიწის უყაირათოდ გამოყენება; არამეურნეობრივი დაქუცმაცება და მათი დაუფლება არა მიწათმოქმედთა მიერ; მიწის სპეკულაციის საფრთხე. ამ მოვლენებმა დიდი ზიანი მიაყენეს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, ამიტომ 1918 წლიდან შემოიღეს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მიმოქცევის სახელმწიფოებრივი კონტროლი და იგი დღემდე არ მოხსნილა.²

არანაკლებ მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასთან მიმართებაში საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის ივნისში მიღებული კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარის შესახებ“, რომელიც აღგენს სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის წესს, ვადას და სხვ.

1 სერგო ჯორბენაძე, საიუბილეო კრებული, თბ., 1996, გვ. 365.
2 ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თბ., 1994, გვ. 208-209.



ინგა ბულაღური

გაოკავის პროზაზე თანამედროვე სოციალურ ფილოსოფიაში

(ე. ფრომის ფსიქოანალიზური კონცეფციის მიხედვით)

სიცოცხლე დაპირისპირებულ ძალთა ბრძოლის ასპარეზია. ეს გარემოება ფართოდ და ღრმად არის ასახული ერის ფრომის მოძღვრებაში. მან შექმნა პიროვნების საკუთარი კონცეფცია, რაც „რადიკალური ჰუმანიზმის“ სახელითაა ცნობილი.

ფრომისეული ადამიანის კონცეფციის ძირითადი მიზანია XX საუკუნის ადამიანის წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების ანალიზი. მაგრამ ადამიანური ცხოვრება მხოლოდ მომენტია ყოფიერებისა, მისი წინააღმდეგობები კი არის ყოფიერების წინააღმდეგობრივ ძალთა გამოხატულება. სიკვდილი და სიცოცხლე, ბოროტება და სიკეთე, სიყვარული და სიძულვილი, ბიოლოგიური და სოციალური, ეგოიზმი და ალტრუიზმი, ტექნოკრატიზმი და ჰუმანიზმი, ჩაგვრა და თავისუფლება, აქტიურობა და პასიურობა ის დიხოტომიური წყვილებია, რომლებიც ყოფიერებას საერთოდ ახასიათებს ან უშუალოდ, ან ადამიანის ცხოვრება-ყოფიერებაში გამოვლენილი დიხოტომების მეშვეობით.

ადამიანური ყოფიერებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობრივი წყვილები ასახვენ თავდაპირველ „ქონა“-„ყოფნის“ დიხოტომიას. მათგან „ყოფნა“ ადამიანის არსობრივ ძალთა ამსახველი ცნებაა, ხოლო „ქონა“ — ანტიდინამიური მიდრეკილებებისა. ისინი ასახვენ ორ სხვადასხვა ღირებულებით სტრუქტურას. ინდივიდის, პიროვნების ტიპს განსაზღვრავს მასში რომელიმე აღნიშნული სტრუქტურის სიჭარბე. ფრომი ასახულებს ადამიანისა და საზოგადოების ცვლილებების აუცილებლობას, მას მიაჩნია, რომ ახალი ადამიანი შეუძლებელია ახალი საზოგადოების გარეშე და, პირიქით. ამ პოზიციიდან იგი აკრიტიკებს ფროიდსა და მრავალ სხვა ფსიქოანალიტიკოსს, რომლებიც სოციალური ყოფიერების ძირეული ცვლილების საფუძვლად ცალმხრივად მიიჩნევდნენ ადამიანის ფსიქიკის ანალიზს.

ფრომი ასევე აკრიტიკებს ცალმხრივ რევოლუციონიზმს, რომელიც ვარაუდობს, რომ საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების შეცვლა თითქმის ავტომატურად გამოიწვევს ადამიანის ფსიქიკის შეცვლას და ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას. ფრომს მიაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ავიწყდებათ ახალი ელიტის ცდები — ადაღინონ რევოლუციის მიერ შექმნილ ინსტიტუტებში ძველი საზოგადოების ელემენტები. ამით რევოლუციის გამარჯვება მის დამარცხებასაც ნიშნავს. მეტიც, კრახს განიცდის არა კერძო რევოლუცია, ცალკეული ხალხი და ქვეყანა, არამედ მთელი ისტორიული სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნის ეპოქა. ამის მაგალითად ფრომს მოჰყავს საფრანგეთის და რუსეთის რევოლუციები.

ასევე შეცდომად მიაჩნია ფრომს ის თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც თავდაპირველად საჭიროა შეიცვალოს ადამიანის ბუნება და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს ახალი საზოგადოების მშენებლობა. ფრომის გამოსავალი პრინციპული მოსაზრების მიხედვით, საშუალო ადამიანის პიროვნებისა და საზოგა-

დღების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურები არა მხოლოდ ურთიერთს განაპირობებენ, არამედ მათი ცვლილებებიც ერთდროულად მიმდინარეობს. ამდენად, „რადიკალური ჰუმანიზმი“ ეფუძნება საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის შესწავლას.

განსხვავებით „გულგრილი რაციონალისტებისაგან“, რომლებიც მხოლოდ აღგენენ, აღრიცხავენ და აზუსტებენ სოციალურ რეალობებს, ისე რომ, ოდნავადაც არ აინტერესებთ ადამიანის ბედი, ფრომის რაციონალიზმში სოციალური რეალობის ანალიზის დიდი უნარი ორგანულად ერწყმის ადამიანის და კაცობრიობის ბედზე მისივე მშფოთვარე წუხილს, აწმყოსა და მომავლის პერსპექტივების გულწრფელ განცდას. იგი ერთნაირი პათოსით მსჯელობს როგორც ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობის თეორიულ ასპექტებზე, ისე ზესახელმწიფოთა დაძაბული ურთიერთობის შენელების აუცილებლობაზე. კოლეგებთან ერთად, ფრომი დაუღაპვალად იღვწოდა მთელ მსოფლიოში უშიშროებისათვის საჭირო ჯანსაღი, რაციონალური აზროვნების შემუშავებაზე. ჰუმანიზმის პრობლემებზე ფრომის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმზე მათ ჩამოაყალიბეს „ჰუმანიზტური სოციალიზმის“ მთავარი მიზანი: თავისუფალი, გონიერი და მოყვასი ადამიანის თვითრეალიზაციის პირობების შექმნა.

ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად ვიცოდეთ, რამდენად ღრმად იყვნენ გაცნობილი ამ მოაზროვნეთა შეხედულებებს ყოფილი საბჭოთა წყობილების, ე. წ. „გარდაქმნის“ ინიციატორები, მაგრამ ერთი რამ ცხადია: „ადამიანური სოციალიზმის“ მშენებლობის კრახით დამთავრებულ ცდებში ეს იდეა ასე თუ ისე ფიგურირებდა. ზედმეტია ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ მივიღეთ არა გარდაქმნა, არამედ გარდაქმნის ობიექტის წგრევა, ე. ი. მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა ე. ფრომს. დესტრუქციულ ძალთა თარეშის შედეგად მივიღეთ დიდი საზოგადოების ადამიანური, მატერიალური და სოციალური ძალების განადგურების საშიშროება.

ფრომის მიხედვით, ის, რის შექმნასაც უკუგდებულ სოციალისტური იდეების სანაცვლოდ ცდილობდნენ დესტრუქციული ძალები, სხვა არაფერია, თუ არა „ძველი ილუზია, რომელმაც მიმზიდველობა შეინარჩუნა იმათ თვალში, ვისი ცხოვრებაც ბურჟუაზიულ ფუფუნებას მოკლებული იყო. ეს ეხება დასავლეთის წვრილ ბურჟუაზიას და „სოციალისტური“ ქვეყნების უმრავლესობას. სინამდვილეში კი „მოხმარების გზით ბედნიერების მოპოვების“ ბურჟუაზიული იმედი არსად ისეთი სიცოცხლისუნარიანი არ არის, როგორც იმ ქვეყნებში, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ ბურჟუაზიული ოცნების განხორციელებისათვის“.¹

კეთილდღეობის ბურჟუაზიული ილუზიის მხილებასთან ერთად, ფრომი დაუნდობლად აკრიტიკებს, ე. წ. „საბაზრო ეკონომიკის“ ადამიანურობის ილუზიასაც, ყოველ შემთხვევაში „გარდაქმნის“ ინიციატორებს, თუ ისინი ნამდვილად გულწრფელნი იყვნენ „ყაზარმული კომუნიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, უნდა სცოდნოდათ, რომ წარმოების მოშლის პირობებში, უსაქონლო ბაზრის საბაზრო ეკონომიკა დესტრუქციულ ძალთა თარეშს გამოიწვევდა. ბიზნესი, მაფია, კორუფცია და ბანდიტიზმი — აი, ის დემონური ძალები, რომლებიც ასეთ დესტრუქციულ დანიშნულებას ასრულებენ. ასე ფიქრობს არა მხოლოდ ე. ფრომი, არამედ სხვა „რადიკალი ჰუმანიზტები“ და მეცნიერ-პროფესიონალებიც, რომლებსაც, ერთი შეხედვით, სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან არაფერი აქვთ საერთო.

ფრომის ინტერესთა წრე ვრცელდება ძენ-ბუდიზმიდან თანამედროვე ტი-

რანიის შესწავლამდე. იგი მოიცავს ადამიანური ტიპების გრანდიოზულ დაწესებულებას დაწესებული მეშხან-მომხმარებლით, დამთავრებული დესტრუქციული ნეკროტიკითა და შემოქმედის ეგზისტენციალური პიროვნებით. ამიტომ ამ მრავალმხრივი მოღვაწის სიდიადე თავისთავად გამოირიცხავს ერთი მკვლევარის მხრივ მისი მოძღვრების ყველა ასპექტის ერთდროულად შესწავლის მართლზომიერებას, ამდენად, უფრო მიზანშეწონილია კვლევის ობიექტად მისი მოძღვრების ერთი რომელიმე ასპექტის შერჩევა.

ერთ-ერთ ასეთ ძირეულ ასპექტად მიგვაჩნია ადამიანის დესტრუქციულობის ფრომისეული კონცეფცია და თვალსაზრისი ნეკროფილიის, როგორც დესტრუქციულობის უკიდურესი ავთვისებიანი ფორმის შესახებ.

დასკვნა იმისა, რომ დესტრუქციულობის კონცეფცია ფრომის მოძღვრების ერთგვარი შემაჯამებელი ნაწილია, არ ნიშნავს იმას, რომ აქ მთავრდება მისი შემოქმედებითი ძიება. პირიქით, დესტრუქციულობის სამწუხარო ფენომენზე ყურადღების გამახვილება ფრომის მსოფლმხედველობის ოპტიმალურ ორიენტაციას განაპირობებს, რასაც უპირობოდ ადასტურებს მისი მოძღვრება ახალი ადამიანისა და ახალი საზოგადოების შესახებ.

ნგრევის ფენომენის ყოველმხრივი ანალიზის დროს ფრომმა დაწვრილებით განიხილა აგრესიის ყველა ცნობილი თეორია და მათთან პოლიემპიკაში უარყო ადამიანის თანდაყოლილი დესტრუქციულობის იდეა. ამასთან, მან უჩვენა, რომ კაცობრიობის ისტორია იძლევა დაუჯერებელი სისასტიკისა და დამანგრეველობის სურათს, რაც მრავალჯერ აღქმატება ცხოველთა აგრესიულობის შედეგებს. მიუხედავად ამისა, ეს გარემოება აიხსნება არა ადამიანის მეტი აგრესიულობით, არამედ იმით, რომ აგრესიის გამომწვევი მიზეზები ადამიანთა საზოგადოებაში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ცხოველთა ბუნებრივ საცხოვრებელ გარემოში.

დესტრუქციულია არა თავდაცვით-კეთილთვისებიანი, არამედ აგრესიის ავთვისებიანი (თვითმიზნური) ფორმა, რომელიც ახასიათებს მხოლოდ ადამიანებს. მისი მთავარი გამოხატულებანია მკვლელობა და სასტიკი წამება, ხოლო მიზანია — სიამოვნების მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის დესტრუქციულ ქმედებას ფრომი საზოგადოების მანკიერებით ხსნის, იგი ეთიშება ჰუმანიტურ-რადიკალთა იმ ჯგუფის პოზიციას, რომელიც თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების „დიდ უარყოფას“ მოითხოვს. კერძოდ, გ. მარკუზეს დემაგოგიურ მოღვაწეობას იგი დესტრუქციულობის დასაბუთებად აღიქვამს. სწორედ ამ თვალსაზრისით აფასებს ფრომი გ. მარკუზეს როლს მიმდინარე საუკუნის 60-იანი წლების ახალგაზრდობის დესტრუქციულ მოძრაობაში.

ერთი ფრომის ძირითადი იდეების მიხედვით, რადიკალური კრიტიკული გონი მხოლოდ მაშინ მოღვაწეობს ნაყოფიერად, „როცა გამოდის იმ ფასდაუდებელ უნართან ერთად, რომლის სახელია სიცოცხლისადმი სიყვარული“.²

სიცოცხლისადმი სიყვარული ფრომისეული „რადიკალური ჰუმანიზმის“ ერთ-ერთი არსებითად გამომხატველი თემაა. ფრომისათვის ადამიანი არ არის თანდაყოლილი ბოროტი ან თანდაყოლილი კეთილი არსება, როგორც ამას ამტკიცებენ, ერთი მხრივ, უნივერსალური პესიმისტები, მეორე მხრივ კი, ულტრაოპტიმისტები. ჰეგელისეული ტრადიციის თანახმად, ფრომი მიაჩნია, რომ ადამიანი ბუნებით არც ბოროტია და არც კეთილი, რომ მისი ლტოლვა სიცოცხლისადმი არ გამოირიცხავს ბუნებრივი სიკვდილის მიჩნევას სიცოცხლის მომენტად: აგი მკვლელობის წინააღმდეგია და არა ბუნებრივი გარდუვალობისა.

ბუნებრივი სიკვდილი სიცოცხლის მომენტი, რამდენადაც მისი სახით ძველი ასპარეზს უთმობს ახალ სიცოცხლეს. მკვლელობა კი ამ ახალი სიცოცხლის დაუნდობელი შეწყვეტის აქტია.

ფრომი ითვალისწინებს ადამიანის არსების გამოხატულებათა ვარიანტულობას, მისი ამა თუ იმ მიმართულებით განვითარების შესაძლებლობებს. მაგალითად, ნარცისიზმი, ერთი მხრივ, საკუთარი თავისადმი გონივრულ-ეგოისტური სიყვარულის საწყის ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ თავისთავში ჩაკეტილი სიყვარული სხვების სიყვარულს უკვე გამოიცხავს. პირიქით, მათდამი სიძულვილს გულისხმობს და ამდენად ნეკროფილიის გამოხატულებად იქცევა. ასეთი მაზოხიზმი, თუ თვითგვემისა და თვითწამების თვითმიზნურობას გამოერიცხავთ, შეიძლება ალტრუიზმის მიჯნაზეც გამოვლინდეს. მაგრამ არსებითაც იგი პიროვნების დისტრუქციული თვითგვემის გამოხატულებაა.

ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებებსა და მიდრეკილებებს უნდა შეესაბამებოდეს შესაფერისი რეალური სოციალური სინამდვილე, რომელიც შექმნიდა მისთვის ადამიანურ სიტუაციას. მაგრამ ეს სიტუაცია, როგორც აღინიშნა, დიხოტომიურია, მისთვის მაღლად მოვლენილი გონება იმავდროულად მისი წყველაცაა. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელიც საკუთარ ყოფიერებას პრობლემად აღიქვამს. ეს პრობლემა მან ისე უნდა გადაჭრას, რომ არ დაუბრუნდეს ბუნებასთან ჰარმონიული ურთიერთობის ადამიანამდელ მდგომარეობას და გაბატონდეს ბუნებასა და თავისთავზე.

მაგრამ ადამიანის ბუნებაზე გაბატონებით იწყება სწორედ მისი დიხოტომიური ცხოვრება, რაც ბუნებაზე დესტრუქციულ ზემოქმედებასა და, იმავდროულად, თავისთავისადმი მტრობაშიც გამოიხატება. მაშასადამე, ბუნებაზე ადამიანის გაბატონება არ იწყევს ადამიანის ყოფიერების პრობლემის გადაჭრას. აქ წერტილის დასმა იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა საკუთარი ზღვარდაუდებელი ინტელექტის მეშვეობით მეცნიერებასა და ტექნიკას დემონური ძალა მიანიჭოს და თვითმიზნურად წარმართოს იგი, როგორც ბუნების, ისე საკუთარი თავის წინააღმდეგ. ამდენად, გამოსავალი უნდა ვეძიოთ მომდევნო საფეხურზე ადამიანის გაბატონებაში თავისთავზე. ეს კი გულისხმობს ადამიანის თვითშეზღუდვას, პირველ რიგში, მეცნიერებისა და ტექნიკის თვითმიზნური გამოყენების აღკვეთას, რაც ბუნებასთან ახლებური ჰარმონიული ურთიერთობის პირობაა. ეს ურთიერთობა კი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საზოგადოებრივი სტრუქტურების მეშვეობით.

მაგრამ საზოგადოებაც ადამიანური შემოქმედების პროდუქტია. მაშასადამე, ადამიანურ ძალთა რეალიზაციის შესაძლებლობაც თვით ადამიანზეა დამოკიდებული, ხოლო თუ ადამიანის მიერ მისივე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის შექმნილი საზოგადოებრივი სისტემა არა თუ არ ამართლებს დაწინაურებას, არამედ მის საპირისპიროდაც კი მოქმედებს, ეჭვის ქვეშ დგება თვით ადამიანის შემოქმედებითი უნარის საიმედობის საკითხი, ე. ი. გამოდის, რომ ადამიანური და სოციალური ცხოვრების ყველა მანკიერებათა მიზეზია არა მხოლოდ საზოგადოება, არამედ თვით ადამიანი, როგორც მისი შემქმნელი. ამიტომ აღნიშნული დილემის წყარო უნდა ვეძიოთ თვით ადამიანისა და საერთოდ, ყოფიერების დიხოტომიურ ბუნებაში.

მაგრამ თუ დიხოტომიურ ძალთა თანაფარდობა არ შეიცვლება პოზიტიურ მხარეთა სასარგებლოდ, მაშინ ყველაფერი ისე დარჩება, როგორც ჩვენამდე საზოგადოებაში იყო.

ფრომის ჰუმანისტური ეთიკის ძირითადი იდეის თვალსაზრისით ადამიანს უნარი შესწევს შეცვალოს დიხოტომიურ ძალთა ბალანსი სათნოებათა სასარგებლოდ. ეს კი ჯანსაღი საზოგადოების აშენების პირობაა.

კ. ფრომი არა თუ არ გამოირიცხავს, არამედ ასახულებს კიდევ თვით ისეთი სათნოების დიხოტომიურ ბუნებას, როგორცაა სიყვარული. რეალობაში ფიქრობს ფრომი, ისიც კი არ არის წმინდა და ადამიანისათვის სასურველი სახით წარმოდგენილი, სიყვარული თავისებური ალტერნატიური გრძნობადი მოდელია, რომლის ერთი მომენტი შეიძლება დაუპირისპირდეს მეორეს და მეტად რთულად, გაურკვევლადაც კი წარმოადგინოს სახე, მაგალითად, სიყვარულის ტრადიციული „გონიერ-გოისტური“ გაგების მიხედვით, ეს გრძნობა აუცილებლად მოიცავს ორ საპირისპირო მომენტს — თავისთავისადმი სიყვარულს და სიყვარულს სხვა ადამიანებისადმი. როგორც ცნობილია, ამ კონცეფციის ავტორებმა (მე-18 საუკუნის ფრანგმა ენციკლოპედისტებმა) სიყვარულის სრულყოფილებისა და ნამდვილობის არსებით პირობად მიიჩნიეს აღნიშნული მომენტების ჰარმონიული თანაწყობა. მაგრამ სიყვარულის მომენტთა ჰარმონიულობა არ არის აბსოლუტურად გარანტირებული. იგი შეიძლება დაირღვეს სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებით, რაც სიყვარულის პესიმისტ მკვლევარებს მისი არარსებობის თვალსაზრისსაც კი უქმნის.

მაგალითად გამოდგება, ე. წ. „მეორადი ნარცისიზმი“. ვერ ვიტყვით, რომ ზრდასრული ადამიანის ეს გრძნობა არ არის სიყვარულის გრძნობა. პირიქით, იგი სიყვარულის გამძაფრებული გრძნობაა. ოღონდ მისი ერთი მომენტის — თავისადმი სიყვარულის გააბსოლუტებას ნიშნავს, მაგრამ ამ სახით იგი გამოირიცხავს სიყვარულის მეორე აუცილებელ მომენტს — სხვებისადმი სიყვარულს და, როგორც იტყვიან, თავისთავისადმი საპირისპიროდ იქცევა: იგი ერთდროულად არის უზომო სიყვარული თავისთავის მიმართ, რაც საბოლოოდ იწვევს ჯერ გულგრილობას, ხოლო საბოლოოდ — სიძულვილს სხვების მიმართ. ვერ ვიტყვით, რომ ასეთი ვითარება ყოველთვის ელიზურ-მითოლოგიური ჭაბუკის ნარგიზის (ნარცისის) თვითდესტრუქციისა და თვითმოსპობის სახითაა წარმოდგენილი. პირიქით, ნარცისი, თუ იგი „რჩეულთა“, კერძოდ, პოლიტიკოსთა რანგს განეკუთვნება, დრო და დრო ახერხებს გარეგნულად მაინც გამოხატოს „სხვებისადმი სიყვარული“ ტაქტიკური დემაგოგიური საზრიანობის საფუძველზე. თუმცა ასეთი ტაქტიკა პოლიტიკურ მოღვაწეს დროებით უნარჩუნებს თანამდებობას, პრესტიჟს, პრივილეგიებს და ავტორიტეტს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ ნიღბავს იმ გარემოებას, რომ ასეთი „სიყვარული“ მაინც გულგრილობისა და სხვებისადმი სიძულვილის ფარისევლური ნიღაბია და არა ნამდვილი გრძნობა.

ე. ფრომის მიხედვით, ავადმყოფი საზოგადოება და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ავადმყოფი ადამიანი სიყვარულის ბალანსის დარღვევის შედეგითაა. როგორც აღვნიშნეთ, სიყვარულის აბსოლუტური ძალა დომინირებს სხვადასხვანაირი ფორმით. მისი ერთ-ერთი გამოხატულებაა შემოქმედებისა და ნგრევის უნარების თანაფარდობის რეალობა. ფრომის აზრით, ნგრევისაკენ ლტოლვის კოლოსალური ძალა, რომელიც თან სდევს კაცობრიობის ისტორიას და განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში მოქმედებს, ისევე დაფუძნებულია ადამიანის ბუნებაში, როგორც რაიმეს შექმნის უნარი. შემოქმედებითი უნარისაგან განსხვავებით, დესტრუქციულობა არის ადამიანური ყოფიერების განვითარების სხვა, ნეგატიური შესაძლებლობა, შემოქმედების ალტერნატივა „ქნადობა და ნგრევა, სიყვარული და სიძულვილი არ არის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ორი სიდიდე... შემოქმედების მოთხოვნის დაკმაყოფილებას მივეყვართ ბედნიერებასთან. ნგრევა იწვევს ტანჯვას პირველ რიგში თვით მანგრეველში“³

3 «Проблема человека в современной западной философии», Москва, 1988, ст. 458.

ფრომს მიაჩნია, რომ ადამიანი ამ გაორებული სიტუაციიდან უნდა გამო-
იყვანოს „ახალმა საზოგადოებამ“, რომელიც შეცვლის დიხტომურ ძალთა ბა-
ლანსს შემოქმედების, სიცოცხლისა და სიყვარულის სასარგებლოდ. მაგრამ ასე-
თი საზოგადოების ფრომისეული მოდელი სპეციალური ანალიზის საგანია.

დიხტომიურ არსობრივ ძალთა ფრომისეული ანალიზი სრული და სრულ-
ყოფილი არ იქნებოდა, კიდევ ერთი მომენტის გათვალისწინების გარეშე. ამ
თვალსაზრისით, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება სიცოცხლისა და სიყვარულის
ურთიერთობას. ლაკონურად სიცოცხლე არის სიყვარულის უზოგადესი და უმ-
თავრესი საგანი, სიყვარული კი არის, პირველ რიგში, სიცოცხლის სიყვარუ-
ლი, იგი ფუნქციონირებს სიცოცხლის სახელით.

„ნეკროფილია-ბიოფილიის“ დიხტომიური წყვილის შესანიშნავი დახასი-
ათებისას, ფრომი გატაცებით წარმოადგენს სიცოცხლისმოყვარული ადამიანის
სახეს. მისი ნიშნებია სიყვარული ყოველი ცოცხალისადმი, რთულისა, ერთი-
ანისა და განუყოფლისადმი. ბიოფილი უმნიშვნელო საგნებზეც კი ლაპარაკობს
სიცოცხლის სახელით, ამიტომ გატაცებით და მიმზიდველად. მაგრამ ნეკრო-
ფილსაც „უყვარს“, ოღონდ უყვარს არა ცოცხალი, არამედ მკვდარი; ბიოფილი
შემოქმედია, ნეკროფილი — დესტრუქტივისტი.

აქ შეუძლებელია ნგრევის პროცესის ყველა ასპექტის განხილვა. მიზან-
შეწონილად მიგვაჩნია მსჯელობა მომავალი თაობების ცხოვრების შესახებ
ფრომის თვალსაზრისის მიხედვით. კერძოდ, განსაკუთრებით აქტუალურია
ახალგაზრდა თაობების სულიერი აღზრდის პრობლემა. ამ პრობლემისადმი
გულგრილობაც კი ახალგაზრდობის სულიერი სამყაროს სტიქიურად ჩამოყა-
ლიბებას უწყობს ხელს. მაგრამ გაცილებით საშიშია დესტრუქციული, ნეკრო-
ფილური სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის პრაქტიკა — დაწყებუ-
ლი დამანგრეველი ძალის თუ კაცისკვლის იარაღების სიმბოლურად გამოხატ-
ველ სათამაშოთა გავრცელებით. განვრცობილი იარაღიანი მოზრდილების მიერ
ძალის კულტის უხეშ, დაუფარავ და თავმომწონე დემონსტრირებაში თვით ბავ-
შეების წინაშე დამთავრებული მათი ჩაბმით ფსიქოზით შეპყრობილი ბრბოს
დესტრუქციულ მოქმედებაში, რაც არაერთგზის გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის
უახლოეს ისტორიაში.

ამრიგად, სიცოცხლისადმი სიყვარული არა მხოლოდ ნეკროფილისა და
დესტრუქციულობის საპირისპირო ფორმაა, არამედ ჯანსაღი საზოგადოების ამ-
გები მექანიზმის ღერძიც. ამ გრძნობის შინაგანი წინააღმდეგობრივი ბუნებისა
და არაადექვატიური გარეგანი გამოსახულების მიუხედავად, იგი მაინც უარსე-
ბითესი და უმთავრესი ძალაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური, პოლი-
ტიკური, სოციალური და სულიერი განვითარების პროცესებს უნდა უქვემდებ-
არებდეს ადამიანის თვითგანვითარების ამოცანას. ამდენად, ახალი საზოგადო-
ების მოდელი უნდა აიგოს ადამიანის ყოფიერების განმტკიცებაზე ორიენტი-
რებულ მიოთხოვნილებების შესაბამისად.



ზურაბ ღვებუაძე

სიკვდილით დასჯის პრობლემა

სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც გამოცდილ იურისტებსაც კი დანაშაულებრივი ქმედებისადმი ცალმხრივი დამოკიდებულება ჰქონიათ, რისხვა დანაშაულის უშუალო შემსრულებელზე დაუტენიათ და ნაკლებად ან საერთოდ არ უფიქრიათ მომხდარის მიზეზზე, უგულებელუყვით ისეთი გარემოებები, რომლის არსებობისას დანაშაულის ჩადენა გარდაუვალი გამხდარა. საკმაოდ გავრცელებულ ამ მოვლენას იურისპრუდენციაში ბრალდებისაკენ გადახრის სახელით იცნობენ. ნაკლოვანი საპროცესო კანონმდებლობის წყალობით მდგომარეობა განსაკუთრებით სავალალოდ წარმართულა და, ბუნებრივია, მსჯავრდებულის სკამზე ზოგჯერ უდანაშაულონიც მსხდარან.

სამსახურებრივ თუ ცხოვრებისეულ ურთიერთობებში ხშირად შემინიშნავს საინტერესო ფსიქოლოგიური მომენტი: მოდავეთ ცალ-ცალკე ბრალდებათა ისეთი კორიანტელი დაუყენებიათ, რომ თანაგრძნობით გამსჭვალულს ეჭვიც არ შეშარვია მათ გულახდილობაში, რადგან ვიცი, რომ „ადამიანი ადვილად დაიჯერებს იმას, რაც მისთვის სასურველია“. ეს მოვლენა მოჭარბებული ემოციების შედეგია, რომელიც თავის მხრივ, განწყობად, საბოლოოდ კი მყარ რწმენად გვიყალიბდება. ჩვენ არ ვამტკიცებთ, თითქოს ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა მხოლოდ გონებაზე გადიოდეს, არამედ უარყოფთ აზროვნების სინამდვილეში წვდომის ყველაზე ძლიერი საშუალების დამთრგუნველ, მოზღვავებულ ემოციას.

საშიშია ემოციებით დამუხტული მასის მართვის ხელოვნების დაუფლება „საშუალო ადამიანის“ მიერ. „სულელები და ჭკვიანები ერთნაირად უვნებელნი არიან, ძნელად ასატანნი — მხოლოდ ნახევრად სულელნი და ნახევრად ჭკვიანნი“. — ამბობდა გოეთე. ოსტატურად გადმოვდებული გონების გამახვლებელი სატყუარა (პოპულიზმი) აბოპოქრებს უგონო მასას, რომელიც წალეკავს წმინდა იდეებს, ნახევრად ჭკვიანებს (დილეტანტებს) კი დინების ზედაპირზე ამოატივტივებს. ასე იბადება ტოტალიტარიზმი (დიქტატურა), როგორც სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა (რეჟიმი). ეს არა ერთხელ დაუდასტურებია ისტორიის ქართვენილებს. საშიშროება განსაკუთრებით დიდია, როდესაც ხდება მასშტაბური ხასიათის ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ სფეროში. ელვის სისწრაფით იმსხვრევა თითქოს და მარადიული შეხედულებები სუვერენიტეტის, სამართლის, მორალისა თუ ზნეობის შესახებ. გაურკვევლობის ბურუსში მოხვედრილი ადამიანი მოქმედებს იმისდა მიხედვით, თუ ხედვის რა ჰორიზონტი გააჩნია. ეროვნული თვისობრიობა დიდად არის დამოკიდებული საზოგადოების განთავისუფლებაზე ემოციების ტყვეობისაგან, იმაზე, ყურად იღებს თუ არა მოაზროვნე ინტელექტის ძახილს. ტოტალიტარიზმის

შხამით მოწამლული ქართველი ერი ძნელად გამოდის აბსტინენციის („ლომ-
კის“) მძიმე მდგომარეობიდან. ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი სიტყვა რჩეულმა
ინტელიგენციამ და არსებულმა ხელისუფლებამ უნდა თქვას.

გასულ წელს თავად გახლდით მოწმე შინაგან საქმეთა სამინისტროსა და
პარლამენტში გამართული დებატებისა, რომელიც ნარკომანიისა და სიკვდილით
დასჯის პრობლემებს მიეძღვნა. გთავაზობთ ამ შეხვედრების (დებატების) ერთ-
ერთი მონაწილის გამოსვლის ფრაგმენტს: „ნარკომანიის შეჩერება საქართვე-
ლოში მხოლოდ ტერორით შეიძლება, დრაკონული კანონის ავტორს ჰკითხეს,
როგორი სამართალია, რომ თქვენი კანონით აქლემისა და ნემსის ქურდს სიკვ-
დილით სჯითო? მან უპასუხა: ნემსის ქურდი სიკვდილითაა დასასჯელი, მაგრამ
აქლემის ქურდისათვის მეტი მკაცრი სასჯელი ვერ მოვიგონეო, ხშირად სპე-
კულიანტობენ დემოკრატიით, ჰუმანიზმით, დემოკრატია ეს არის დიქტატურა,
პიტლერი სულელი არ იყო, როდესაც ნარკომანები ერთად შეყარა, გემში ჩასხა
და ზღვაში ჩამირა. ჩვენ გვჭირდება პინოჩეტი, ჩვენ გვჭირდება დიქტატორი“.
ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ მწერალს და ბევრად არაფრით არ განსხვავდება
სიტყვაში გამოსული სხვა ორატორებისაგან, ამიტომაც ვერიდებით მისი ვინა-
ობის დასახელებას, მითუმეტეს პრობლემა ვაცილებით რთული და მასშტაბუ-
რია, მსგავსი შეხედულება ღრმად არის გამჯდარი ჩვენს ცნობიერებაში.

სიკვდილით დასჯის, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახეობის, გამოყენე-
ბის მიზანშეწონილობა ოდითგანვე აფორიაქებდა კაცობრიობას. საუკუნეების
განმავლობაში მრავალჯერ დასმულა კითხვა: რას შეუძლია შიგნით მკვლე-
ლი ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენი, თუ არა სიკვდილით დასჯის შიშს?
ღრმა გამოკვლევები კი სხვას ადასტურებს. შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ
მკვლელობის ან სხვა მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირი წინასწარ, რაციონა-
ლურად აფასებდეს მოსალოდნელ შედეგს. მკვლელობის უმრავლესობა აღზნე-
ბის, განგაშის პირობებში ხდება. ამ დროს ემოცია ბატონობს გონებაზე. ხში-
რად ძალადობითი დანაშაულის ჩამდენი პირები ზედმეტად თავშეუკავებელნი და
ფსიქიკურად დაავადებულნი არიან. ასეთ პირობებში სიკვდილით დასჯის შიში
არ შეიძლება გახდეს შემდგომი ფაქტორი. ერთ-ერთმა იაპონელმა ციხის
ფსიქიატრმა 1955-1957 წლებში მკვლელობისათვის გასამართლებული 145
მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის გარემოება შეისწავლა. მათ შო-
რის ვერც ერთი მათგანი მკვლელობის წინ რეალურად ვერ აღიქვამდა მოსა-
ლოდნელ სასიკვდილო განაჩენს, თუმცა მათთვის ცნობილი იყო ანალოგიური
დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის ფაქტები. მხოლოდ გაცნობიერებას მო-
სალოდნელი სასჯელის შესახებ არ შეეძლო შეეკავებინა მკვლელები, ვინაიდან
იმპულსურობისა და უუნარობის გამო არ შესწევდათ ძალა, შეეგრძნოთ თავი
სხვა დროის მონაკვეთში, გარდა იმწუთიერისა.

ბრიტანელი ექიმი, რომელიც ციხის ექიმად 35 წელი მუშაობდა, შემდეგ
დასკვნამდე მივიდა: „ძალიან ბევრი მკვლელი დანაშაულის ჩადენისას იმდენად
დაძაბულია, რომ ვერ აცნობიერებს თავისივე ნამოქმედარის შედეგს, სხვები კი
ახერხებენ თავი დაიარწმუნონ სასჯელის აცილების შესაძლებლობაში“. უკანას-
კნელ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, მთავარი შემდგომი ფაქტორი სას-
ჯელის გარდაუვალობის რწმენის შექმნაა, რომელიც უფრო მეტად სასჯელის
სიმკაცრეზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ სამართალდამცავი და მართლ-
მსაჯულების ორგანოთა წარმომადგენლების კეთილსინდისიერებასა და პროფე-
სიონალიზმზე. „არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ მისი გარდაუვალობა და ხან-
გრძლივობა ახდენს უფრო დიდ ზემოქმედებას ადამიანზე“. — წერდა ჩეზარე
ბეკარია, როდესაც სიკვდილით დასჯის სანაცვლოდ სამუდამო პატიმრობას მო-
ითხოვდა. ადამიანის გრძნობაზე უფრო ეფექტურად მოქმედებს სუსტი, მაგრამ

განმეორებითი შთაბეჭდილებები, ვიდრე ძლიერი და სწრაფად წარმავალი ფაქტები. სიკვდილით დასჯის შიში დამნაშავეს იპყრობს მხოლოდ მაშინ, როცა დგება მისი აღსრულების დრო, მაგრამ ეს შიში სისხლის სამართლის პოზიციიდან დაგვიანებული, უშედეგო ზემოქმედებაა ადამიანზე. ასეთ შემთხვევაში არც ზოგადი პრევენციის (სხვების გაფრთხილება) გადაჭარბებით შეფასება გამოკვადგებოდა. არაერთი ფაქტი იცის სასჯელის აღსრულების პრაქტიკამ, როდესაც საჯაროდ გილიოტინაზე დამნაშავეს თავის მოკვეთის პროცესში იქვე იმავე დანაშაულს სხვა მოქალაქე სჩადიოდა.

ჩვეულება გამოირიცხავს შიშს, წერდა ს. მოკრინსკი. ადამიანი ადვილად ეგუება თავის საკუთარ სიკვდილსაც კი. ნებისმიერ ადამიანს გაცნობიერებული აქვს, რომ ადრე თუ გვიან კარზე სიკვდილი მიუჟაკუნებს, უფრო მეტიც, დაუფიქრებლად ეწევიან ისეთ რისკს, რამაც ახლობლებსა და ნაცნობებს სიცოცხლე მოუსწრაფა. რაც მთავარია, სიკვდილით დასჯის შემთხვევაში ირღვევა სასჯელის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც დამნაშავეს გამოსწორებასა და გაფრთხილებას (კერძო პრევენცია) გულისხმობს. „ხშირად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები მზად არიან გამოსწორდნენ, სიკვდილით დასჯით კი მათ ამის შესაძლებლობას ვუსპობთ—, იგი სხვა არა არის რა, თუ არა ცხოველური შურისძიება“ (ა. კისტიაკოვსკი).

„თუ ჩადენილია საშინელი დანაშაული, ისმის ხმამაღალი, ისტერიული მოთხოვნები მკვლელის წამებისა და სიკვდილით დასჯის შესახებ. დამნაშავეს ხვრეტენ, ახრჩობენ, კვეთენ თავს, წვავენ ცოცხლად, ქოლავენ ან ჭრიან ნაკუწებად. აი, ეს არის რეაქცია, ე. წ. ხალხისა, რომელიც გაავებულია სიბრაზისაგან, უსუსურია და ეშინია, დღეს თუ ხვალ, შესაძლოა, თავად გახდეს დანაშაულის მსხვერპლი. უფრო მეტიც, მათი აზროვნება პრიმიტიული, პათოლოგიური უპასუხისმგებლობაა. წამება და სიკვდილით დასჯა არასდროს გამოისყიდის დანაშაულს. იგი უბრალოდ შურისძიების დანაშაულებრივი ხერხია, პოტენციურად მასში მეტი ფარული სისასტიკე და სისხლის წყურვილია, ვიდრე იმპულსურად მოქმედ მკვლელში. საზოგადოება და სახელმწიფო, ისევე როგორც თითოეული ადამიანი, პასუხისმგებელია მასზე, გაცილებით რთული და საპატიო მოვალეობაა გიყვარდეს, დაეხმარო, თანაუგრძნო, მიუხედავად იმისა, დამნაშავეა იგი, თუ — უდანაშაულო“.

ილია ჭავჭავაძე გამოდიოდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და თავის მოსაზრებებს შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებდა: ჯერ ერთი, სიკვდილით დასჯა „აჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირად ნახვით კი ყურიც ეჩვევა და გრძნობაც“. მეორე, „სიკვდილით დასჯით ირყევა ადამიანთა ზნეობა“. მესამე, სიკვდილით დასჯის შეფარდებით დაშვებული შეცდომების გამოსწორება შეუძლებელიაო. მართლაც, ადამიანი ბუნებით ცდომილია, ჯერჯერობით ცივილიზებულ სამყაროს არ შეუქმნია შეცდომისაგან თავის დამცავი მექანიზმი, ამის გამო პრაქტიკაში უდანაშაულოთა დასჯის მრავალი ფაქტი არსებობს, სიკვდილით დასჯის შემთხვევაში კი საბოლოოდ ამოწურება ყველა შესაძლებლობა უდანაშაულოთა რეაბილიტაციისათვის. „ამერიკის შეერთებულ შტატებში 1886—1927 წლებში 406 მსჯავრდებულიდან 50 შეცდომით დასაჯეს“. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ადგილი ჰქონდა იმ მსჯავრდებულთა დასჯას, რომელთა ბრალეულობა სერიოზულ ეჭვს ბადებდა. საერთოდ, უდანაშაულოდ დასჯილთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა ფაქტობრივად შეუძლებელია. 1987 წელს გამოქვეყნდა კვლევის შედეგები, სადაც აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ საუკუნეში უკვე დაისაჯა 23 უდანაშაულო ადამიანი. დიდი ბრიტანეთის ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, როი ჯენკინსმა 1987 წლის აპრილში სიკვდილით დასჯის შესახებ დებატების დროს

განაცხადა: „ამ თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში მე მომიწია 10 საქმის განხილვა, ყოველ მათგანზე შეგვეძლო გამოგვეტანა სიკვდილის განაჩენი და ყოველ მათგანზე არსებობდა გარკვეული სახის ეჭვი, რომ პირი უდანაშაულოა. მიმაჩნია, რომ ადამიანის განსჯა ძალზედ არამყარია იმისთვის, რათა იგი სიკვდილით დასჯის დასასაბუთებლად გამოვიყენოთ“.

1950 წელს იაპონიაში ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს საკე გენდას. 33 წლის შემდეგ, 1983 წელს, იგი უდანაშაულოდ აღიარეს. სამ ათეულზე მეტ ხანს გენდა ცხოვრობდა სიკვდილით დასჯის საფრთხის ქვეშ. ხუთჯერ უშედეგოდ მიმართა თხოვნით გადაესინჯათ მისი საქმე და მხოლოდ 1979 წელს მე-6 აპელაცია დაგვირგვინდა წარმატებით.

1982 წლის თებერვალში ტაივანის უმაღლესმა სასამართლომ გაამართლა 74 წლის ჩანგ კუი ჩი, რომელიც გასამართლებული იყო 1973 წელს ჩადენილი მკვლელობისათვის, მას აღიარებული ჰქონდა მკვლელობის ჩადენის ფაქტი, მაგრამ აღიარების დეტალები ეწინააღმდეგებოდა დადგენილ ფაქტებს და არ შეესაბამებოდა გამოძიების შედეგებს. საბრალდებო განაჩენის გამოტანის შემდეგ საქმე 11-ჯერ განიხილეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაამართლეს მსჯავრდებული.

ყოფილ საბჭოთა კავშირში არადემოკრატიული სასამართლო ინსტიტუტის არაკომპეტენტურობასა და კორუფციას მიჰყავდა უდანაშაულონი სიკვდილით დასჯის განაჩენამდე. ბელორუსელ კოლმეურნეს ვ. ტოისეკს, მკვლელობისათვის მისჯილი ჰქონდა სასჯელის უმაღლესი ზომა. 1970 წელს სასჯელი შეუმსუბუქეს, მაგრამ დახვრეტის მოლოდინში წელიწადნახევარი გაატარა და გაათავისუფლეს მხოლოდ 1978 წელს. პატიმრობაში გაატარა 14 წელი და 8 თვე. გამოძიებამ ტოისევის აღიარებას უკანონო დაკითხვებით მიაღწია. დამატებით მტკიცებულების მიღების მიზნით სცემეს მის 15 წლის ძმას. მას შემდეგ, რაც გამოვლინდა და დადგინდა ნამდვილი დამნაშავე, გამოძიებამ გაანადგურა გამოძიების პროცესში კანონის უხეში დარღვევითა და არაკანონიერად მიღებული მტკიცებულებანი.

ბელორუსიაში, კერძოდ, ქ. ვიტეფსკაში, 14 წლის მანძილზე ერთმა დამნაშავემ 36 ქალის სიცოცხლე შეიწირა. ამ ხნის განმავლობაში ამ საქმისათვის 11 ასამართლო პროცესზე გასამართლდა 14 უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის რამდენიმე სიკვდილით დასაჯეს.

საქართველოში ეს პრობლემა ღრმად არავის შეუსწავლია, მაგრამ საგამომიებო და სასამართლო შეცდომები რომ საკმაოდ არის, თუნდაც ჩემი ხანმოკლე საადვოკატო პრაქტიკიდანაც ვიცი, კერძოდ: 1986 წლის 27 იანვარს ჭიათურის რაიონის სოფელ სკინდორის სკოლის მასწავლებელს 9 წლის გოგონას გაუპატიურებისათვის უზენაესმა საამართლომ სასჯელის ზომად 13 წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით გადასახლება მიუსაჯა (მისთვის წარდგენილი მუხლი სასჯელის ზომად დახვრეტასაც ითვალისწინებდა). მიუხედავად მრავალრიცხოვანი საჩივრისა, მ. ჩუბინიძემ უკანონო პატიმრობაში 3 წელი დაჰყო. 1988 წელს შეწყდა სისხლის სამართლის საქმე მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, 1990 წლის 10 ივნისს უზენაესმა სასამართლომ ჩადენილ დანაშაულში დამნაშავედ ცნო დაზარალებულის მამინაცვალი ი. ფხალაძე. ჩუბინიძის საქმეზე აშკარა იყო გამოძიებლისა და მოსამართლის მიერ ჩვენებების გამოძალვის და ყალბი მტკიცებების შექმნის ფაქტები. 1990 წელს ვ. ჯვარშიევილის მიმართ წარდგენილი ბრალდებაც (სსკ 96 პრიმა მუხლი) სასჯელის უმაღლეს ზომას — დახვრეტას ითვალისწინებდა. მხოლოდ ხანგრ-

ძლივი გამოძიებისა და სასამართლო პროცესების შემდეგ დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო შეწყვიტეს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე.

სიკვდილით დასჯა რომ უფრო ეფექტიან შემთავებელ ზემოქმედებას აღედგინა პოტენციურ დამნაშავეზე, ვიდრე სხვა სასჯელი, იგი აუცილებლად დადასტურდებოდა სტატისტიკური მონაცემებით. მრავალრიცხოვან გამოკვლევებში არცერთი შემთხვევა არ არის, სადაც შეიძლება დავინახოთ კავშირი სიკვდილით დასჯასა და დანაშაულის ზრდის მაჩვენებელს შორის.


პირველ დიდ მოხსენებაში, რომელიც მომზადებული იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის (გამოქვეყნდა 1962 წ.) და ეხებოდა სიკვდილით დასჯის პრობლემას, გაკეთდა შემდეგი დასკვნა: „ყველა არსებული მონაცემით დასტურდება, რომ სიკვდილით დასჯის გაუქმებას არასოდეს გამოუწვევია იმ დანაშაულთა შესამჩნევი ზრდა, რომელთა გამოც მოხდა მისი გაუქმება“.

დიდი ბრიტანეთის სიკვდილით დასჯის სამეფო კომისიამ (1949-53 წწ.) შეისწავლა ევროპული ქვეყნების, ახალი ზელანდიის, ამერიკის და ავსტრალიის ცალკეული შტატების სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მკვლევლობისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმებას ეხებოდა და მივიდა დასკვნამდე: „სიკვდილით დასჯის გაუქმებას არ მივყავართ მკვლევლობის რიცხვის ზრდასთან და, პირიქით, სიკვდილით დასჯის აღდგენას – მკვლევლობის რაოდენობის შემცირებამდე“.

იმ ქვეყნების ბოლო მონაცემებიც, სადაც გაუქმდა სიკვდილით დასჯა, ასევე არ დასტურებს იმ ფაქტს, რომ სასჯელის ამ ზომის გაუქმებამ ნეგატიურ შედეგებამდე მიგვიყვანა. მაგალითად, სამხრეთ ავსტრალიაში სიკვდილით დასჯა გაუქმდა 1976 წელს, ხანგრძლივი პერიოდის კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მიღებულმა ზომამ არ მოახდინა ზეგავლენა შესაბამისი დანაშაულის ზრდის ტენდენციაზე. იამაიკაზე 1976 წლიდან 1980 წლამდე, სიკვდილით დასჯის მორატორიუმის მოქმედების პერიოდში, მკვლევლობების კოეფიციენტი არ შეცვლილა.

ნიგერიის სამართლისა და კრიმინოლოგიის პროფესორმა 1967–1985 წლებში სასჯელისა და მკვლევლობის მაჩვენებლებს შედარება მოახდინა და დაადგინა: „ამ პერიოდისათვის ქვეყნის უმეტეს ნაწილში მკვლევლობის რიცხვი საგრძობლად იზრდებოდა, თუმცა მკვლელი სიკვდილით ისჯებოდა. წინა 1970 წელთან შედარებით გაიზარდა აგრეთვე შეიარაღებული ყაჩაღობის რიცხვი, მაშინ, როდესაც ამ დანაშაულისათვის ნიგერიის მთელ ტერიტორიაზე სიკვდილით დასჯა იქნა შემოღებული“. მეცნიერი მივიდა შემდეგ დასკვნამდე: ნიგერიაში მკვლევლობისა და შეიარაღებული ყაჩაღობისათვის სიკვდილით დასჯა არაეფექტიანი აღმოჩნდა.

იმისათვის, რომ სიკვდილით დასჯა გაამართლოს, მავანი ხშირად იშველიებს საზოგადოებრივ აზრს და მოჰყავს გამოკითხულთა მონაცემები. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლების რეალიზაცია არასდროს არ უნდა იყოს დამოკიდებული საზოგადოებრივ აზრზე. ემოციებით და შურისძიებით დამუხტული საზოგადოება ხშირად უსასტიკესია და ძალზე შორსაა ჭეშმარიტებისაგან. სამწუხაროდ, იგი სიამოვნებით ზედება ველური ყინის გამოვლინებას. 1990 წელს სოფელ გრემის მცხოვრებლებმა მკვლევლობაში ეჭვმიტანილი ჩაბრაშვილი მოკლულის ბინიდან ოციოდე მეტრში ბოძზე მიაკრეს და ჩაქოლეს. სამწუხაროდ, ზოგიერთი თანამდებობის პირთა წაქეზებითა და მიყრუებით ასეთი ფაქტები გარკვეულ პერიოდში ძალზედ გავრცელებული იყო, რაც სახელმწიფოებრივი ფუნქციის მოშლაზე მიგვანიშნებდა. ბევრი თანამდებობის პირი, ხალხის (მასის) სამართლიანობასა და შეუმცდარობის ნიღაბს ამო-



ფარებული, ამ გარემოებას თავისი დაბალი პროფესიონალიზმისა და ქვენაგრძობის დამალვისათვის იყენებდა. საზოგადოების მიერ სიკვდილით დასჯის გამართლება დამყარებულია შესაბამისი ფაქტების არასრულყოფილად გაცნობისა და სათანადო სამართლებრივი კულტურის უქონლობაზე. თანამდებობის პირები, რომლებიც პასუხს აგებენ ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე, ვალდებული არიან, ყურადღება გაამახვილონ არა მარტო საზოგადოებრივ აზრზე, არამედ უზრუნველყონ მოცემული პრობლემის ირგვლივ საზოგადოების ყოველმხრივი შემზადება. ბუნებრივია, ადამიანები, რომელთაც საფუძვლიანი წარმოდგენა ექნებათ სიკვდილით დასჯისა და იმ მიზეზთა შესახებ, რაც განაპირობებს მათ გაუქმებას, ასეთი სასჯელის გამოყენების წინააღმდეგი იქნებიან.

დღეისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური მოვლენების კრიმინოლოგიურ გააზრებას. უკანასკნელ წლებში მომხდარმა ღრმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა თითქმის ყველა მიმართულებით კრიზისული სიტუაცია შექმნა. უსახსროდ და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ნაწილი, ფაქტობრივად სოციალურად დაუცველი აღმოჩნდა. ვფიქრობთ, განსაკუთრებული უბედურება ის გახლავთ, რომ მათ შორის ბევრი, საკუთარი თავისა და ახლობლების გადასარჩენად, იძულებულია დანაშაულებრივ საქმიანობას მოჰკიდოს ხელი.

საკანონმდებლო სიახლე მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს სიცოცხლისუნარიანი, თუ იგი საფუძვლიან მეცნიერულ კვლევას დაემყარება. თუ შევეცდებით დანაშაულის წარმოშობის მიზეზების აღმოფხვრას და მარტივი გზით მხოლოდ შედეგს არ დავუპირისპირდებით, სხვა ქვეყნის კანონმდებლობის უბრალო გადმოწერით არსებულ პრობლემებს ვერ გადავჭრით. ბუნებრივია, ასეთ პირობებში კანონის გამკაცრებაზე აქცენტის გადატანა (მაშინ, როდესაც არსებული კანონმდებლობაც არ ხორციელდება), სადამსჯელო კანონისათვის სოციალური პროცესების მოწესრიგების ფუნქციის დაკისრება თავისთავში უკვე მოიცავს პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. სახელმწიფოს უპირველესი დანიშნულებაა ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, სწორედ თავისუფალი პიროვნება ქმნის ღირებულებას და არა მოჩვენებით სიმშვიდეში ჩაკარგული, გასაცოდავებული კაცი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თვით სტალინიც კი ფორმალურად იძულებული იყო უარეყო წესრიგისა და სიმშვიდის დამყარების რეპრესიული ხერხი. თავის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა საბჭოების სრულიად საკავშირო საგანგებო მერვე ყრილობაზე, სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ განაცხადა: „ერთ-ერთ თავის ზღაპარ-მოთხრობაში დიდი რუსი მწერალი შჩეღრინი იძლევა თავნება ბიუროკრატის ტიპს, რომელიც ძალიან შეზღუდულია და გონებაჩლუნგი, მაგრამ უაღრესად დარწმუნებული თავის თავში და ფიცხი. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისდამი „რწმუნებულ ოლქში“ წესრიგი დაამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრები გაჟლიტა და ათობით ქალაქი გადაწვა, მან ირგვლივ მიმოიხედა და ჰორიზონტზე შენიშნა ამერიკა, რასაკვირველია, ნაკლებად ცნობილი ქვეყანა, სადაც თურმე არის რაღაც თავისუფლებები, რომლებსაც ხალხში შფოთი, შეაქეთ და სახელმწიფოს სხვა მეთოდებით მართავენ, ბიუროკრატმა ამერიკა შენიშნა და აღშფოთდა: „ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსებობს იგი — განა არ შეიძლება მისი დახურვა, რომ მისი ხსენებაც არ იყოს“ და თქვა თუ არა ეს, დაადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა“.

ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულმა ღრმად უნდა დააფიქროს საზოგადოება, განსაკუთრებით კი ინტელიგენცია. ტოტალიტარიზმის ეპოქაში წითელი ტე-

რორის მბეინვარების ჟამს, უპირველესი დარტყმა ზომ ამ უკანასკნელმა განიცადა, იმ დროშიც ხალხისა და კანონის სახელით მიერეკებოდნენ სასაკლავო ღირსეულ მამულიშვილთ.

როგორც აღვნიშნეთ, დღესაც არასახარბიელო მდგომარეობა სუფევს — სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს პიროვნების ელემენტარულ დაცვას, ძველი სამართლებრივი ბაზა დანგრეულია, ახალი კი შექმნის პროცესშია, პოლიტიკური ქარტეხილების გამო ხელისუფლებას ავტორიტეტი შელახული აქვს, უსამართლო (ველური) გადანაწილების წყალობით სიმდიდრის უდიდესი ნაწილი უმცირესთა საკუთრებაში აღმოჩნდა, დეპრესირებული ახალგაზრდობა და შიმშილობის ზღვარზე მისული მოსახლეობის დიდი ნაწილი უიმედოდ გაჰყურებს მომავალს, სახეშეცვლილი დამნაშავეთა სამყარო კვლავ უდიდეს ტვირთად აწვევა ქვეყანას. ვფიქრობთ, ასეთ პირობებში განსაკუთრებით საშიშია სასჯელის სახით სიკვდილით დასჯის არსებობა. იგი შესაძლებელია ანგარიშსწორების ან სხვა ქვენა გრძნობის იარაღად იქცეს.

შექმნილ მდგომარეობაში ალბათ ყველას ჩვენი წილი ბრალი მიგვიძღვის. ამ შემთხვევაში, ვიდრე დამნაშავეთა უსასტიკეს დასჯას მოვითხოვდეთ, უმჯობესია გავიხსენოთ სახარებისეული შეგონება: „ვინც უცოდველ არს, იმან დაუტეოს ქვაი ზედა“: არც ჩვენი სულმნათი ილიას სიტყვები უნდა დაგვაიწყდეს: „დიდი და მძიმე სასჯელი სრულიადც არ შველის დანაშაულის ამოკვეთას და ზნეობრივ გამოსწორებას“.

ქმ
და

მარინა კვამბაძე

ადამიანის უშიშროების უზიაროების და ხელშეუხებლობის სამართლებრივი საკითხები

ადამიანის უშიშროება მრავლისმომცველი, კომპლექსური მოვლენაა, რომელიც აერთიანებს ადამიანის ფიზიკურ, ფსიქიკურ, გენეტიკურ, რეპროდუქციულ ხელშეუხებლობას. მისი დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეკონომიკური, პოლიტიკური, ინფორმაციული, იურიდიული და სხვა ზომების მწყობრი სისტემით, სამართლებრივი აქტების სისტემით, რომლებიც თავის მხრივ იცავენ პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და აწესებენ პასუხისმგებლობას მასზე ხელყოფის შემთხვევაში.

თუკი, ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობა (მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა) სამართლებრივ დაცვას ექვემდებარება და ამის დამადასტურებლად სისხლის სამართლის კოდექსში მთელი რიგი მუხლებია მოცემული (მაგალითად, საქართველოს სსკ III თავი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისაგან შედგება), სხვა სახის მახასიათებლები და კერძოდ, ადამიანის ფსიქიკის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ძალიან მეტირეა ან საერთოდ არ არის მოხსენიებული და სამართლებრივად რეგულირებული (მაგ., ფსიქიკა, რეპროდუქციულობა, გენეტიკა და სხვა).

ისევე, როგორც ფიზიკური ჯანმრთელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობაც მნიშვნელოვანია ადამიანისათვის. ადამიანის პარამონიული განვითარება მხოლოდ ამ ორი ურთიერთდაკავშირებული მოვლენის კომპლექსურ განვითარებაში მოისაზრება.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადამიანის ფსიქიკის უშიშროებასა და ხელშეუხებლობაზე პირველად საჭაროდ, საქანონმდებლო დონეზე მსჯელობა 60-იან წლებში დაიწყო და ამის შედეგად, 1966 წელს მიღებულ საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ ჩამოყალიბდა მე-12 მუხლი, რომ ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება არა მარტო ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც და სახელმწიფო თავის მხრივ ვალდებულია მიიღოს ზომები ამ უფლებების დასაცავად.¹

მიუხედავად ამისა, ადამიანის ფსიქიკის ხელშეუხებლობის საკითხი ჩვენს სამამულო იურიდიულ ლიტერატურაში ნაკლებად არის დამუშავებული.

თუკი, ჩვენს სისხლის სამართლის კოდექს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ არ არსებობს არც ერთი სპეციალური მუხლი, რომელიც თვით ადამიანის ფსიქიკას იცავდეს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. არ არის შემუშავებული ფსიქიკის უშიშროების დაცვის კონცეფცია, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდებოდა საქანონმდებლო ბაზის აღმოცენება.

ზემოთ დასმული პრობლემა ორ ასპექტში უნდა განვიხილოთ: 1) ადამიანის ფსიქიკა, როგორც სამართლის დაცვის ობიექტი; 2) ადამიანის ფსიქიკა, როგორც საშიშროების წყარო.

განვიხილოთ ორივე ასპექტი დეტალურად. ამისათვის ენახით, თუ როგორ განმარტავს კლასიკური სისხლის სამართლის თეორია ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას.

იურიდიულ ლიტერატურაში საკმაო ყურადღება ეთმობა ძალადობის (როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური) შესწავლას. ეს ინტერესი იმით აიხსნება, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელიც საკუთარი ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს, იმყოფება ფიზიკური ძალადობის ან ფსიქიკური ზემოქმედების ქვეშ. ამგვარ მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება ან უმოქმედობა ვერ გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

1 «Права человека: основные международные документы», М., 1990, с. 26.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის მეცნიერება ძალადობის ორ ფორმაზე მივიყო-
თება: ფიზიკურზე და ფსიქიკურზე. აქედან გამომდინარე, ვერც ერთი დანაშაულის კვალი
აკაცია ვერ მოხერხდება ძალადობის განხილვის გარეშე.

ფსიქოლოგიური საშიშროება გამოვლინდა ფსიქიკაზე უშუალო ზემოქმედებისას. შესაძლებელია
ბეჭდის მოხდეს 2 ტიპის ზემოქმედება: 1. როდესაც ფსიქიკაზე ზემოქმედების შედეგად დაზარა-
ლებულის ფიზიკური ჯანმრთელობა უვნებელი რჩება, მაგრამ იცვლება ადამიანის ქცევა, ის
მოქმედებს თავისი ნებისაგან დამოუკიდებლად და ახორციელებს კანონსაწინააღმდეგო ქმედ-
ბას. ამ ტიპს უახლეს სპეციალურ იურიდიულ ლიტერატურაში ინფორმაციულ-ფსიქოლოგიურ
ზემოქმედებას უწოდებენ; 2. როდესაც ზიანდება თვით ფსიქიკის სტრუქტურა, ადამიანის
ფსიქიკური ჯანმრთელობა, წარმოიშობა ნეგატიური ფსიქიკური მდგომარეობა და ირღვევა
ფსიქიკური პროცესები. განვიხილოთ უფრო კონკრეტულად. ურისტები ფსიქიკური ქცევის
შეცვლის ერთადერთ ფორმად განიხილავენ შიშს, როგორც რეაქციას ფიზიკური, მატერიალუ-
რი ან სხვაგვარი დანაკარგის საშიშროებაზე. შიშის გამომწვევ ფაქტორად კი მუქარა მიჩნეუ-
ლი. მუქარა, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს შიშის გამომწვევი ფაქტორი, მაგრამ შიშის სა-
ფუძველი ყოველთვის უკვე განხორციელებული მუქარა როდია. არ არის გამორიცხული, რომ
მუქარა არც კი არსებობდეს, მაგრამ ადამიანი შეიპყროს შიშმა, მავალითად, მასზე ან მის ახ-
ლობლებზე შეურაცხყოფელი ინფორმაციის გავრცელების გამო. იმის მოლოდინში, რომ ამ-
გვარი ინფორმაცია გავრცელდება, დამანაშავე კლავს პირებს, რომლებიც ფლობენ ამგვარ ინ-
ფორმაციას. ადამიანის მოქმედებას საფუძვლად უდევს მუქარის მოლოდინის შიში და მისი
კანონსაწინააღმდეგო მოქმედება სწორედ ამ მუქარის მოლოდინითაა განპირობებული, შიში
ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელსაც შეუძლია ადამიანის ფსიქიკაში გამოიწვიოს გა-
უთვალისწინებელი ცვლილებები, ის ადამიანის გარეგან მოქმედებაზეც ასახება.

ფსიქიკური ძალადობის ნაიხსახეობად შეიძლება თაღლითობაც ჩაითვალოს. ამ დროს და-
ზარალებული შეპყავთ შეცდომაში ისეთი რეკომენდაციების მიცემით, რომელიც ეწინააღმდე-
გება მის ინტერესებს. ეს სხვა არაფერია, თუ არა ფსიქიკური ზემოქმედება, თუმცა ეს ზემოქ-
მედება შეიძლება შეუცნობელიც იყოს დაზარალებულისათვის უშუალოდ თაღლითობის მო-
მენტში.

ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ყველაზე გავრცელებული ფორმა დღეისა-
თვის თაღლითობაა. მაგ., ბანკის მიერ ყალბი აქციებისა და არარეალური დივიდენდების დაპი-
რება და სხვა. ამგვარი დანაშაულის ჩადენის დროს დამანაშავე ან დამანაშავეთა ჯგუფი ფსიქი-
კური ზემოქმედების მეტად ეფექტურ ფორმას მიმართავენ — სისტემატიურ რეკლამას მასობ-
რივი ინფორმაციის წყაროებში საჩუქრებისა და პრეზენტაციების, მასობრივი სანახაო-
ბების მოწყობის თაობაზე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ადამიანი ნაკლებად ექცევა ამგვარი ინფორმა-
ციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ, თუნდაც საკუთარი გამოცდილების ან საკუთარი
ერუდიციის გამო, ზოგნი კი უფრო მიმდობნი არიან. სწორედ ეს უკანასკნელი გადიცქევია
ხოლმე დამანაშავეთა ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ობიექტად.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედების ისეთი გა-
მოვლინებები, რომლებიც მედიცინაში ვხვდებით.

დაზარალებულთა პრობლემა არც სამედიცინო სფეროსათვის არის უცხო. კერ-
ძოდ, სამედიცინო მკურნალობისას მეცნიერულად დაუსაბუთებელი, არატრადიციული მე-
თოდების გამოყენება და არასწორი ინფორმაციის მიწოდება ავადმყოფისათვის, არასწორი დი-
აგნოზის დასმა. აღნიშნული საკითხი სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს, რადგან ის და-
კავშირებულია ზიანის მიყენებასთან — ჯანმრთელობის მოშლა, თვითმკვლელობამდე მიყვანა
და სხვ.

აღნიშნულ პრობლემაზე საქმოდ ბევრი გამოკვლევაა ჩატარებული საზღვარგარეთ. კერ-
ძოდ, დამტკიცებულია, რომ უშუალო ზემოქმედება ქვეცნობიერებაზე შესაძლებელია მოლე-
ტლოგიური ტექსტით, დისტანციური პოლარიზებული სხივების იმპულსური ზემოქმედებით
(სხივური იარაღით), რომელიც ორიენტაციის დაკარგვას, გულსრევის შეგრძნებას, წინააღმ-
დეგობის გაწვევის უნარის დაკარგვის იწვევს. ასეთივე ემპიტი სიღრვე ულტრაბის გენერატო-
რის და ინტრაფითელი სხივების გამოყენება.

მასობრივი ინფორმაციის წყაროებში, ბიოენერგეტიკულ ზემოქმედებას, აკუმულირებულს
სპეციალურ მოწყობილობაში (იარაღში), „პსი-ენერჯის“ ბიოელექტრონულ ჰიპნოგამოსიხვე-
ბის იარაღს უწოდებენ. აღნიშნული იარაღის შესახებ მოკრძალებულ ინფორმაციას მასობრივი
ინფორმაციის წყაროებში და უფრო იაშვიათად, სამეცნიერო ნაშრომებში ვხვდებით.² ჰიპნო-

2 Стоколос А., «Внимание—психотропное оружие», «юрид. газ.», 1992,
№ 5, 6; Тер-Акопов А., «О правовых аспектах психической активности и пси-

გამოსხივების იარაღი უმეტესად სამხედრო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნებისათვის გამოიყენება (ტერორიზმთან ბრძოლა, დემონსტრაციების დაშლა და სხვა). ამავე მიზნისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს ბიოენერგეტიკის მატარებელი ადამიანიც.

ადამიანის ფსიქიკაზე ნეგატიურ ზეგავლენას იწვევს აგრეთვე სტერეოტიპული ფრაზების გამოვრება.

ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედება შესაძლებელია სხვადასხვა მედიკამენტების გამოყენებით ან სპეციალურად ამისათვის გამოიზნული საშუალებებით, მაგალითად, სპეციალური ვაზებით, ეს უკანასკნელი კი პრაქტიკაში არც ისე იშვიათად გამოიყენება და გარკვეულ ეფექტსაც იძლევა. ამის მაგალითად თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიაც გამოდგება, რომლის დროსაც მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებული იყო ფსიქოპარალიტიკური ვაზი. ამან კი გამოიწვია დემონსტრანტთა დაშვება, მათი სხეულის მძიმე დაზიანება, სიკვდილი, დემონსტრანტების მასიური მოწამვლა და მათი ფსიქიკის დაზიანება.

ფსიქიკური ძალადობა შესაძლებელია განხორციელდეს ჰიპნოზითაც. იგი შთაგონების მეშვეობით ხორციელდება, შთაგონება კი ადამიანის შეშეცნებაში გარეშე სამყაროდან გარკვეული იდეის შეჭრას გულისხმობს. როგორ დაკვალიფიცირდება მოქმედება, როდესაც დამნაშავე ჰიპნოზის მეშვეობით სიცოცხლეს უსპობს დაზარალებულს ან აიძულებს მოკლას სხვა პირი? ჩვენი აზრით, ჰიპნოზი ფსიქიკურ ძალადობის ფორმად უნდა ვიღიაროთ. ამის დამადასტურებლად განვიხილოთ ორი მაგალითი: 1. მსხვერპლის მკვლელობა ხორციელდება ჰიპნოზის მეშვეობით. ამ დროს დამნაშავემ განზრახ მოქმედებს. მას სურს და შეგნებული აქვს, რომ ჰიპნოზის გამოყენებით მოადუნებს ან საერთოდ მოუსპობს წინააღმდეგობის უნარს მსხვერპლს. დანაშაულის სუბიექტი პარალელურად უკეთებს მსხვერპლის მთელ სხეულს. მის ფსიქიკას, რაც თავისთავად იწვევს მთელი სხეულის (ციღურების, მუსკულატურის, შეშეცნების) მოდუნებას და ნებისყოფის სრულ გაქრობას. საგამომიებო პრაქტიკაში იშვიათობა როდია ჰიპნოზით ჩადენილი დანაშაულები, მაგ., ვენის ერთ-ერთ ცნობილ ბანკში ორმა ახალგაზრდა ქალიშვილმა ჰიპნოზის გამოყენებით მოლარეს დიდძალი თანხა გამოართვა ყოველგვარი საბუთის გარეშე და მიიმალნენ. მოლარემ თანხა გასცა და უფრო მეტიც, არც სიგნალიზაცია ჩართა და არც განაცხადა. დანაკლისი დღის ბოლოს აღმოაჩინეს. პოლიციის მოსვლის დროს მოლარე ისევ ტრანსში იმყოფებოდა და მისი ამ მდგომარეობიდან გამოყვანა ძლივს მოხერხდა; 2. დამნაშავე იყენებს ჰიპნოზს და სრულ ან ნაწილობრივ პარალელურად უკეთებს მსხვერპლის ფსიქიკას, რაც საშუალებას აძლევს მას გამოიყენოს როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღი. მსხვერპლის ფსიქიკა მთლიანად დამნაშავეს ნებაზეა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება არა იმას, ვინც უშუალოდ განაზრციელა დანაშაული, არამედ იმ პირს, ვინც აიძულა ჩადენა ეს დანაშაული. ამ დროს თანამონაწილეობა გამოირიცხება. ლაბარაკია მხოლოდ შუალობით ამსრულებელზე, რადგან სისხლის სამართლის თეორიაში იმ შემთხვევას, როდესაც დამნაშავემ დანაშაულის შემადგენლობა სხვა ადამიანის („იარაღის“) მეშვეობით შეასრულა, დანაშაულის შუალობით ამსრულებლობას უწოდებენ.

დაჰიპნოზებული პირი შეიძლება შეურაცხად პირს გავუთანაბროთ, იმ განსხვავებით, რომ შეურაცხადი პირი სულით ავადმყოფია და მკურნალობას საჭიროებს, ხოლო დაჰიპნოზებული ადამიანის შეშეცნება და ნება მოკლე დროის მანძილზე, გარეშე ძალის ჩარევით, სრულიად ან ნაწილობრივად გამოთიშული. ამ შემთხვევაში შეურაცხადობის ინსტიტუტს სპეციალური ადაპტაციის გარეშე ვერ ვინმართ, რადგან არ არსებობს ავადმყოფობა მისი ტრადიციული გაგებით, ე. ი. არ არსებობს შეურაცხადობის კლასიკური გაგება; რამეთუ შეურაცხადობა გულისხმობს: „... პირი, საზოგადოებრივად საშიშო ქმედების ჩადენის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ე. ი. არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი საკუთარი მოქმედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის დროებით მოშლადობის, ქუსუსტობის ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო“ (საქართველოს სსკ მე-13 მუხლი). კანონმდებელი ქრონიკულ სულიერ ავადმყოფობაში გულისხმობს ისეთ დაავადებას, რომელიც შედარებით ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარეობს და პროგრესირდება, მაგ., შეროფრენია, ეპილეფსია და სხვ. სულიერი მდგომარეობის დროებით მოშლილობაში იგულისხმება ფსიქიკური დაავადება, რომელიც დროის ხანმოკლე პერიოდში მიმდინარეობს და ავადმყოფობა განიკურნება, მაგ., პათოლოგიური აფექტი, პათოლოგიური სიმთვრალე და სხვ. ქუსუსტობა — გონებრივი უნარის თანდაყოლილი მნიშვნელოვანი ჩამოქვეითებაა, რომელიც მუდმივ

хологической безопасности человека», и «Государство и право», М., 1993, № 7; «Аргументы и факты», 1996, № 5.

ხასიათს ატარებს. სხვა ავადმყოფურ მდგომარეობაში გულისხმობენ ფსიქოფატიის მიძიმე ფორმებს.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებიდან ჩანს, შეურაცხადობა, ადამიანის ფსიქიკური მოშლის უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვარდა ამისა, ეს არის დაავადება, რომელიც მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში განქურნებადია, მაგრამ მისი განქურნება მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებებში ხერხდება და ხანგრძლივ პერიოდს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ჰიპნოზის ქვეშ მყოფი ადამიანის მდგომარეობის შეურაცხადობასთან გათანაბრება, სპეციალურ სამედიცინო და სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს.

არსებობს ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების კიდევ ერთი საშუალება, რომელიც არც მუქარის, არც მოტყუების და არც შეურაცხადობის ცნებაში არ ჯდება. საუბარია ადამიანის ისეთ მდგომარეობაზე, როდესაც ფსიქიკაზე ზემოქმედება ხდება ფსიქოფიზიკური და ფსიქოტექნიკური საშუალებებით. ასეთ მდგომარეობაში ადამიანის ჩაყენებას „ზომბირებას“ უწოდებენ. ზომბირების მიზანია ადამიანის ინტელექტზე კონტროლის დამყარება. ამასთან, დიდი დროსით ენერჯის კონცენტრირება არსებით ზიანს აყენებს ადამიანის ორგანიზმს. ვარდა ამისა, ითრგუნება პირის ინდივიდუალურობა, საკუთარი „მე“-ობა საერთოდ ქრება და მის ადგოვს სხვისი ნება იკავებს. „ზომბირებული“ ადამიანი ვერ აღიქვამს, თუ რას სჩადის და წინასწარ მიცემული პროგრამის მიხედვით მოქმედებს. შესაძლებელია, რომ ამგვარი მდგომარეობიდან გამოსვლისას მას არც კი ახსოვდეს თუ რა მოქმედებები განახორციელა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევები, როდესაც ხდება მედიკამენტებით ზომბირება, ანუ როდესაც გარკვეული პრეპარატი ისეთ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე, რომ ადამიანი მოქმედებს როგორც დაპროგრამირებული. მაგალითად, ადამიანი თავს იკლავს სხვისი ბრძანებით. გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის ადამიანი საკუთარი ნებას ახორციელებს, მაგრამ სინამდვილეში ის სხვისი ნების ამსრულებელია.

განსხვავება „ზომბირებულ“ ადამიანსა და ჰიპნოზის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს შორის ის არის, რომ ჰიპნოზის მდგომარეობიდან გამოყვანა შედარებით ადვილია და უფრო სწრაფად შეიძლება მოხდეს, ვიდრე „ზომბირებული“ ადამიანისა. ჰიპნოზის დროს ჰიპნოზიორი იმ ადამიანთან ახლოს უნდა იმყოფებოდეს, რომელსაც ჰიპნოზს უყვებიან. ზომბირებისას კი შესაძლებელია ადამიანის ფსიქიკაზე მოქმედება გარკვეული მანძილიდანაც. ზომბირება შესაძლებელია მოხდეს გარკვეული დროის მითითებით ან გარკვეულ მომენტში და გარკვეული აპარატურის გამოყენებით. მაშინ, როდესაც ჰიპნოზის ჩატარებისას მხოლოდ ხელებს ან რაიმე ნივთს გამოიყენებენ.

ამგვარი ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე ცდების სახით ხორციელდება. მაგრამ სამეცნიერო გამოკვლევები და ცდებიც ხომ მხოლოდ იმიტომ ტარდება, რათა შემდეგ ცხოვრებაში დაინერგოს. ადამიანის ექსტრასენსორი მოქმედება ეს საკმაოდ დიდი ძალაა, რომელიც ადამიანის სასარგებლოდაც შეიძლება გამოიყენონ და მის საწინააღმდეგოდაც. ამიტომ, საშიშია როცა არ არსებობს რაიმე სოციალური კონტროლი პარაფსიქოლოგიურ ცდებზე. ზემოთ თქმული, არამც და არამც არ ნიშნავს, რომ კონტროლი გავიგოთ, როგორც ფსიქოლოგიისა და მისი ცალკეული ინსტიტუტების შეზღუდვა, ცდების ჩატარებისა და კვლევის აკრძალვა, პარაფსიქოლოგიისა და ექსტრასენსორული საქმიანობაში ჩარევა. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სამეცნიერო კვლევის შედეგები ყოველთვის ადამიანის სასარგებლოდ როდი გამოიყენებიან. მითუმეტეს, რომ კაცობრიობის ისტორია ამის მრავალ მაგალითს იცნობს.

შემდეგი საკითხი, რომელიც სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს, ისეთი შემთხვევებია, როდესაც ზემოქმედება ხდება არა თვითონ ადამიანის ქცევაზე, არამედ მის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ეს უფრო საშიშია, რადგან იცვლება არა მარტო ადამიანის ქცევა, არამედ გარდაიქმნება თვით მისი რეგულაციის მექანიზმი, იცვლება ფსიქიკის ელემენტები და ადამიანის ნება, აგრეთვე მოთხოვნილება, ადამიანის ემოციები. პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც მასობრივმა ფსიქოთერაპიულმა სეანსმა გამოიწვია მასობრივად და პაციენტთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მოშლა და ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილიც. სისტემატურად ექსტრასენსორული ზემოქმედება ადამიანზე ნარკოტიკივით მოქმედებს, ორგანიზმი კარგავს დამოუკიდებლად აქტივობის უნარს, ვეღარ უმკლავდება ავადმყოფობას, ხდება ნება-ლობითი, პირადული თვისებების დაკარგვა.

ჩვენი აზრით, უნდა აიკრძალოს მასობრივი ინფორმაციის წყაროების მეშვეობით მასობრივად მკურნალობა. ამგვარი ამკრძალავი ნორმები უკვე არსებობს ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, რუსეთის კანონმდებლობაში. 1989 წელს ტელევიზიით გადაიკემოდა ა. მ. კაშპიროვსკის ფსიქოპროფილაქტიკური საუბრები. ამგვარი ტელევიზიები საქართველოშიც პოპულარული გახდა. ერთი წლის შემდეგ სეანსები კატეგორიულად აკრძალა სსრკ-ის ჯანდაცვის

სამინისტრომ. აღინიშნა, რომ კაშპიროვსკის ტელეგადაცემები შეიცავენ ჰიპნოსუტეგის და გამოყენებულ სამკურნალო მეთოდს არა აქვს გავლილი სათანადო გამოკვლევა. 1990 წელს უკრაინაში ჩატარებულმა კაშპიროვსკის პაციენტების გამოკვლევამ ცხადყო, რომ ტელესიანსების შემდეგ 115 მაყურებლის ჯანმრთელობა გაუარესდა, გამწვავდა ფსიქიკური დაავადებები. ზოგიერთი ავადმყოფი ტელესიანსის შემდეგ ტრანსში ჩავარდა.

1991 წელს ოსკეში „საერთაშორისო კატეგორიის მოსკოველი ექსტრასენსების“ მიერ ჩატარებულ სიანსზე გონება დაკარგა ერთ-ერთმა მაყურებელმა — ფსიქოენერგეტიკის ზემოქმედების ობიექტმა. ექსტრასენსები ეცადნენ გამოეყენებინათ მთელი თავისი ცოდნა მაყურებლის ტრანსიდან გამოსაყვანად, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ადგილზე მოსულმა „სასწრაფო დახმარების“ ექიმებმაც ავადმყოფს სიცოცხლე ვერ შეუნარჩუნეს.

როგორც უკვე განვიხილეთ, ამგვარ მკურნალ-ექიმებაშეხს სათანადო სამედიცინო განათლება არ ესაჭიროებათ. ასე რომ, აღნიშნული საკითხი სისხლის სამართალში დღემდე გადაუწყვეტელია და დიდა რჩება. ამ საკითხმა იურისტების ყურადღება უნდა მიიპყროს, რადგან ფსიქიკაზე ზემოქმედება, როგორც ზევით მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უკვალოდ არ ჩაივლის. ეს შესაძლებელია კიდევ ერთი არგუმენტი იყოს იმისა, რომ ახალ სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს ორი ახალი მუხლი: 1) უკანონო ექსტრასენსობა; 2) ადამიანის ფსიქიკის დამცველი სპეციალური მუხლი.

ბუნებრივია, რომ ჩვენ ადამიანის ექსტრასენსური მეთოდით მკურნალობის წინააღმდეგ არ გამოვდივართ, მითუმეტეს, რომ ამგვარ მკურნალობას ხშირად დადებითი შედეგი მოაქვს ავადმყოფისთვის. მაგრამ ჩვენ საუბარი გვაქვს იმ პირების მოქმედებაზე, რომლებიც ადამიანის გაჭირვებას საკუთარი ინტერესებისათვის იყენებენ და ანგარების მიზნით მათ მოტყუებას ცდილობენ.

კარგი იქნება თუ საქართველოს სისხლის სამართალში გაითვალისწინებენ სპეციალურ მუხლს უკანონო ექსტრასენსობის შესახებ, რომელიც შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „ექსტრასენსობა, რასაც პროფესიონალის სახით ეწევა პირი, რომელსაც არა აქვს სათანადო სპეციალური დამადასტურებელი დიპლომი; იგივე ქმედობა თუ მას სიკვდილი ან სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება მოჰყვება, ან რაც ვახდა შედეგი ფსიქიკის დაზიანებისა“.

უკანონო ექსტრასენსობა ან უკანონო მკურნალობა შეიძლება განხორციელდეს როგორც პირდაპირი განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით. მოტივი კი შესაძლებელია იყოს ანგარება, ხულიგნობა.

ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზემოქმედება შესაძლებელია შემეცნების ნაწილობრივი გამორთვით, ამასთან, დასაშვებია სხვა ფსიქიკური კომპონენტების შენარჩუნება: მეხსიერება, ემოციები, შეგრძნება. დაზარალებული ამ დროს თავის თავს ვეღარ აკონტროლებს, შემოაკვებელი ფაქტორი, რომელიც იცავს ადამიანის ფსიქიკას სხვისი ნებისაგან, აღარ არსებობს და ამით ადამიანიც ხელმისაწვდომი ხდება სხვისი ზემოქმედებისათვის. ფსიქოლოგური ზემოქმედების შედეგი საქმიან მრავალფეროვანია: ფსიქიკის დროებითი მოშლიდან სერიოზულ ნერვულ დაავადებებამდე. ნეგატიურ შედეგებში შედის: გონების დაბინდვა; პიროვნების გაორება; შოკი; ფსიქოლოგიური ტრამეები და სხვა.

სისხლის სამართალში ისე თუ ასე გაითვალისწინებულია ფსიქიკური ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, ისინი გამოიხატებიან ცალკეულ ფსიქიკურ ტრამეებსა და დაავადებებში, მაგალითად, საქართველოს სსკ 117-ე მუხლის მე-4 ნაწილში საუბარია გაუპატიურების შედეგად დამდგარ „განსაკუთრებით მძიმე შედეგებზე“. განსაკუთრებით მძიმე შედეგად კანონმდებელს მიაჩნია გაუპატიურების შემდეგ დაზარალებულის სიკვდილი, თვითმკვლელობა ან სულიერი მდგომარეობის მოშლა; აგრეთვე გაუპატიურების დროს ან მცდელობისას დაზარალებულის სხეულის მძიმე დაზიანება. ამ უკანასკნელში კი იგულისხმება მხედველობის, სმენის დაკარგვა, ორსულობის მოშლა, მეტყველების ორგანოს ან განაყოფიერების ორგანოს დაზიანება, მათი ფუნქციის მოშლით, სხეულის რომელიმე ნაწილის დაკარგვა, გარდა ამისა, გაუპატიურების განსაკუთრებით მძიმე შედეგად ითვლება ქალის ფსიქიკური დაავადება. 117-ე მუხლის კომენტარებში აღნიშნულია, რომ გაუპატიურება ქალის ფსიქიკაში მეტად მძიმე კვალს ტოვებს, რაც შეიძლება ქალის სულიერი მოქმედების დროებით ან სამუდამო მოშლილობაში გამოიხატოს.³ ჩვენთვის საინტერესოა, თუ რას გულისხმობს კანონმდებელი დაზარალებულის სულიერი მოქმედების მოშლაში. ეს ისეთი სახის დაზიანებაა, რომელსაც შედეგად მოჰყვება სულით ავადმყოფობა. სულით ავადმყოფობა კი მძიმე დაზიანებად ითვლება იმისდა მიუხედავად, მუდმივია ის თუ დროებითი, განუკურნებელია ის თუ არა.

³ ვ. მაყაშვილი, გ. მაჭავარიანი, თ. წერეთელი, თ. შვეტლიძე, დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ, თბ., 1980, გვ. 106-107.

როგორც აქედან ჩანს, დაზარალებულის ფსიქიკური მოშლილობა შეიძლება გამოწვეული იქნას როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ზემოქმედებით.

შემდეგი მუხლი, რომელშიც პირდაპირაა საუბარი ადამიანის ფსიქიკის დაზიანებაზე, ეს არის საქართველოს სსკ 110-ე მუხლის I ნაწილი: „სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ე. ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ან რომელსაც მოჰყვა მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან ფუნქციის დაკარგვა, ან სულიერი ავადმყოფობა, ან ორსულობის შეწყვეტა, ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, დაკავშირებული შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან სულ ცოტა ერთი მესამედით; აგრეთვე სახის წარუშლელი დამახინჯება“.

სულიერ ავადმყოფობაში იგულისხმება ფსიქიკური დაავადება, რომელიც სხეულის დაზიანების შედეგად მიიღება. ამ შემთხვევაში სულიერი ავადმყოფობა შესაძლებელია გამოვლინდეს შემდეგი სახის დაავადებებში: 1) ქრონიკული სულიერი დაავადება, მოიცავს ხანგრძლივ პერიოდს და ამ პერიოდში პროგრესირდება. მაგ., შიშის ნიადაგზე ან მძიმე თავის ტრავმის მიყენებისას ეპილეფსიის წარმოშობა; სხეულის მძიმე დაზიანების შედეგად პროგრესული დამბლა ან ფსიქიკის სრული მოშლა და სხვა; 2) სხეულის მძიმე დაზიანების შედეგად გამოწვეული სულიერი მოქმედების დროებითი მოშლილობა მოიცავს დროის შედარებით ხანმოკლე პერიოდს და ინტენსიური მეურნეობის შედეგად შესაძლებელია ადამიანი გამოჯანმრთელდეს, მაგ., ანეზია.

სხეულის მძიმე დაზიანებად არ ითვლება ტრავმა, რომელსაც მოჰყვა ისეთი სულიერი მოშლილობა, როგორცია ისტერია, ნერვოზტენია და სხვა.

როგორც უკვე დაგწმუნდით, ადამიანის ფსიქიკის ხელშეუხებლობას კანონმდებელი უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობს, ვიდრე მის ფიზიკურ ხელშეუხებლობას.⁴

კოდექსის ყველა მუხლი, რომელშიც საუბარია დაზარალებულის ფსიქიკის მოშლაზე, მთლიანად დამოკიდებულია ფიზიკური მოქმედების, ფიზიკური ძალადობის ფაქტებზე. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, თუ არ არის ფიზიკური ძალადობა, მაშინ ფსიქიკური დაავადების, ფსიქიკური მოშლილობის ფაქტაც არ არსებობს, ე. ი. ფიზიკური ძალადობა არის ერთადერთი მიზეზი სულიერი ავადმყოფობისა.

აქედან გამომდინარე, კანონმდებელი კატეგორიულად მოითხოვს, რომ დაზარალებულის ფიზიკური ხელყოფა გახდეს მიზეზი მისი სულიერი დაავადებისა. ჩვენი აზრით, ფიზიკური ძალადობა არ არის ამომწურავი მიზეზი ადამიანის ფსიქიკის ხელყოფისა. როგორც უკვე ვნახეთ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს უუპრობესსაც, როდესაც ფსიქიკაზე არასანქციონირებული ზემოქმედება მიზეზი ხდება ადამიანის ფიზიკური მდგომარეობისა.

ჩვენი აზრით, დღის წესრიგში დგება სისხლის სამართლის კოდექსში პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში შეტანილ იქნეს ახალი მუხლი, რომელიც დაიცავდა ადამიანის ფსიქიკის უშიშროებასა და ხელშეუხებლობას. აღნიშნული მუხლი შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „პიროვნების ფსიქიკის დაზიანება ან ადამიანის ფსიქიკაზე არასანქციონირებული ზემოქმედება, რასაც მძიმე შედეგი მოჰყვა“ (მუხლის პირველი ნაწილი); „იგივე ქმედობა თუ მან დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია“ (მუხლის მეორე ნაწილი).

ამ მუხლის შემოტანა სისხლის სამართლის კოდექსში იმითაც არის გამართლებული, რომ ბოლო წლებში გახშირდა ადამიანის ფსიქიკაზე ინფორმაციული, სოციალური, ტექნიკური მექანიზმებით ზემოქმედება, მეცნიერთა აზრით, ამან შეიძლება გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი შედეგები.

სოციალურ სფეროში, პოტენციური საშიშროების წყაროდ მიიჩნევენ მეტისმეტად სსტიკ დამოკიდებულებას უფროსსა და მის ქვეშევრდომს შორის (სკოლა, ოჯახი, ჯარი და სხვა), უფროსები ხშირად ტრავმას აყენებენ თავიანთ ქვეშევრდომთ, რომელთაც არა აქვთ საშუალება წინ აღუდგინონ უფროსების დიქტატს. თავის მხრივ ისინი დგარივით ბოლმას თანატოლებზე ანთხევენ ან მათზე სუსტებს იმორჩილებენ. მომეტებული საშიშროებით ხასიათდება ისეთი სოციალური სფეროები, სადაც ხდება ადამიანის ფსიქიკის ტოტალური კონტროლი, მაგ, ჯარში, შრომა-გასწორების დაწესებულებებში და სხვ.

საქართველოს სსკ-ში მხოლოდ ერთი მუხლია, რომელიც სოციალურ სფეროში არსებულ ფსიქიკურ ზემოქმედებას შეეხება. კერძოდ, საუბარია საქართველოს სსკ 109-ე მუხლზე: „დამნაშავესაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის თვითმკვლელობამდე ანდა თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა დაზარალებულისადმი სსტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატური დამცირებით“, როგორც ამ მუხლის დის-

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104, 105, 106, 107, 108, 111, 112, 113, 114, 115, 116-ე და სხვა მუხლები ადამიანის მხოლოდ ფიზიკურ ხელშეუხებლობას იცავენ.

პოზიციიდან ჩანს, დამნაშავე დაზარალებულზე გარკვეულ ფსიქიკურ ზეგავლენას ახდენს და აიძულებს მას გადაწყვიტოს თავის მოკვლა. კანონში ხაზგასმულია, რომ თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანა ხდება დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების სისტემატური დამცივებით.

აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით დამფიქრებელია ის ფაქტი, რომ კანონმდებელი ამ შემთხვევაში არაფერს ამბობს იმ შემთხვევებზე, როდესაც დაზარალებულის თვითმკვლელობამდე მიყვანა ხდება არა მისადმი სასტიკი მოპყრობით ან მისი პირადი ღირსების დამცივებით, ანდა დაზარალებული არ არის არავითარ დამოკიდებულებაში დამნაშავესთან, არამედ ყოველივე ეს ხდება ფსიქიკური ზემოქმედებით, ხოლო დამნაშავე მოქმედებს ანგარებითი მოტივით. მაგ., მეზობელი დეპრესიაში მყოფ პირზე ახდენს ფსიქიკურ ზემოქმედებას (უმძიმებს დაზარალებულს ისედაც მძიმე განცდებს, ატყუებს, აშინებს, აწუხებს, აწუხებს ღვინვორბაცის), ურჩევს მას თავი მოიკლას, რათა განთავისუფლდეს მძიმე განცდებისაგან და თავის ქონება ანდერძით სიცოცხლეშივე დაუტოვოს მას. ამ შემთხვევაში; დანაშაული არა მარტო 109-ე მუხლით არ დაკვალიფიცირდება, ეს ქმედება არც განზრახ მკვლელობად არ ჩაითვლება, იმდენად, რამდენადაც აქ მკვლელობისთან საქმე არ გვაქვს. იმის მტკიცება, რომ დაზარალებულს ჰქონდა არჩევანი და ამიტომ შეეძლო თავი არ მოეკლა, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს გამართლებული, დეპრესიაში მყოფი ადამიანი უფრო თავისუფლად და ადვილად ემორჩილება სხვის ნებას, უფრო დამყოლია, ვიდრე ფსიქიკურად აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანი. ამ დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 109-ე მუხლით კვალიფიკაცია გამორიცხულია, რადგან დაზარალებული არავითარ დამოკიდებულებაში არ იმყოფება თავის მეზობელთან, გარდა კეთილგანწყობილი დამოკიდებულებისა და დამნაშავე მას არც სასტიკად ეპყრობა და არც ამცირებს.

საზოგადოებაში არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დაჯილდოვებულია განსაკუთრებული ნიჭით. ასეთები არიან ნათელმზილებლები, ტელეპატები, ტელეკინეზის და ჰიპნოზის განმანორციელებელნი, სუგესთისა და ბიოლოგაციის ნიჭით დაჯილდოვებული პირები. ნათელმზილებლებად ის ადამიანი ითვლება, ვისაც აქვს უნარი, იწინასწარმეტყველოს და აღწეროს მოვლენები, რომელიც იმ მომენტში ხდება გარკვეული მანძილის დაშორებით ან მოხდება ახლო მომავალში; ტელეკინეზი — აზრობრივი შთაგონების მეშვეობით ზემოქმედება ფიზიკურ ობიექტებზე, რაც მათ მოძრაობასა და გადაადგილებას იწვევს; ტელეპატია — მოვლენების ექსტრასენსორი აღქმა და აზრებისა და ფსიქიკური მდგომარეობის სხვა ადამიანისათვის გადაცემა; ჰიპნოზი — სიტყვის მეშვეობით შთაგონება, ადამიანის ჰიპნოზურ ძილში შეყვანით; სუგესთია — სხვა ადამიანის შთაგონება სიტყვის და ჰიპნოზურ ტრანსში ჩაგდების გარეშე; ბიოლოგაცია — ობიექტზე ინფორმაციის მიღება, მათ შორის სასარგებლო წიაღისეულზე, დაწვესებულებებზე, ადამიანებზე იდენოტორული მოძრაობის სახით, ინდიკატორი საგნების გადაადგილების გზით.⁵

ყოველივე ამას ზოგადად ბიოენერგეტიკას უწოდებენ. ამ მეთოდთა არატრადიციულობა დამოკიდებულია ადამიანის უნივერსალურ ნიჭზე, რომლის ბუნების და მექანიზმის სრული ახსნა დღეს მეცნიერებას არ ძალუხს.

ადამიანის ბიოენერგეტიკულმა ნიჭმა სათანადო ასახვა სამართალში ვერ პოვა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ეტყობა, ის არის, რომ სამართლის სპეციალისტები ყოველთვის ვერ აღგენენ მიზეზობრივ კავშირს ბიოენერგეტიკულ მოვლენასა და დამდგარ შედეგს შორის. ადამიანის ბიოენერგეტიკის სამართლებრივი თვალსაზრისით შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან უნდა დადგინდეს სამართლებრივი სტატუსი სუბიექტისა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს სხვა პირის ფსიქიკაზე, ამ ზემოქმედების მართლობისა და მოხდეს ნეგატიური შედეგების შეფასება. უნდა შემუშავდეს ბიოენერგეტიკული არასანქციონირებული ზემოქმედებისაგან ადამიანის დაცვის მექანიზმი.

ზოგჯერ ბიოენერგეტიკული ზემოქმედება გამოიყენება პირადი მიზნების მისაღწევად, ზემოქმედების ობიექტის თანხმობით, თუ თანხმობის გარეშე, ასეთი მოქმედების მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს — გართობა, საკუთარი ნიჭის და შესაძლებლობების დემონსტრაცია, დანაშაულის განხორციელება. თუკი ბიოენერგეტიკული ზემოქმედების სუბიექტი საკუთარ ნიჭს იყენებს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად, ან ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, საოცებლეს, ქონებას ან სხვა კანონით დაცულ ინტერესებს, მაშინ მან პასუხი უნდა აგოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ადამიანისათვის ყველაფერის შთაგონება შეიძლება, რაც ადამიანის მორალურ მსოფმხედველობას არ ეწინააღმდეგება. სხვებს კი მიაჩნიათ, რომ ეს სა-

კითხი პრაქტიკულ გადაწყვეტას მოითხოვს. მაგრამ ამგვარი სამეცნიერო კვლევები ან საერთოდ აკრძალულია, ან შეზღუდულია, რადგან ჭერჭერობით არ არის გადაწყვეტილი ამგვარი ექსპერიმენტების მორალურ-ეთიკური მხარე. ამერიკელი მეცნიერის მიერ გამოცემულ წიგნში საუბარია აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებზე, რომლის დროსაც მოხერხდა ადამიანის ქცევის მართვა და მასზე კონტროლის დაწესება. ამ წიგნში აღწერილია ექსპერიმენტი, რომლის შედეგადაც მოხერხდა ადამიანის დაპროგრამება მკვლელობაზე.⁷

ბიოენერგეტიკას უქანასკნელ ხანს სამძებრო საქმიანობაშიც გამოიყენებენ, მაგალითად, საფრანგეთის, იტალიის, აშშ-ის, რუსეთის პოლიციაში უკვე დაინერგა და ფუნქციონირებს სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულის გასსნაში ბიოენერგეტიკის მქონე პირების დახმარებას (მაგ., უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძებნა, მანიაკი მკვლელის თავისებურებათა უკეთ გაგება და სხვ.) მათ მიერ მიცემულ რჩევებს და კომენტარებს, რა თქმა უნდა, სავალდებულო ძალა არ გააჩნიათ, არა მარტო იმ მიზეზით, რომ ისინი შეიძლება ხშირ შემთხვევაში ცდებოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ მათი საქმიანობა საპროცესო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

რა თქმა უნდა, სავამოძიებო ორგანოები მხოლოდ ბიოენერგიის მატარებელი ადამიანების მიერ მიცემული რჩევებით არ კმაყოფილდებიან, მაგრამ მათი რეკომენდაციები, ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეულ დადებით შედეგსაც იძლევა.

6 Буль П. И., Гипноз и внушение, Л., 1975, с. 9.

7 Малеина М. Н., Человек и медицина в современном праве, М., 1995, с. 127—128.

უდანაშაულოების პრეზუმფცია სისხლის სამართლის საქმის აღკვეთის სტადიაზე

ადამიანის უფლებების დაცვა და მართლწესრიგის განმტკიცება ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს უპირველესი საზრუნავია. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ კონსტიტუციაში სათანადო ადგილი დაეთმო მსოფლიო ცივილიზაციის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, სისხლის სამართლის დემოკრატიული სამართალწარმოების ერთ-ერთ საფუძველს, ე. წ. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს, რომელიც ქმედითი გარანტიაა უდანაშაულო ადამიანის უსაფუძვლო ბრალდებისა და დასჯის წინააღმდეგ.

ახალ ძირითად კანონში, საქართველოს რესპუბლიკაში ადრე მოქმედ კონსტიტუციებთან შედარებით, ვრცლად არის მოცემული აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნები და მათი სამართალწარმოების პრაქტიკაში განხორციელების გარანტიები (იხ. კონსტიტუციის მუხლები, 5, 6, 7, 18, 20, 40, 42, 43, 82-91). კონსტიტუციური ნორმები მოწოდებული არიან დაცვან ადამიანის ძირითადი უფლებები და განსაზღვრონ სასამართლოს განსაკუთრებული ადგილი სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში, ცალსახად განმარტონ მეტად პრინციპული საკითხი — თუ ვის მიერ და სისხლის სამართლის რომელ სტადიაზე შეიძლება პირი ცნობილ იქნას დამნაშავედ.

კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ძირითადი არსი სახელმწიფოს ყოველ მოქალაქესთან მიმართებაში: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული განაჩენით“.¹ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპისა და მისგან გამომდინარე მოთხოვნების კონსტიტუციაში ასახვასთან ერთად, ბუნებრივია, რომ სრული სახით ისინი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებში უნდა ფიგურირებდნენ და სისხლის სამართლის სამართალწარმოების კონკრეტულ მონაწილეთა (ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის) უდანაშაულობის (დანაშაულის არ ქონის) პირობებს განსაზღვრავდნენ.

შეუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე, დღეს აღარ უნდა იყოს სადავო, რომ აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, მხოლოდ სასამართლოა ის ორგანო, რომელიც ქმედობას დანაშაულად დააკვალიფიცირებს და მის ჩამდენ პირს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დამნაშავედ ცნობს.

¹ „საქართველოს კონსტიტუცია“, თბილისი, 1995; უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპთან დაკავშირებული რიგი კონსტიტუციური ფორმულირებები საკამათოდ მიგვაჩნია, მაგრამ მათზე ამჯერად არ შევჩერდებით. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნები კონსტიტუციაში სათანადოდ უნდა ასახულიყო და არა წმინდა პროცესუალური ნორმების სახით. მაგ., მე-40 მუხლის მესამე პუნქტი და 42-ე მუხლის მე-ექვსე პუნქტი მხოლოდ ბრალდებულებს ეხებათ, მაშინ, როდესაც აღნიშნული მუხლების სხვა პუნქტები საყოველთაო მიმართებისაა.

საზოგადოდ, ქმედობა დანაშაულად სისხლის სამართლის კანონით განისაზღვრება, მაგრამ დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის სამართალი არ ადგენს და კონკრეტულ ფაქტთან, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პირს დამნაშავედ მხოლოდ სასამართლო ცნობს, ისიც კანონით განსაზღვრული წესით, რაც სისხლის სამართლის პროცესუალური ნორმების რეგულირების სფეროს შეადგენს.

ამასთან, სავსებით მისაღებად მიგვაჩნია ტერმინ „დამნაშავეს“ ხმარება,² მისი სადღეისოდ ფართოდ დამკვიდრებული მნიშვნელობით, როგორც „დანაშაულის ჩამდენი პირის“ აღმნიშვნელი ტერმინისა, მითუმეტეს თუ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნათა პოზიციიდან ცალსახად განვსაზღვრავთ, რომ „დამნაშავე“ სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობათა მონაწილე კი არა, ამ ურთიერთობათა განხორციელების შესაძლო საბოლოო შედეგია, რომელიც დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენით და სამართალწარმოების არც ერთ სხვა წინა სტადიაზე არ შეიძლება პროცესის მონაწილეთა მიჩნევა „დამნაშავედ“, ხოლო „კონკრეტულ პირს სისხლის სამართლებრივი სასჯელი შეიძლება დაედოს მხოლოდ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ანუ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მისი დამნაშავედ ცნობის მომენტიდან“.³

მოქმედი ნორმატიული აქტების უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა ნათლად ვლინდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაცნობითაც, რომელშიც, ჩვენი აზრით, რიგ შემთხვევებში არასრულყოფილადაა მოცემული სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში მონაწილე პირთა კონსტიტუციური უფლებების დაცვის პროცესუალური გარანტიები.

საჭურნალო სტატია არ იძლევა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მთლიანობაში განხილვის საშუალებას, ამდენად თვალსაჩინოებისათვის მიზანშეწონილად მივიჩნით უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნების დაცვის საკითხი გავეცხილა სისხლის სამართლის სამართალწარმოების ერთერთ, კერძოდ კი საწყის — სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სტადიაზე.

სისხლის სამართლის სამართალწარმოების აღნიშნული სტადიის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ არც თუ იშვიათად სამართალდამცავ ორგანოებს გააჩნიათ მონაცემები მხოლოდ მომხდარი ფაქტის, ჩადენილი ქმედობის თაობაზე, ხოლო ამ ქმედობის ჩამდენ კონკრეტულ პირთა შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვებათ, ანუ სავარაუდოდ დამნაშავე უცნობია. ამ შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი ლოგიკურად არ უნდა გამოიყენებოდეს, მაგრამ თუ, ერთი მხრივ, მომხდარ ფაქტთან მიმართებაში კონკრეტულ პირთა მოხსენიების გარეშე ქმედობა შესაძლებელია დანაშაულად ივარაუდებოდეს, თუნდაც მოიხსენიებოდეს, ჩაითვალოს კიდევ ასეთად პირად საუბრებსა და მომხდარის თაობაზე წარმართულ ზოგად, არაოფიციალურ მსჯელობებში,⁴ მეორე მხრივ, სრულიად განსხვავებული ვითარება იქმნება, როდესაც საქმე მასობრივი ინფორმაციების საშუალებებს, ოფიციალურ მასალებსა და თანამდებობის პირთა განცხადებებს შეეხებათ.

² განსხვავებულ თვალსაზრისი გამოთქმული აქვს ვ. ნაჭვებიას. ჩვენი პოზიცია აღნიშნულ საკითხზე ასახულია ჟურნალ „სამართალი“ 1993 წლის № 5-6 და 1996 წლის № 1-2.

³ Либус И. А., Презумпция виновности в уголовном процессе, Ташкент, 1981, стр. 43.

⁴ ასეთ ვითარებასაც მიუღებლად მივიჩნევთ, მაგრამ, ვფიქრობთ, აქ აკრძალვების გამოყენება ან რაიმე ქმედითი კონტროლის განხორციელება შეუძლებელია.

ამ შემთხვევებში მომხდარი ფაქტის მოხსენიება დანაშაულად, თუნდაც ქმედობასთან კონკრეტულ პირთა მიმართების აღნიშვნის გარეშე, მიუღებლად მიგვაჩნდება, რადგან შესაძლებელი ხდება გარკვეული ზეგავლენა როგორც საზოგადოებრივ აზრზე, ასევე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებზე, კერძოდ, მოსამართლეებზე, რომლებსაც წინასწარ შეიძლება ჩამოუყალიბდეთ რწმენა მომხდარ შემთხვევაზე როგორც დანაშაულზე, ხოლო ქმედობის ჩამდენი, რომელიც შესაძლოა შემდგომში გაჩნდეს საპროცესო ურთიერთობებში, თავიდანვე დამნაშავედ მიიჩნიონ.

ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ პუბლიკაციები დანაშაულის თაობაზე დასაშვებია, მხოლოდ სასამართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რაც შეესაბამება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის არსს და ნაკარნახევაა ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერესებით სისხლის სამართლის პროცესში. „გაზეთის მკითხველთა, რადიომსმენელთა და ტელემაყურებელთა შორის არიან ისინიც, ვისაც შესაძლოა სასამართლოში მოუწიოს ჩვენების მიცემა მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის სახით. შეძლებენ კი ისინი თავიანთი შთაბეჭდილებები გამიჯნონ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მიერ ფიქსირებული პოზიციისაგან. ეს მომენტო აართულებს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას. იგივე ენებათ მოსამართლეებსაც, რომლებსაც ფსიქოლოგიურად გაუჭირდებათ ამოშალონ გონებიდან მიღებული ინფორმაცია“.⁵

ამდენად, უაღრესად აქტუალურად და გამართლებულად მიგვაჩნია სასამართლოს საქმეების გადაწყვეტილებაში ჩარევის დაუშვებლობაზე საზგასმა „საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის შესახებ“ კანონში, რომლის მე-5 მუხლის მესამე ნაწილში მითითებულია, რომ „მასობრივი ინფორმაციების საშუალებებს უფლება არა აქვთ წინასწარ განსაზღვრონ თავიანთ ცნობებში კონკრეტული საქმის გამო სასამართლო განხილვის შედეგები ან სხვაგვარად მოახდინონ ზემოქმედება სასამართლოზე გადაწყვეტილების ან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლაზე“;⁶ რაც სწორედ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნას და მისი პრაქტიკაში რეალიზაციის ერთ-ერთ ქმედით გარანტიას უნდა შეადგენდეს.

როგორც ვხედავთ, გარკვეული ანალიზი და დაზუსტება ზემოთმოყვანილ შემთხვევებსაც სჭირდებათ, მაგრამ მათზე ამჯერად აღარ შევჩერდებით და მხოლოდ ჩვენს თვალსაზრისს დავაფიქსირებთ, რომ თუ ფაქტთან დაკავშირებით კონკრეტული პირები პროცესში არ ფიგურირებენ, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი უშუალოდ არ გამოიყენება და უნდა მოქმედებდნენ ამ პრინციპის არსიდან გამომდინარე მოთხოვნები. სხვა ვითარებასთან გვექნება საქმე, როდესაც სამართალდამცავ ორგანოებს გააჩნიათ გარკვეული მონაცემები ქმედობასთან კონკრეტულ პირთა კავშირის თაობაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკითხის გარკვევა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ამოქმედების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ვიზიარებთ რიგ ავტორთა მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მოქმედებას იწყებს იმ მომენტიდან, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობებში ჩნდება პირი, რომლის უდანაშაულობა ეჭვს იწვევს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებში და რომელიც შეიძლება მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

5 Ларин А. М., Презумция невиновности, Москва, 1978, стр. 43.

6 „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები“, თბ., 1990, № 12, გვ. 63.

თუ სახელმწიფოს მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს გაანინათ საკმარისი საფუძვლები, ასეთებად, სისხლის სამართლის აღძვრის სტადიაზე კანონით გათვალისწინებული წესით სისხლის სამართლის პასუხისგებაში ეჭვმიტანილად მიცემული პირები მოგვევლინებინან. მაგრამ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სტადიაზე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით შეიძლება ფიგურირებდნენ პირებიც, რომელთა მიმართ პროკურორს, გამომძიებელს, მომკვლევ ორგანოს აქვთ გარკვეული მონაცემები, რომლებიც მიანიშნებენ ამ პირთა ამა თუ იმ ზომით კავშირზე ჩადენილ ქმედობასთან, თუმცა არასაკმარისნი არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონი ითვალისწინებს ამ პირთა მიმართ უფლებათა გარკვეული შეზღუდვების გამოყენების შესაძლებლობას, ისინი არც ეჭვმიტანილებად და არც ბრალდებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს. სამწუხაროდ, მათი სამართლებრივი სტატუსი სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებში განსაზღვრული არაა, სამაგიეროდ, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნათა სრული იგნორირებით გათვალისწინებულია ამ კატეგორიის პირთა მიმართ გარკვეული პროცესუალური მოქმედებების შესაძლებლობა. მხედველობაში გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი, რომლითაც სასამართლოს, პროკურორს, აგრეთვე პროკურორის თანხმობით გამომძიებელს და მოკვლევის ორგანოს შეუძლიათ პირი ცნონ დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედობის ჩამდენად, მიუხედავად იმისა, რომ არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე, აღნიშნული პირი არ გამხდარა სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობათა მონაწილე და ამდენად არ ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა დაცვის, აცილების, შუამდგომლობის შეტანის და სხვა უფლებებით.

დასახელებული მუხლი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მისი ანალიზის საფუძველზე შეიძლება თვალი გავადევნოთ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის შინაარსის დაზუსტებისა და მისგან გამომდინარე გარანტიების კანონმდებლობაში დამკვიდრებასთან დაკავშირებული შეხედულებების განვითარებას. ამდენად, მიზანშეწონილად მივიჩნევთ ამ მუხლზე დაწვრილებით შეჩერებას და მისი ისტორიის გასწავლას.

აღნიშნული მუხლი, რომელიც ეხებოდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სტადიაზე მასალების გადაცემას საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე, კოდექსის 1971 წლის რედაქციაში ფაქტობრივად იმეორებდა რა ყოფილი მოკაშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების შესაბამის მუხლებს (მაგ. რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი), შემდეგი სახით იყო ფორმულირებული: „იმ შემთხვევაში თუ პირი ჩაიდენს მცირე მნიშვნელობის ან ისეთ დანაშაულს, რომელიც არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას, როცა დანაშაულის ფაქტი სახეზეა, ხოლო ამ დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება გამოსწორებულ იქნას საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომებით, სასამართლოს, პროკურორს, აგრეთვე გამომძიებელს და მოკვლევის ორგანოს პროკურორის თანხმობით, უფლება აქვთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე გადასცენ მასალები განსახილველად ამხანაგურ სასამართლოს ან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას ანდა დამნაშავე გადასცენ თავდებობის ქვეშ მმართველთა კოლექტივს, ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის“.⁷

7 „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, მიღებული 1961 წელს ცვლილებებით და დამატებებით 1971 წლის 1 იანვრამდე, თბ., 1971, გვ. 12-11.

ამ სახის ფორმულირება მიუღებელი იყო უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნათა თვალსაზრისით, რადგან, როგორც ეს ზემოთ აღნიშნეთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სტადიაზე ლაპარაკი კონკრეტული პირის მიერ ჩადენილ რაიმე „დანაშაულის ფაქტზე“, აგრეთვე კონკრეტულ „დანაშაულის ჩამდენ პირზე“ ან „დამნაშავეზე“ შეუძლებელია.

განიცდიდა რა გარკვეულ სახეცვლილებებს, აღნიშნული მუხლი, სამწუხაროდ, ბოლო დრომდე ფიგურირებდა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. მასში სათანადო საკავშირო ორგანოების დირექტივების საფუძველზე 1981 წელს სიტყვები „თუ პირი ჩაიდენს მცირე მნიშვნელობის ან ისეთ დანაშაულს“ და „დამნაშავე“ შეიცვალა შესაბამისად სიტყვებით „თუ პირი ჩაიდენს დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედობას“ და „პირი“.⁸

აღნიშნული ტერმინოლოგიური ცვლილებები არ ისახავდა მოცემულ ფორმულირებაში მხოლოდ სიტყვიერ მნიშვნელობათა დაზუსტების მიზანს, არამედ წარმოადგენდა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მცდელობას. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად შენიშნავდა ჯ. მაქინიანი, რომ „კანონმდებელი სწორად მოიქცა, როდესაც უარი თქვა ტერმინზე „დამნაშავე“ იმ პირთა მიმართ, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე გადაეცემოდნენ თავდებევემ. „ჩადენილია არა დანაშაული, არამედ დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედობა. სამართალწარმოების ამ სტადიაზე არ შეიძლება ლაპარაკი დანაშაულზე, მისი ყველა ნიშნის არსებობაზე, როგორც დადგენილ, უტყუარ ფაქტზე“.⁹

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნების დაცვის დამატებით გარანტიად იქცა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლის შეცვლა მითითებით, რომ მასალების საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად გადაცემა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის გარეშე დაიშვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედობის ჩამდენი პირი არ იქნებოდა ამის წინააღმდეგი.

აღნიშნული მუხლის არასრულყოფილების შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში ადრეც გამოითქმებოდა შენიშვნები, მაგ. იმ ვითარებასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მიღების ერთ-ერთი საფუძველი იყო გარემოება, „როდესაც დანაშაულის ფაქტი სახეზეა“. ეს პოზიცია გააკრიტიკა ა. მიხაილენკომ და შემოგვთავაზა მისი შეცვლა შემდეგი ფორმულირებით: „როდესაც დანაშაულის ფაქტი დადგენილია უტყუარად“.¹⁰ მიგვაჩნია, რომ ასეთი შეცვლა უდავოდ არასაკმარისი იქნებოდა, რადგან საქმე თუ არ აღიძრა და მტკიცებულებები (თუკი ისინი არიან მოცემულ საქმეზე) არ შეფასდა კანონით დადგენილი წესით, არავითარ „უტყუარად დადგენილ დანაშაულის ფაქტზე“ მსჯელობა არ შეიძლება.

8 „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“, ცვლილებებით და დამატებებით, თბ., 1985, გვ. 11-12; ცვლილება შეეხო კოდექსის მე-9 მუხლსაც, რომელიც ამჯერად „პირის თავდებობის ქვეშ გადაცემას“ შეეხება, მაშინ, როდესაც ადრინდელი რედაქციით უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის იგნორირებით ითვალისწინებდა „სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას დამნაშავის თავდებობის ქვეშ გადაცემით“.

9 Мажинян Дж. Р., Презумпция невиновности и гарантии ее осуществления, Ереван, 1989, стр. 46.

10 Михаиленко А. Р., Возбуждение уголовного дела в советском уголовном процессе, Саратов, 1975, стр. 89.

ვერც ტექსტის შემდგომმა ცვლილებამ, რომელშიც საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მიღების საფუძვლად იქცა გარემოება, როდესაც „სახეზე“ არა „დანაშაულის ფაქტი“ არამედ, როდესაც „დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედობის ჩადენის ფაქტი აშკარაა“, ვერ გადაწყვიტა არსებული შეუსაბამობა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნებთან, რადგან, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს დანაშაულს. ქმედობის ფაქტის არსებობა საკმაოდ პირობითი კრიტერიუმი და ქმედობის „აშკარაობა“ ჯერ კიდევ არ ნიშნავს კონკრეტული პირის ბრალეულობას ამ ქმედობის ჩადენაში, რაც მხოლოდ პირველადი მასალების საფუძველზე ვერ დადგინდება. ამასთანავე, ყველა შემთხვევაში, ყოველგვარი ზომების მიღება პირის მიმართ გამართლებული იქნებოდა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წესით მისი ბრალეულობის დადგენის შემდეგ, რაც წარმოდგენილია სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და კანონით განსაზღვრული პროცედურით ჩატარებული გამოძიების გარეშე.


ყველა სხვა შემთხვევაში პირის ბრალეულობა შეიძლება მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოთა ცალკეულ წარმომადგენელთა პირად ვარაუდზე იყოს დაფუძნებული და ბუნებრივად მივიჩნევთ, რომ არ შეიძლება დემოკრატიულ პროცესში გამოიყენებოდეს, როგორც საზოგადოებრივი ზომების მიღების საფუძველი.

ვფიქრობთ, არ უნდა იყოს გადაჭარბებული ნათქვამი, რომ ამ ერთი ზემოგანხილული მუხლის ანალიზიც იკმარებდა საფუძვლად დასკვნისათვის, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნათა რეალიზაციის პრობლემა, თუნდაც მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სტადიაზე, არა მარტო ზოგადასტრატეგულ, არამედ უაღრესად მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულების საკითხია.

ვფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს, რომ სისხლის სამართალწარმოების აღნიშნულ სტადიაზე (ისევე როგორც სხვა სტადიებზე) პროცესუალური გადაწყვეტილებების მიღებისას გამორიცხული უნდა იყოს იმ პირთა უფლებების შეზღუდვა, რომელთა მიმართ ისმება საკითხი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. სისხლის სამართლის საპროცესო კანონით პირის უფლებები არა მარტო იმ შემთხვევაში უნდა იყოს დაცული, როდესაც არის გადაწყვეტილება ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის სახით მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, არამედ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

აქვე სახი უნდა გაგვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით იურიდიულ საზოგადოებრიობაში არსებულმა აზრთა სხვადასხვაობამ აიძულა ზოგიერთი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლები ანაგრიში გაეწიათ სულ უფრო მეტად გავრცელებული თვალსაზრისისათვის — უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო ამ მუხლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებიდან ამოღების შესახებ და აღრევე უარი ვთქვათ (ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად) ამ სადაო საპროცესო ნორმაზე (მაგ., უკრაინა, ლატვია, ესტონეთი).

ყოველივე ზემომოყვანილი გარემოებების საფუძველზე ჩვენც მიზანშეწონილად მივიჩნევთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან ამოვიღოთ შესაბამისი მუხლი და ამ თვალსაზრისს რეკომენდაციას ვუწევთ საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის შემუშავებულ სახელმწიფო კომისიის წინაშე კოდექსის პროექტზე მუშაობაში გასათვალისწინებლად. ამასთან, ვფიქრობთ, სასურველია საპროცესო კოდექსში ცალსა-



სად დაფიქსირდეს, რომ ყოველგვარი ზომების მიღება დაიშვება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის სასამართლოს მიერ არსებითად განხილვის შემდეგ. სწორედ სამართლო უნდა იყოს ორგანო, რომელიც კანონის შესაბამისად დაადგენს ქმედობის არსებობის ფაქტს, განსაზღვრავს ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ზომას და გადაწყვეტს უმნიშვნელოვანეს საკითხს — გამოუტანოს პირს გამამტყუნებელი განაჩენი და შეუფარდოს სასჯელი თუ პირის მიმართ მიიღოს სხვა ზომები (გადასცეს თავდებქვეშ, საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების მისაღებად თუ სხვ.).

რაც შეეხება სისხლის სამართლის აღძვრის სტადიას, აქ, ვფიქრობთ, გამართლებულია სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციის შემოფარგვლა სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესაძლებლობით, ამასთან, შევნიშნავთ, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნების დაცვას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს არა მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, არამედ ამ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შემთხვევაშიც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღება იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის წარმოებას არასარეაბილიტაციო საფუძვლებით. ჩვენი აზრით, გარკვეული კორექტივები კოდექსის ამ ნაწილსაც სჭირდება, რაზედაც ამჯერად არ შევჩერდებით. რიგი მუხლები, რომლებიც სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, შეწყვეტას ან საქმის აღძვრაზე უარის თქმის საფუძვლებს შეეხებიან დღემდე არ აკმაყოფილებენ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნებს, რამაც დღის წესრიგში დააყენა აღნიშნული ნაწილის გადასინჯვის აუცილებლობა.

ვფიქრობთ, პრინციპულად სწორი მიდგომაა გამონატული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემმუშავებელი სახელმწიფო კომისიის მიერ მომზადებულ კანონპროექტში (სამუშაო ვარიანტი), რომელშიც ცალკე მუხლებადაა გამოყოფილი გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას სარეაბილიტაციო საფუძვლით. და გარემოებები, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას არასარეაბილიტაციო საფუძვლებით. ამასთან, სწორედ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უაღრესად პროგრესულად მიგვაჩნია კანონპროექტში მუხლის შეტანა, რომლითაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მასალების სასამართლოსადმი გადაცემით საკითხის არსებითად გადასაწყვეტად. განსახილველი პრინციპის მოთხოვნათა შესაბამისად მხოლოდ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური სამართლო უფლებამოსილი არსებითად გადაწყვეტოს პირის ბრალეულობის საკითხი კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით, კანონის საფუძველზე დააკალიფიციროს ჩადენილი ქმედობა და მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები ქმედობის ჩამდენი პირის მიმართ.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მოთხოვნათა რეალიზაცია სისხლის სამართლის საქმის აღძვრის სტადიაზე და მისი სრულყოფილი სახით ასახვა მოქმედ საპროცესო ნორმებში არის ქმედითი გარანტია უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და უსაფუძვლო დასჯის წინააღმდეგ, საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს საქართველოს ახალი კონსტიტუციის ამოქმედებით,



რომლის რიგი მოთხოვნები (მაგ., მე-18, მე-40, 42-ე და სხვა მუხლები) უშუალოდ უნდა აისახონ საპროცესო კოდექსში და შექმნან რეალური წინაპირობები სამართალდამცავი ორგანოების, თანამდებობის პირთა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევების არც თუ იშვიათი შემთხვევების აღმოსაფხვრელად.

ამასთან, არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, არამედ სისხლის სამართლის სამართალწარმოების ყველა სტადიაზე, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპიდან გამომდინარე, გარანტიების შემდგომი გაფართოება და მათი პრაქტიკაში უცილობელი დაკვიდრება ქართველ პროცესუალისტთა უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს.



სსრკ-ის განზრახ მიმე დაზიანების მაკავალიფიცირებელი გარემოებები

საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის — სსრკ-ის განზრახ მიმე დაზიანების — კვალიფიციური სახეა იგივე ქმედობა, თუ მან სიკვდილი გამოიწვია ან ჩადენილია მტანჯავი საშუალებით ან წამებით. მისი ობიექტი რთულია იმდენად, რამდენადაც ასეთ შემთხვევაში ხელყოფა ხორციელდება არა მარტო ადამიანის ჯანმრთელობის, არამედ მისი სიცოცხლის წინააღმდეგაც, სსრკ-ის მიმე დაზიანება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი, თავისი ობიექტური ნიშნებით ემსგავსება პიროვნებაზე ხელყოფის სხვა სახეებსაც, რაც ხორციელდება განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზარალებულისათვის ჯანმრთელობის დაზიანებით. ეს კონკრეტულ დანაშაულთა კვალიფიკაციის დროს განსაზღვრულ სიმნელებებს ქმნის.

სიცოცხლისათვის საშიში სსრკ-ის მიმე დაზიანების ობიექტური მხარე, რამაც დაზარალებულის სიკვდილი გამოიწვია, როგორც წესი, აქტიურ მოქმედებებში გამოისატება. ობიექტური მხარისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მიზეზობრივი კავშირის დადგენა სსრკ-ის განზრახ მიმე დაზიანებასა და დამდარ შედეგს — სიკვდილს — შორის. 1971 წელს მიღებულ სსრკ-ის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრის წესებით, მიზეზობრივი კავშირის დადგენა ეკისრება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს, იგი გვაძის გამოკვლევის დროს კალდებულია დაადგინოს, დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანება თავისი ხასიათით არის თუ არა მიმე, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი სსრკ-ის მიმე დაზიანებასა და დამდარ შედეგს — სიკვდილს შორის. თუ სსრკ-ის დაზიანება არ არის მიმე, მაშინ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, მისი ნიშნების მიხედვით, განსაზღვრავს ამ დაზიანების სიმძიმის ხარისხს, სიკვდილის მიზეზსა და მიზეზობრივი კავშირის ხასიათს. აღნიშნული საკითხების გამორკვევა საჭიროა იმიტომ, რომ საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეიძლება დადგეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებულისათვის მიყენებული დაზიანება თავისი ხასიათით არის მიმე, ხოლო სსრკ-ის მიმე დაზიანებასა და დამდარ შედეგს — სიკვდილს — შორის მიზეზობრივი კავშირი არსებობს. შემთხვევითი გარემოებებით ან ორგანიზმის რაიმე ინდივიდუალური თავისებურებებით გამოწვეული სიკვდილის დადგომა არ გამორიცხავს საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით პასუხისმგებლობას მხოლოდ მაშინ, თუკი დამნაშავე ითვალისწინებდა, ან უკიდურეს შემთხვევაში შეეძლო გაეთვალისწინებინა სხენებული გარემოებები. მაშასადამე, დაზარალებულის სიკვდილი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს სსრკ-ის განზრახ მიმე დაზიანებასთან. დამნაშავე მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სსრკ-ის განზრახ მიმე დაზიანებისათვის, თუ მას

დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა და ამასთანავე სიკვდილის მიმართ მას ჰქონდა გაუფრთხილებლობითი ბრალი.

ზოგჯერ სისხლის სამართლის თეორიაში, ასევე პრაქტიკაში ძნელდება 110-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სხეულის მძიმე დაზიანების გამოიჯნა ისეთ დანაშაულთან, როგორცაა განზრახ ან გაუფრთხილებლობით მკვლელობა. სიძნელეები იმით არის გამოწვეული, რომ აღნიშნულ დანაშაულთა ობიექტი საერთოა — ადამიანის სიცოცხლე და შედეგიც ერთნაირი აქვთ — დაზარალებულის სიკვდილი. სხეულის მძიმე დაზიანება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი და მკვლელობა ობიექტური მხრივ ხორციელდება აქტიური მოქმედებების გზით, ზოგიერთ შემთხვევაში კი უმოქმედობითაც, ერთნაირი იარაღებითა და ხერხებით. უფრო მეტიც, აღნიშნულ დანაშაულთა შემადგენლობის ობიექტური მხარე და სუბიექტური მხარის ზოგიერთი ელემენტი შეიძლება კიდევაც დაემთხვეს ერთმანეთს. მაგალითად, შესაძლებელია ისინი ჩადენილია ბრალის ერთი და იგივე ფორმითა და სახით, აგრეთვე ზოგჯერ ერთნაირი მოტივებით (ანგარებით, შურისძიებით, ეჭვიანობით ან სხვა ქვენაგრძობით). ამის გამო სასამართლო პრაქტიკაში ასეთ ქმედებათა კვალიფიკაციასთან დაკავშირებით გვხვდება შეცდომები.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებასა, რასაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა და განზრახ ან გაუფრთხილებელ მკვლელობას შორის განსხვავება მდგომარეობს მათ სუბიექტურ მხარეში, თუ პირი დაზარალებულის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დროს ითვალისწინებდა სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას და ამასთანავე სურდა ან შეგნებულადაც უშვებდა მას, ჩადენილი ქმედობა დაკვალიფიცირდება განზრახ მკვლელობად¹, რამდენადაც აღნიშნულ შემთხვევაში სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი მოქმედების შედეგის — დაზარალებულის სიკვდილის — მიმართ გამოიხატება პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვის სახით. საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით ქმედობა მხოლოდ მაშინ დაკვალიფიცირდება, როდესაც სუბიექტი არ ითვალისწინებდა, თუმცა შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებინა კიდევ სიკვდილის დადგომის შესაძლებლობა, ანდა ითვალისწინებდა მას, მაგრამ ქარაფუტუღლად იმედოვნებდა, რომ ამ შემთხვევაში დაზარალებული არ მოკვდებოდა, ხოლო სხეულის მძიმე დაზიანების მიმართ იგი პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა².

მაშასადამე, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც სიკვდილი მოჰყვა, განზრახი მკვლელობისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ განზრახვა მოიცავს არა დაზარალებულის სიკვდილს, არამედ მხოლოდ სხეულის მძიმე დაზიანებას.

აღნიშნულ დანაშაულთა განხილვის დროს ბრალდებულის განზრახვის დადგენა რთულია იმდენად, რამდენადაც უმეტეს შემთხვევაში დამნაშავენი უარყოფენ, რომ მათ სურვილი ჰქონდათ სიცოცხლე მოესპოთ დაზარალებულისათვის. ისინი აღიარებენ მხოლოდ სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების მიზანს. ვფიქრობ, სასამართლოებმა ამ საკითხის გადაჭრისას მხედველობაში უნდა მიიღონ ჩადენილი დანაშაულის ყველა გარემოების ერთობლიობა, კერძოდ, დანაშაულის ჩადენის იარაღი და საშუალება, ჭრილობების რაოდენობა, ხასიათი და ლოკალიზაცია (მაგალითად, ადამიანის მნიშვნელოვან სასიცოცხლო ორგანოებში). დანაშაულებრივი მოქმედების შეწყვეტის მიზეზები, აგრეთვე დამნაშავესა და დაზარალებულის მოქმე-

1 С. В. Бородин, Квалификация убийства по действующему законодательству, М., 1966, с. 229.

2 თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე, მოძღვრება დანაშაულზე, 1960, გვ. 101.

დება დანაშაულის ჩადენის წინ, მათი ურთიერთდამოკიდებულება. მკვლელობის განზრახვას შეიძლება ადასტურებდეს, მაგალითად, სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ორგანოებზე (თავში, გულში, მუცელში...) დაზიანებათა მიყენება დარტყმის დიდი ძალის მქონე იარაღით (გულით, ხანჯლით, წერაქვით).

აქედან გამომდინარე, დანაშაულის მიზნის დადგენა კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია ჩადენილი ქმედობის ფაქტობრივი გარემოებების მხოლოდ კრიტიკული ანალიზით, აგრეთვე ბრალდებულის აღიარებით, დანაშაულის მოწმეთა და სხვათა ჩვენებებით, ცალკეული ჩანაწერებითა და მუქარის წერილებით, როცა ასეთი რამ წინ უსწრებდა დანაშაულს. ასევე გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩადენილი დანაშაულის მოტივისა და მიზნის დადგენას.

ამგვარად, განზრახვი მკვლელობისაგან სხეულის ისეთი განზრახვი მიმე დაზიანების გამოიჯენისათვის, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სუბიექტურ მომენტს, ესე იგი, იმას, თუ როგორი შედეგისაკენ იყო მიმართული დამნაშავეის განზრახვა და არა იმას, თუ დროის რა მონაკვეთით არის დაცლებული დაზარალებულის სიკვდილი სხეულის მიმე დაზიანებისაგან.

იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე არ ითვალისწინებდა და არც შეეძლო გაითვალისწინებინა, რომ სხეულის განზრახვი დაზიანებას შეიძლება ადამიანის სიკვდილი მოჰყვეს, მან პასუხი უნდა აგოს საქართველოს სსკ 110-ე მუხლის პირველი ნაწილით და არა მეორე ნაწილით. ასეთი კვალიფიკაციის აუცილებლობა გამომდინარეობს აგრეთვე საქართველოს სსკ მე-11 მუხლით დადგენილი მოთხოვნებიდან, რომლის მიხედვით დანაშაულებრივი ქმედობით გამოწვეული მიმე შედეგისათვის პირს გაძლიერებული პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ შეიძლება დაეკისროს, თუკი ასეთი შედეგის მიმართ არსებობდა სულ ცოტა დაუდევრობა მაინც. აქ მხედველობაშია ისეთი შემთხვევა, როცა სხენებული შედეგი არ იყო მოცული დამნაშავეის განზრახვით.

„ანის“ მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით იმისათვის, რომ მან „ბანს“, პირადი განაწყენებისა და აქედან აღმოცენებული შურისძიების მოტივით, მიაყენა სხეულის განზრახვი მიმე დაზიანება, რასაც შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა. უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ზედამხედველობის წესით განიხილა აღნიშნული საქმე და თავისი დადგენილებით საქმეზე შედგენილი ყველა გადაწყვეტილება შეცვალა, საქმე ახალ სასამართლო განხილვისათვის დააბრუნა. ამასთანავე მიუთითა, რომ სასამართლოს დასკვნა „ანის“ მხოლოდ სხეულის მიმე დაზიანების განზრახვის შესახებ ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ დამამტკიცებელ საბუთებსა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. კერძოდ, „ანიმ“ დაზარალებულს ათი დარტყმა მიაყენა დანით გულ-მკერდის არეში და სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი შინაგანი ორგანოები დაუზიანა. ყოველივე ეს მან გააკეთა შურისძიების ნიადაგზე. გარდა ამისა, როგორც პრეზიდიუმმა მიუთითა, აუცილებელი იყო იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ მსჯავრდებული თავის მსხვერპლზე დარტყმათა მიყენებას განაგრძობდა მანამდე, სანამ იგი არ მოაშორეს შემსწრე მოქალაქეებმა. აღნიშნულ შემთხვევაში ყურადღება სწორად გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომელიც ადასტურებდა „ანის“ მიერ „ბანის“ მკვლელობის პირდაპირ განზრახვას.

სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება სხვა ხასიათის შეცდომებიც; მაგალითად, ზოგჯერ დადგენილი არ არის დაზარალებულის სიკვდილის მიმართ განზრახვის არსებობა, მიუხედავად ამისა, ჩადენილ ქმედობას არასწორად აკვალიფიცირებენ განზრახვი მკვლელობად (საქართველოს სსკ 104-ე ან 105-ე მუხლით), ნაცვლად 110-ე

მუხლის მეორე ნაწილის შეფარდებისა. ასეთი შეცდომები მოსდით იმის გამო, რომ დანაშაულის კვალიფიკაციას ძირითადად განსაზღვრავენ მძიმე შედეგის — დაზარალებულის სიკვდილის — მიხედვით, საქმის ფაქტობრივ გარემოებათა ანალიზისა და სიკვდილის მიმართ განზრახვის არსებობის დადგენის გარეშე. მაგალითად, აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენით „ანი“ მსჯავრდებული იყო საქართველოს სსკ 104-ე მუხლის მეორე პუნქტით. მას ბრალად ედებოდა მოქალაქე „ბანის“ მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძობით. საქმის ვითარება ასეთია: „ანი“ იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში, ქუჩაში შესვდა „ბანს“ და სიგარეტი მოსთხოვა. მას სიგარეტი არ აღმოაჩნდა. ამით განაწყენებულმა ფეხი დაუშინა სახეში და თავში. „ბანი“ წაიქცა. დაზარალებული მიიყვანეს საავადმყოფოში, სადაც იგი ოთხი დღის შემდეგ გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზი აღმოჩნდა თავის ტვინის ქსოვილების, დაბეგვა და თავის ქალას ხაფუშვლის მოტეხილობა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ „ანის“ მოქმედება 104-ე მუხლის მეორე პუნქტიდან გადააკვალიფიცირა საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილზე. ამასთანავე მიუთითა, რომ საქმეზე არსებული მტკიცებულებები არ იძლევიან იმის საფუძველს, რომ დაზარალებულის ცემისა და მისთვის სხეულის დაზიანების მიყენების დროს მსჯავრდებული მკვლელობის განზრახვით მოქმედებდა³.

ნაკლებ რთული როდია განსხვავების დადგენა გაუფრთხილებელ მკვლელობასა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას შორის, რომელსაც შედეგად მოჰყვა სიკვდილი, რადენადაც ორივე შემთხვევაში სიკვდილი დგება გაუფრთხილებლობით, თუმცა ერთ შემთხვევაში იგი შეიძლება გამოწვეული იყოს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების შედეგად, მეორე შემთხვევაში კი — გაუფრთხილებლობით სხეულის მძიმე დაზიანებით. სხეულის მძიმე დაზიანების მიმართ პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვის არსებობის დროს გაუფრთხილებლობით დაზარალებულის სიკვდილი საფუძველს იძლევა დამნაშაის მოქმედების კვალიფიკაციისათვის საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით, მაგრამ „გაუფრთხილებელ მკვლელობად უნდა დაკვალიფიცირდეს სხეულის გაუფრთხილებლობით მძიმე დაზიანება, რასაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ „ანი“ მსჯავრდებული იყო საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით. „ანი“ დამნაშავედ იყო ცნობილი იმაში, რომ „ბანს“ მიაყენა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რასაც შედეგად მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი. განაჩენის თანახმად, „ანი“ იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში, ნათესავის დაძახებაზე გამოვიდა ქუჩაში და „ბანს“ სამჯერ დაარტყა მუშტი თავში, ფეხიც წამოუდო, რის შედეგადაც დაზარალებული წაიქცა. იგი ადგომას ცდილობდა, მაგრამ „ანმა“ ფეხის დარტყმით კვლავ წააქცია და იგი გარდაიცვალა. ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად.

ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი განიხილა იმავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ და მიუთითა, რომ საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ დამნაშავე კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენისას ითვალისწინებდეს სხეულის მძიმე დაზიანებათა მიყენების შესაძლებლობას და სურდეს, ან შეეგებულად უშვებდეს ასეთი შედეგის დადგომას. ამასთანავე, საქმის მასალებიდან გამომდინარე, „ანის“ მოქმედება არ იყო მიმართული „ბანისათვის“ სხეულის მძიმე დაზიანებათა მიყენებისაკენ. საქმით დამტკიცებულია, რომ მან მხოლოდ ფეხი დაუდო. ამ მოქმედებებმა დაზარალებულს არ მიაყენეს რა-

3. აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს არქივი, 1977, სისხლის სამართლის საქმე № 1/63.

იმე სერიოზული დაზიანება. სასიკვდილო შედეგი დადგა დაცემისა და მიწაზე თავის დარტყმის შედეგად. ასეთ ვითარებაში ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ არასწორად სცნო სასამართლოს დასკვნა დანაშაულის — სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების — არსებობის შესახებ. ამასთანავე, როცა ფენი დაუდო, უნდა გაეთვალისწინებინა მძიმე შედეგის, მათ შორის, სიკვდილის დადგომა. ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი მოქმედება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ 108-ე მუხლზე⁴.

110-ე მუხლის მეორე ნაწილში დამამძიმებელ გარემოებად მითითებულია აგრეთვე სხეულის მძიმე დაზიანება მტანჯავი საშუალებით ან წამებით, ე. ი. საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენა ისეთი ხერხით (საშუალებით), რასაც ტანჯვის ან წამების ხასიათი აქვს. მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ხსნის „ტანჯვისა“ და „წამების“ ცნებას. მათი ახსნა-განმარტება მოცემულია სხეულის დაზიანებათა სიმძიმის ხარისხის განმსაზღვრელ წესებში, რომლის მიხედვით „ტანჯვის“ ცნებაში იგულისხმება სხვა პირისათვის ტანჯვის გზით, ხანგრძლივად ან სხვა საშუალებით საკვების, სასმელის, სითბოს, თავისუფლების მიუცემლობა, რაც საშიშია დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ამ დროს დაზარალებული განიცდის მძიმე ფიზიკურ და მორალურ ტკივილებს, ხოლო „წამებაში“ იგულისხმება განსაკუთრებული ტკივილების მიყენება სისტემატურად ან ერთჯერადად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში: გარონჯვა, ჩქმეტა, მრავალრიცხოვანი დაზიანებების მიყენება ყრუ და წვეტიანი, მჩხვლეტავი საგნებით, თერმული ფაქტორებით ზემოქმედება და ა. შ.

იურიდიულ ლიტერატურაში ტანჯვის ცნებაში იგულისხმება სხვა პირისათვის დაზიანების მიყენება ისეთი ხერხით, რომელიც დაზარალებულში განსაკუთრებით ძლიერ მწუხარებას იწვევს. ეს ადასტურებს დამანაშავის უკიდურეს სისასტიკეს, მის უდიდეს სოციალურ საშიშროებას.

ზოგიერთ შემთხვევებში ცალკეულ პირთა ორგანიზმი განსაკუთრებულ მგრძობიარობას ამჟღავნებს ინდივიდუალური თავისებურებების გამო. ზოგჯერ დამანაშავეებმა სწორედ ამ განსაკუთრებულ გარემოებებს იყენებენ დაზარალებულის ტანჯვისა და წამებისათვის სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დროს. აღნიშნულ შემთხვევებში მხედველობაში მიიღება სქესის თავისებურება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი, გამძლეობა და ა. შ.

ამრიგად, სხეულის დაზიანებათა სიმძიმის ხარისხის განმსაზღვრელ წესებში და იურიდიულ ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისით, ქმედობის წამებად ცნობისათვის აუცილებელია შემდეგი ელემენტების არსებობა: 1. სხეულის დაზიანების მიყენებამ დაზარალებულში უნდა გამოიწვიოს განსაკუთრებული ტკივილი. სხეულის დაზიანებათა არსებობა, მათი განლაგება, ხანდაზმულობა და ჯანმრთელობაზე გავლენა აისახება დაზარალებულის სასამართლო-სამედიცინო შემოწმების აქტში; 2. სხეულის დაზიანებანი და ტკივილი დაზარალებულს მიყენება სისტემატურად, მრავალჯერ.

ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს განაჩენით საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით პირი გასამართლებული იყო იმისათვის, რომ მან ეჭვიანობის ნიადაგზე თოკით დააბა თავისი ცოლი და სამართლებლით შეაჭრა თმები თავის ქალას რამდენიმე ადგილზე კანის დაზიანებით, მოაჭრა ცხვირი, მარცხენა ყური. ყოველივე ამას იგი აკეთებდა ნელა, დაზარალებულიზათვის განსაკუთრებული

4 «Бюллетень Верховного Суда СССР», 1979, № 2, с. 25—27.

ტანჯვისა და ტკვილების მიყენების გზით. სასამართლომ დაზარალებულის სხეულის მძიმე დაზიანება სწორად შეაფასა როგორც წამების გზით მიყენებული⁵.

ე. ი. სხეულის დაზიანება მხოლოდ ობიექტურად კი არ უნდა იყოს ჩადენილი მტანჯავი საშუალებით ან წამებით, არამედ დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ იგი განსაკუთრებით მტანჯავი საშუალებით აყენებს პირს სხეულის დაზიანებას.

სწორად სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მიყენებულია ტანჯვა-წამებით, რომელსაც გაუფრთხილებლობით მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი (ე. ი. დამნაშავეს დამოკიდებულება აღნიშნული მძიმე შედეგისადმი გამოიხატება გაუფრთხილებლობით). ასეთ შემთხვევებში საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით დანაშაულის კვალიფიკაციის დროს იქნება ორი კვალიფიციური ნიშანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა პირის მოქმედება საქართველოს სსკ 105-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა 110-ე მუხლის მეორე ნაწილზე და მიუთითა, რომ მან განსაკუთრებული სისასტიკით ცემა თავისი დედა, აწამა იგი, სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენა, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. აღნიშნულ დაზიანებათა მიყენების ხერხი კი, განსაკუთრებული სისასტიკით ცემა და წამება, პრეზიდიუმმა მოცემულ შემთხვევაში მისი ბრალის დამამძიმებელ ფაქტორად სცნო⁶.

წამებისა და ტანჯვის ფაქტის დადგენის დროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტსა და საგამოძიებო ორგანოებს შორის კომპეტენცია გამიჯნულია სხეულის დაზიანებათა სიმძიმის ხარისხის განმსაზღვრელი წესების თანახმად. აღნიშნული საკითხის განხილვისას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის ამოცანაა სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის დადგენა და დაზიანებათა მიყენების ხერხის განსაზღვრა. ტანჯვა-წამების თვით ფაქტის დადგენა კი მიეკუთვნება სასამართლოებისა და საგამოძიებო ორგანოების კომპეტენციას. ე. ი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა თავის დასკვნაში უნდა განსაზღვროს სხეულის დაზიანებათა სიმძიმის ხარისხი და მათი მიყენების ხერხი (წამებისა და ტანჯვის გზით). ამის საფუძველზე ღვინდება მიზეზობრივი კავშირი ტანჯვის ან წამების ხერხით მიყენებულ დაზიანებასა და დამდგარ შედეგს შორის საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს მიერ. ისინი საკუთარ შეფასებას აძლევენ საქმის ყველა მასალას და ექსპერტის დასკვნას მოცემულ საკითხზე. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ, თუ 104-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის — დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის — მაკვალიფიცირებელი გარემოება არის განზრახ მკვლელობა ისეთი საშუალებით, რაც საშიშროებაა მრავალ პირთა სიცოცხლისათვის, სრულიად ლოგიკურია, რომ ანალოგიური გარემოება გათვალისწინებული იყოს სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დროსაც როგორც დამამძიმებელი გარემოება, რადგან ასეთ შემთხვევაშიც მსგავსი საშუალების გამოყენებით დამნაშავეს ქმედობამ, ადვილი შესაძლებელია, საფრთხე შეუქმნას მრავალი ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ამასთან, დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მის მიერ შერჩეული სხეულის მძიმე დაზიანების საშუალება საშიშია არამარტო იმ პირისათვის, ვისი სხეულის დაზიანებაც მას სურს, არამედ საშიშროებას უქმნის მრავალ პირთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

სხეულის დაზიანების კონკრეტული საშუალება, რომელიც საშიშროებას უქმნის მრავალ ადამიანთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, განსახილველ კანონში მითითებული არ არის, კერძოდ, ის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია სხვა ადამიან-

5. ქ. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს არქივი, 1974, სისხლის სამართლის საქმე № 14277.

6. ზუგდიდის რაიონის სასამართლოს არქივი, 1976, სისხლის სამართლის საქმე № 1/334.

ნის ზელოფა სსკ 110-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის განსახორციელებლად. მაგალითად, ერთმა მეორეს სხეულის მძიმედ დაზიანებისათვის ქუჩაში ესროლა მომწამლაი გზის პატარა ბალონი, რამაც გამოიწვია მისი და ქუჩაში მყოფი უცხო პირების ჯანმრთელობის მძიმედ დაზიანება. ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება თუ ამას 110-ე მუხლის შესაბამის ნაწილში გაითვალისწინებენ როგორც მოცემული დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას.

საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მესამე ნაწილში კი მითითებულია სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ისეთ კვალიფიციურ სახეზე, როგორც არის ამ დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. ქმედობა დაკვალიფიცირდება 110-ე მუხლის მესამე ნაწილით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით წინასწარ იყო ცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ამ დანაშაულის ჩადენამდე⁷. ზოგჯერ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად აღიარებულია ისეთი პირი. რომელსაც წარსულში ჩადენილი აქვს დანაშაულები, დაკავშირებული მის პირად, ან მატერიალურ, ან შექმნილ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობასთან, რა თქმა უნდა, ასეთი ნასამართლობის მქონე პირი ცნობილი უნდა იყოს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად და განმეორებით საზოგადოებრივად საშიშ ქმედობის ჩადენის შემთხვევაში მას უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, მაგრამ სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს, ჩემი აზრით, უნდა გაითვალისწინოს დამნაშავეს წარსული, კერძოდ, რა მიზეზებით ჰქონდა მას დანაშაულები ჩადენილი წინათ და მხედველობაში მიიღოს იგი განმეორებითი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და საქმის სხვა გარემოებებთან ერთად. ამას მოითხოვს სისხლის სამართლის ჰუმანიზმის პრინციპი და თვით სასჯელის მიზანი.

ამრიგად, ქმედობა საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირდება, თუ დამნაშავეს ბრალი სხეულის მძიმე დაზიანების მიმართ გამოხატება განზრახვაში, ხოლო დაზარალებულის სიკვდილისადმი — გაუფრთხილებლობაში.

საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მესამე ნაწილში განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ამ დანაშაულის ჩადენის ცალკე ნაწილად გამოყოფით კანონმდებელმა კიდევ ერთხელ საზგასმით აღიარა მითითებული ქმედობის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება. ჩემი აზრით, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ჩადენა მტანჯავი საშუალებით, ან წამებით სშირად უფრო მეტი საზოგადოებრივი საშიშროების მქონეა, ვიდრე იგივე დანაშაულის ჩადენა იმ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, რომელიც სასამართლოს მიერ წინასწარ ცნობილ იქნა განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად. ამასთან, მეორე ნაწილში გაერთიანებულია ფრიად განსხვავებული მაკვალიფიცირებელი გარემოებები, რაც აძნელებს პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციას. ნათქვამიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოს სსკ 110-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილში დარჩეს სიკვდილი, ან ტანჯვა-წამება, მესამე ნაწილად კი გადავიდეს ერთ-ერთი მათგანი. უფრო სწორი იქნებოდა სიკვდილის გადატანა, ხოლო მეოთხე ნაწილში იყოს რეციდივისტი. ერთი სიტყვით, 110-ე მუხლის ახალი რედაქცია ჩვენ ასეთნაირად გვესახება: „სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ე. ი. სხეულის დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის ან რომელსაც მოჰყვა მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ან სულიერი ავადმყოფობა, ან ორსულობის შექ-

7. საქართველოს სსკ კომენტარები, 1976, გვ. 262.

ყველა, ან ჯამრთელობის სხვაგვარი მოშლა, დაკავშირებული საერთო ან პროფესი-
ული შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან სულ ცოტა მესამედით, აგრეთვე სხეულის
გაუფრთხილებლობითი სიკვდილი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სა-
მიდან რვა წლამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი მტანჯავი საშუალებით ან წამებით, ან ისეთი საშუ-
ალებით, რომელიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალი პირის ჯანმრთელობისათ-
ვის, ან განმეორებით, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ
წლამდე.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის
გაუფრთხილებლობით სიკვდილი, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რე-
დან თხუთმეტ წლამდე. იგივე ქმედობა, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდი-
ვისტის მიერ, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლა-
მდე“.

110-ე მუხლის რედაქცია ასეთი სახით სასამართლო-საგამოძიებო ორგანოებს
დაუხმარება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების სისხლის სამართლის საქმეებზე
ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილებების მიღებაში. ამასთან, გაიზრდება პი-
როვნების სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მიმართ სისხლის სა-
მართლის კოდექსში მუხლების (104, 105, 106, 107, 108) სანქციები.



ქეთევან საბინაშვილი

საეკლესიო სამართლის ნაკოშობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

თანამედროვე მსოფლიო რელიგიებს შორის, რომლებიც დღემდე განაგრძობენ არსებობას, ქრისტიანობა ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული რელიგიური სისტემაა. ქრისტიანობა ისტორიულად იმ ქვეყნების ოფიციალურ რელიგიად გვევლინება, რომლებმაც თავისი საზოგადოებრივი განვითარების მიხედვით მსოფლიოში შედარებით მაღალ საფეხურს ადრე მიაღწიეს.

ქრისტიანულმა რელიგიამ თავისი არსებობის მანძილზე, ისტორიული ვითარების შესაბამისად, გარკვეული ცვლილებები განიცადა. მასთან ერთად იცვლებოდა საეკლესიო ხასიათის სამართალშემოქმედება და სასამართლო ორგანიზაცია, რომელსაც კათალიკოსი და იქ არსებული საეკლესიო ცხოვრების მომწესრიგებელი დიკასტერია წარმართავდა.

სამართალს, რომლითაც საეკლესიო ცხოვრება არის რეგლამენტირებული, საეკლესიო სამართალი ეწოდება. ამ დისციპლინას მეორე სახელიც აქვს „კანონიკური სამართალი“. სიტყვა „კანონიკური“ პირდაპირი გაგებით ნიშნავს „სამართალმცოდნის იარაღს სწორი ხაზის გავლებისათვის“.

კანონიკური სამართალი, როგორც იურიდიული დისციპლინა, შედის იურიდიული მეცნიერების სისტემაში. იგი მიახლოებულია რომის, სლავიანური, გერმანელების და სხვა ქრისტიანულ სამართალთან. აგრეთვე იმ ქვეყნების მომქმედ სამართალთანაც, სადაც მართლმადიდებლური ეკლესია არსებობს. დღეისათვის მეცნიერების ამოცანაა, აშენდეს საეკლესიო სამართლის ერთიანი სისტემა.

დასავლეთში საეკლესიო სამართალს, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი სფეროს წარმოშობას, ვრცელი ისტორია აქვს, დაწყებული XII საუკუნიდან, როცა კანონიკური სამართლის სწავლება გამოეყო თეოლოგიას. კანონიკური სამართლის გამოყოფა თეოლოგიისაგან დაიწყო ბალონიასა და პარიზში. შემდგომში მის მაგალითს მიბაძეს ევროპის სხვა უნივერსიტეტებმა და უმაღლესმა სკოლებმა.

თეოლოგიის ცალკე გამოყოფამ ხელი შეუწყო კანონიკური სამართლის იურიდულენციისთან მიახლოებას. უკვე XII საუკუნის დასასრულს იურისტიკისათვის ჩვეულებრივი გახდა კანონიკური სამართლის შესწავლა, ან პირიქით კანონისტიკისათვის იურიდულენცია. კავშირი კანონიკურსა და რომის სამართალს შორის იმით აიხსნება, რომ იურისტები, რომლებიც სწავლობდნენ რომის სამართალს, იმპერატორის ნორმატიულ აქტებს შორის ნახულობდნენ ბევრ კანონებს ეკლესიის შესახებაც, რომლებიც მოითხოვდნენ შესწავლას, როგორც რომის სამართლის ძირითადი ნაწილი, ხოლო კანონისტები სწავლობდნენ და ხსნიდნენ ეკლესიის იურიდიულ მდგომარეობას. ისინი ხვდებოდნენ საინტერე-

სო მოვლენას დასავლურ ისტორიაში, რომ გერმანელი ხალხები, რომლებიც თავიანთი ტომის სამართლით ცხოვრობდნენ (მაგ. ფრანკები).

ეკლესია და სასულიერო პირები რომის სამართალს იყენებდნენ, რომელიც შემდგომში არა მარტო საეკლესიო, სამოქალაქო ურთიერთობების დამარეგულირებელიც გახდა. შემდგომში საეკლესიო სამართალში აუცილებელი გახდა რომის სამართლის შემოტანა, რის შედეგადაც რომის სამართალმა ერთგვარი მოდიფიკაციაც კი განიცადა.

XVII საუკუნიდან საეკლესიო სამართლის მეცნიერულად დამუშავებაში ერთ-ერთი წამყვანი როლი გერმანიას ენიჭება. როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგის გამოკვლევაში, დიდი ადგილი აქვს ვოლტერის, ფრიდბერგის, რისტერის და სხვა მეცნიერების შრომებს.

ძველ ბიზანტიასა და საბერძნეთში საეკლესიო სამართალი ისწავლებოდა ალექსანდრიის, ანტიოქიის, ბეირუთის, რომის, კონსტანტინოპოლის უმაღლეს სკოლებსა და უნივერსიტეტებში, სადაც ვანათლება მიიღეს ტერტულიანემ, ბასილი დიდმა და სხვებმა.

მაკედონელის დინასტიის ეპოქაში სამართალმცოდნეები კონსტანტინოპოლის სკოლაში გამოსცემდნენ საკანონმდებლო კრებულებს. იმ პერიოდში ბიზანტიაში კანონიკური სამართალი სხვა სამართალთაგან არ იყო გამოყოფილი. კანონისტები ამავედროულად სამოქალაქო სამართლის მცოდნენიც იყვნენ.

პირველი სპეციალური იურიდიული სკოლა გახსნილი იყო კონსტანტინოპოლში XI საუკუნეში წმინდა გიორგის სახელობის მონასტერში, რომლის მმართველიც „ნომოფილაქსის“ ტიტულს ატარებდა. კონსტანტინოპოლის სკოლასთან არის დაკავშირებული ცნობილი ბერძენი კანონისტების: ზონარის, ბალზამონის, კრისტინეს შრომები, ზოლო არისტინე და ბალზამონი გარკვეულ პერიოდში ხელმძღვანელობდნენ ამ სკოლას და მათ მინიჭებული ჰქონდათ „ნომოფილაქსის“ ტიტული.

ბიზანტიაში კანონების შესწავლა ხდებოდა პრაქტიკულად. იქმნებოდა სისტემატიზირებული კრებულები, ხდებოდა სამართლის ნორმების კლასიფიკაცია საგნების მიხედვით. კანონიკური სამართალი ორგანულად დაკავშირებულია საღვთისმეტყველო დისციპლინებთან: ეგზეგეტიკასთან, ეკლესიოლოგიასთან, ზნეობრივ და სამოძღვრო ღვთისმეტყველებასთან, ლიტურგიასთან და სხვა. ჯვაროსნების შემოსვლის შემდეგ ეს სკოლა კონსტანტინოპოლიდან გადაიტანეს ნიკიაში, იქიდან ეფესოში. დედაქალაქში დაბრუნდა მხოლოდ მისი გათავისუფლების შემდეგ.

საეკლესიო სამართალი რუსეთში ისწავლებოდა მხოლოდ პრაქტიკული მიზნებისათვის. პირველი ცდები სამეცნიერო შესწავლისათვის დაიწყო XIX საუკუნის დასაწყისში. მოგვიანებით საეკლესიო სამართლის სწავლება შემოიღეს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომლის სწავლების ინსტრუქცია შედგენილი იყო მიტროპოლიტ პლატონის მიერ.

1798 წ. წმინდა სინოდმა გამოსცა ბრძანება „საღვთო რჯულის“ სწავლების შემოღება ყველა სასულიერო აკადემიაში. პედაგოგების მოვალეობა იყო არა მარტო სისტემატიზაციაში მოეყვანა კანონიკური მასალა, არამედ მეცნიერულადაც დაემუშავებინათ. 1835 წლიდან კანონიკური სამართალი იკითხებოდა უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებზე.

პირველი სერიოზული ცდა საეკლესიო სამართლის სისტემის მეცნიერული სახით დამუშავებისა მიეკუთვნება კანონისტ ეპისკოპოს იოანეს (სოკოლოვს). მისი ნაშრომი „საეკლესიო სამართლის საცდელი კურსი“ გამოვიდა 1851 წ. ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა (მილაშმა) მას ახალი მეცნიერების „საეკლესიო სამ-

ართლის“ „მამა“ უწოდა. ეპისკოპოს იოანეს კურსი გამოირჩევა ძველი კანონების დრმა ინტერპრეტაციით.

ყველაზე სრულყოფილი საეკლესიო სამართლის სახელმძღვანელო მიეკუთვნება ყაზანის აკადემიის და უნივერსიტეტის პროფესორს ი. ს. ბერდნიკოვს. მისი ნაშრომი „საეკლესიო სამართლის მოკლე კურსი“ გამოვიდა 1988წ.

სერბიელი კანონისტიებიდან ყველაზე ცნობილია ეპისკოპოსი ნიკოდიმი (მილაში), რომლის ნაშრომი „მართლმადიდებლური ეკლესიის კანონები“ ვრცელი კომენტარებით გამოიცა 1895-1899 წ., რომელსაც დღემდე იყენებენ კანონისტები და მას არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირსება. მნიშვნელოვანია XIX ს. ეპისკოპოს ანდრეის, კ. პაპოვიჩის, კ. ცანკუის ნაშრომები.

საქართველოში კანონიკურ მწერლობას ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი მოღვაწეობით ჩაეყარა საფუძველი. პირველი კანონიკური კრებული ქართულ ენაზე „მცირე რწმუნისკანონის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ექვთიმე მთაწმინდელს ეს კრებული შეუდგენია ბერძნულიდან თარგმნილი სხვადასხვა კანონიკური სტატიების საფუძველზე. ეს სტატიები სხვადასხვა პერიოდისა და ქართული ეკლესიისათვის საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა კანონიკური კრებულიდან არის ნათარგმნი.

„მცირე რწმუნისკანონი“ ერთადერთი ძეგლია XI საუკუნის დამდევამდე ნათარგმნ კანონიკურ თხზულებათაგან, რომელიც პარალელს პოულობს „დიდი სჯულისკანონის“ სტატიებს შორის.

მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი კანონიკური კოდექსი 14-ტიტულოვანი ნომოკანონი ანუ „დიდი სჯულისკანონი“, საბოლოოდ მხოლოდ IX საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა. საეკლესიო სამართლის უმდიდრესი და მრავალფეროვანი მასალიდან ძირითადად კანონიკურ კოდექსში მხოლოდ უმნიშვნელოვანესი შევიდა.

კანონიკურ კოდექსს შეადგენს იმ საეკლესიო კანონების ერთობლიობა, რომლებიც სავალდებულოა მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიისათვის. საეკლესიო კანონთა ამ კრებულში შევიდა საეკლესიო კანონმდებლობის ის იურიდიული ნორმები, რომლებიც მიღებული იყო ადრექრისტიანული პერიოდიდან IX საუკუნემდე.

კანონიკური კოდექსი ძირითადად ოთხ ჯგუფად იყოფა:

1) „მოციქულთა“ სახელით ცნობილი 85 საეკლესიო კანონი, რომელიც საეკლესიო კანონმდებლობის პირველ წერილობით ძეგლად ითვლება;

2) მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები. ძირითადად კანონიკურ კოდექსში შესულია ყველა ის საეკლესიო კანონი, რომლებიც მსოფლიო შვიდ საეკლესიო კრებას გამოუტანია;

3) ადგილობრივი საეკლესიო კრებათა კანონები. IX საუკუნემდე რიცხვმრავალ ადგილობრივ საეკლესიო კრებათაგან მხოლოდ რამდენიმემ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად კანონიკურ კოდექსში. ეს ის ათი ადგილობრივი კრებაა, რომელთა საეკლესიო კანონების ზოგადქრისტიანული მნიშვნელობის აღიარება მსოფლიო საეკლესიო კრებათა სანქციით მოხდა;

4) ავტორიტეტული საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობა. მართლმადიდებლური ეკლესია ერთადერთ კომპეტენტურ საკანონმდებლო ორგანოდ საეკლესიო კრებას აღიარებდა, ხოლო ე. წ. „წმინდა მამათა“ კანონი ეპისტოლეები ერთგვარი ნიმუშია კანონმდებლობის, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ წმინდა მამათა ეპისტოლეებში ჩამოყალიბებულმა საეკლესიო კანონებმა ზოგადქრისტიანული სავალდებულო ნორმის მნიშვნელობა მხოლოდ მსოფლიო კრებათა სანქციით მოიპოვეს.

ძირითად საეკლესიო კოდექსში შესული კონკრეტული წყაროების ფიკაცია თანდათანობით მიმდინარეობდა, ამიტომ კანონიკურ კრებულებში მათ ადგილი სხვადასხვა დროს დაიმკვიდრეს. ქრისტიანული ეკლესიის სამყაროში შედგენილ პირველ კანონიკურ კრებულსა და IX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბებულ ძირითად საეკლესიო კოდექსს ერთმანეთს საუკუნეები აშორებს, ხოლო ამ დროის განმავლობაში ეპოქის საჭიროებისამებრ მიღებული საეკლესიო კანონების გამომზეურება და მათი კრებულში ფიქსირება თავისთავად ცვლიდა კანონიკური კრებულის შინაარსობრივ შემადგენლობას. ამასთანავე კანონიკური კრებულის პრაქტიკული მოხმარების გასაადვილებლად ცდილობდნენ კრებულში შესული მასალების სისტემატიზაციისათვის ეფექტიანი მეთოდები მოეხატა, რაც თავის მხრივ იწვევდა კანონიკური კრებულების ერთმანეთისაგან ფორმალური ნიშნებით განსხვავებას.

მართალია, კანონიკური კრებულების შესახებ ცნობები ძალზედ მწირია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ნიკიის პირველი მსოფლიო კრების კანონება არის ის ძირითადი, რომელიც საფუძვლად დაედო საეკლესიო კრებათა კანონების შემცველი ყველა კრებულების ჩამოყალიბებას. როგორც გამოკვლევებიდან ჩანს, კანონიკური სამართალი უძველესი დროიდან იღებს სათავეებს. იგი როგორც საეკლესიო, ასევე სულიერი კულტურის ერთობლიობაა. კანონიკური სამართალი არის ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც ფალობდებოდა და იხვეწებოდა საეკლესიო კრებების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და ისტორიის წყალობით.



ალექსანდრა შუშანაშვილი

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და სოციალ-დემოკრატები

ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ ერთიანად შეძრა საზოგადოებრივი ცხოვრება, გამოაფხიზლა და გამოაცოცხლა ეროვნული ცნობიერება, წარმოაჩინა პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს შორის არსებულ უთანხმოებათა მიზეზები და მიზნები. ილიას მკვლელობით გამოწვეული აღშფოთება და რისხვა განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებს დაატყდა თავს. გაიხსენეს 1905 წელს ჟურნალ „მოგზაურში“ ფილიპე მახარაძის მიერ ილიას წინააღმდეგ გაჩაღებული აღვირაზნული პროპაგანდა, დაემეს და შეაჩვენეს სოციალ-დემოკრატების პლატფორმა და იდეოლოგია. „სავალალო და საშინელი ის არის, რომ ჩვენმა ცხოვრებამ შეჰქმნა ატმოსფერო, სადაც ასეთ ბოროტებას ადგილი აქვს და მარჯვე ნიდაგი აქვს მომზადებული. განა ჩვენი არ გაჩნდა მიმართულება, რომელსაც არ სწამს და ეზიზღება მთელი ჩვენი წარსული? განა ამ მიმართულების უვიცმა აგენტებმა არ იმუშავეს დაუღალავად, რათა მიწასთან გაესწორებინათ ჩვენი მგოსანნიც, მწერალნიც, მოღვაწენიც, რომლებიც ხალხის პირად მტრებად გამოჰყავდათ და ბრბოს უსისინებდნენ — ჰკა მავათო?.. ის ვაჟბატონები პირდაპირ ეუბნებოდნენ — აი, ესენი ნაციონალისტები არიან, ესე იგი თქვენი პირდაპირი მოსისხლე მტრები, რომელთაც ძველი საქართველოს აღდგენა უნდათ. მეფეებითა, ბატონყმობითა და ამგვარ წარსულ დიდებითაო!“ — წერდა სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ისარი“ 1907 წლის 2 სექტემბერს. ძნელი მისახვედრი არაა, ვინ იგულისხმებოდა ამ მიმართულებასა და ვაჟბატონებში.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია სოციალ-დემოკრატებშიც, ბევრ მათგანს აუხილა თვალი, დაანახვა ეროვნული ინტერესების უზენაესობა, იმ დღეებში იროდიონ ევლოშვილი წერდა: „ეს იყო ჩვენთვის დიდი გაკვეთილი, რომ ერთმანეთი გაგვეცნო, ეს იყო ჩვენთვის „სამგლოვიარო ნიშანი“, „სამგლოვიარო ზარი“, რომელმაც დასტეჟა და შეგვატყობინა: გამოდით მოედანზე, გამოდით ნათლად ხალხის წინ და აღიარეთ იქ თქვენი გულის ნადები, თქვენი პიროვნება. შეატყობინეთ ხალხს, ვინ ხართ და რა ხართ? ვინ ხართ მისი მეგობარი, ვინ მუხანათი, ვინ მტერი, ვინ ფარისეველი და იუდა! დიახ. ასეთი იყო ის ზარი და ამ ზარს ვერ გაუძლეს თვით „დისციპლინას“ მიჩვეულმა პირებმაც კი, ყველამ თავისი თავი დაგვანახვა, ყველამ ძალაუნებურად აღიარა თავისი გულის ნადები!“! თვითონ იროდიონ ევლოშვილმა, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი იყო და ხშირად ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგაც ილაშქრებდა, მისი მკვლელობისთანავე გაწყვიტა კავში-

1. ი. ევლოშვილი, მტრებს და მეგობრებს, გაზ. „ისარი“, 1907 წლის 14 სექტემბერი.

რი ამ პარტიასთან, საჯაროდ დაგმო ამ მკვლევლობისადმი სოციალ-დემოკრატიების დამოკიდებულება, მათი პროგრამა და პრაქტიკული საქმიანობა. „ცხოვრების ნაძირალებო! თქვენ, რომელნიც არ მალავთ თქვენს ღიმილს და სიხარულს ავაზაკების მიერ განგმირულს ქართველების დიდი მგოსნის გვამთან, თქვენ, რომელნიც ასე წასიამოვნები დარჩით მისი სიკვდილით, ნუთუ არ გესმით, რომ თქვენი ღიმილი ვაშა ავაზაკებისადმი! რომ იგი თანაგრძნობაა მწერლის ჯალათებისადმი, იმ მწერლისა, რომლის ნაწარმოებით თვით თქვენვე აღიზარდეთ“².

ილია ჭავჭავაძის მკვლევლობისათვის ნიადაგის მომზადება სოციალ-დემოკრატიებს დადეს ბრალად სილოვან ხუნდაძემ, მიხაკო წერეთელმა, კიტა აბაშიძემ, ფილიპე გოგინაიშვილმა, გიორგი ლასხიშვილმა, რევაზ გაბაშვილმა და სხვებმა. როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, დიდი გლოვისა და ტკივილის ფონზე ბევრი უკმეხი და მწარე სიტყვაც ითქვა.

სილოვან ხუნდაძე: „თამამად შემძლია პირდაპირ გითხრათ თქვენ, ბნო სოციალ-დემოკრატებო და გამოვიცხადოთ: დიახ, თქვენ, თქვენა ხართ საქართველოს მტერნი... საქართველოში თქვენი „დიდებული მოძრაობა“ ქართველი ეროვნების უარყოფასა და ილია ჭავჭავაძის მოკვლაში გამოიხატა“³.

კიტა აბაშიძე: „თავისი დიდებული მოძღვარი მოჰკლა ქართველმა ერმა, იმ ერმა, რომელიც დიდებულ მოძრაობაში ერთი გრძნობითა და აზრით იკვებებოდა — საქართველოს, ქართველი ერის, ე. ი. თავისი თავის უარყოფითა და ზიზღით. ეს გრძნობა გამოხატა საშინლად, მხეცურად და საეროვნო გრძნობის დიდებული დარაჯი ვერაგულად, საზიზღრად მოჰკლა. ქართველი ერი ამ მოქმედებით წყეულ ერთა რიცხვში ჩაეწერა, ქვეყანაზე სამაგალითოდ შეიქმნა... ის ერი, რომელიც თავის დიდებულ კაცსა ჰკლავს, მორიელია, რომელიც თავისი შხამით თავის თავსვე იწამლავს... ქართველი ერი უკურნებლის სენით არის ავად და მისი დღეები დათვლილია. ეს ცხადზე უცხადესია. ეს სიმპტომი ისეთია, როგორც სულთა-მობრძავის ზრიალი“⁴.

ასეთი აღშფოთებისა და მოურიდელობის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის ორგანიზაციასა და აღსრულებაში სოციალ-დემოკრატების უშუალო მონაწილეობა ვერავინ დაასაბუთა, კონკრეტული ბრალდება და ფაქტები ვერ წარმოადგინა. სოციალ-დემოკრატებს ედავებოდნენ მხოლოდ იმას, რომ უსაფუძვლო კრიტიკითა და ლანძღვა-ვინებით შექმნეს ილიას წინააღმდეგ მტრული საზოგადოებრივი განწყობა და ატმოსფერო, არაფერი იღონეს მისი დაცვისა და უსაფრთხოებისათვის. „მოგზაურთა“ და ძმთა მისთა ის კი არ ედებათ ბრალად, ვითომ ვიღაცეებს ჩააგონეს, ილია მოკალითო, არამედ ის, რომ განუწყვეტელი აგიტაციით, პროპაგანდით და საზიზღარი ჭორების გავრცელებით ისეთი ფსიქიური ატმოსფერო შექმნეს სოციალ-დემოკრატთა ბანაკში, რომ ამ პარტიამ ილიას მოკვლა სარეგოლეუციო აქტად მიიღო“⁵.

გაზეთ „ამირანის“ 1908 წლის 5 სექტემბრის სარედაქციო წერილში ნათქვამია: „როგორც ამ ერთი წლის წინათ, ეხლაც ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ილიას მოკვლა არ შეიძლება დაჰბრალდეს არც რომელიმე პოლიტიკურ პარტიას და არც მის მესვეურებს, მაგრამ უგუნრმა კამპანიამ ილიას წინააღმდეგ რომ ამ საზარელი მკვლევლობისათვის უმეტარ ხალხში ნიადაგი მოამზადა, ეს კი ეჭვს გარეშეა“.

2. ი. ევლოშვილი, ნაძირალებს, გაზ. „ისარი“, 1907 წლის 4 სექტემბერი.

3. სილოვან ხუნდაძე, მკვლევები და მცველები, ქუთაისი, 1907, გვ. 25.

4. კიტა აბაშიძე, დიდებული მოძღვარი, გაზ. „ისარი“, 1907 წლის 20 სექტემბერი.

5. მ. აღ-ლი, იღარ გახუდებთ?! გაზ. „ისარი“, 1907 წლის 13 ოქტომბერი.

უნდა ითქვას ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატების საწინააღმდეგო განწყობას კიდევ უფრო ამწვავებდა მათი ზოგიერთი ლიდერის და ბეჭდვითი ორგანოს უტაქტო და გამომწვევი პოზიცია. სოციალ-დემოკრატების გაზეთ „ჩვენი გზის“ 1907 წლის 4 სექტემბრის მოწინავეში ნათქვამია: „გულწრფელად უნდა ვაღიაროდ, რომ როგორც მებრძოლი, როგორც მოღვაწე, ჩვენთვის ილია ჭავჭავაძე დიდი ხანია აღარ არსებობდა“. იგივე აზრია გატარებული გაზეთ „ცისკრის“ 1907 წლის 16 სექტემბრის სარედაქციო წერილში. რატომ უნდა მოეკლათ სოციალ-დემოკრატებს სიკვდილის პირზე მიმდგარი მოხუცი, რომელიც კაი ხანია განზე გამდგარი იყო და გამწვავებულ საზოგადოებრივ ბრძოლებში მონაწილეობას აღარ იღებდაო. ამას ამბობდნენ ადამიანზე, რომელიც იყო თითქმის ყველა ეროვნული საქმის მოთავე და მონაწილე, რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს აქტიური წევრი, დემოკრატიული რეფორმებისა და გარდაქმნებისათვის აქტიური მებრძოლი. ყველა განაცვიფრა და აღაშფოთა გაზეთ „ჩვენი გზის“ 1907 წლის 9 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულმა ნოე ჟორდანიას სტატიამ „ბნელი ძაღლები“, სადაც ასეთი რამაა ნათქვამი: „ვთქვათ სოციალ-დემოკრატიის მიერ მომზადებულმა ნიადაგმა დაბადა ეს მკვლელობა, მერე ამისათვის დასავგობია თვით ნიადაგი? ამ ნიადაგმა დაბადა ის დიდებული მოძრაობა, ის გონებრივი და პოლიტიკური გადასხვაფერება, რომელიც ქართველმა ხალხმა განიცადა და დღემუდამ განიცდის. ამ ნიადაგზე აღმოცენდა კავკასიის რევოლუცია, მთელი ახალი ისტორია და თქვენ გსურთ ყველა ეს უკუაგდოთ, დაგმოთ იმიტომ, რომ სადაც ხე იჭრება იქ ნაფოტებიც ცვივა. დიდმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა ლავუაზიე, მარა ამიტომ თვით რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა“. ამ უდიერმა შედარებამ ყველა გააოგნა. „წავიკითხეთ წერილი და პირი დაგვიშრა, გაკვირდით და გაოცდით. მის წერილში დარბაისლობის მაგივრად გამოსჭვივის უკიდურესი გაწინაშობა, სიდინჯის მაგივრად — ბლავილი დაკოდილი მხეცისა, მიუდგომლობის მაგივრად — პარტიული ვეკილობა და გამბედაობის და გულწრფელობის მაგივრად — ათასი სოფიზმი, დიალექტიკა, სიტყვის ბანზე აგდება და დღესავით ნათელი კითხვის გვერდის ახვევა“.⁶ ცოტა მოგვიანებით კიბა აბაშიძე იტყვის: „ბატონო, და თუ ილია ნაფოტია, რაღა უნდა იყოს ბ. ნ. ჟ. და კიდევ ბ. ფ. მახარაძე?“.⁷

დიდი აღშფოთება გამოიწვია სოციალ-დემოკრატების პარტიამ და ქცევამ ილიას დაკრძალვის დღეებში. ცალკეული ფურცლებისა და სხვა ბეჭდვითი ორგანოების საშუალებით გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ სოციალ-დემოკრატთა თბილისის ორგანიზაციამ კრება მოიწვია და გადაწყვიტა ილიას დაკრძალვაში არ მიეღო მონაწილეობა, რომ სოციალ-დემოკრატთა ზეგავლენით სოხუმის ციხის პატიმართა და პეტროგრადის ქართველ სტუდენტთა ერთმა ნაწილმა უარი თქვა სამგლოვიარო დეპეშის გამოგზავნაზე, ხოლო თბილისის ერთ-ერთი ღვინის სარდაფში მოქეიფებმა ილიას მკვლელობა მარჯვენის სადღეგრძელო დალიესო.⁸ სოციალ-დემოკრატები შეეცადნენ ამ ფაქტების უარყოფას, მაგრამ რაიმე სარწმუნო არგუმენტები ვერ მოიტანეს.⁹ ყველამ დაინახა, რომ სოციალ-დემოკრატებს არც ილიას გლოვით შეუწუხებიათ თავი და არც მის დაკრძალვაში მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

6. მ. აღ-ლი, აღარ გაჩუმდებით?!, გაზ. „ისარი“, 1907 წლის 13 ოქტომბერი.

7. ერთი პილაცეთავანი, „ჯვარ აცე ვეე; ჯვარს აცე!“, ქუთაისი, 1913, გვ. 32.

8. იხ. გაზეთი „ისარი“, 1907 წლის 10 და 13 ოქტომბერი, თ. სახოკია, ჩემი საუკუნის აღმანიები, თბილისი, 1969, გვ. 36.

9. იხ. გაზ. „ჩვენი გზა“, 1907 წლის 13 ოქტომბერი.

როგორც მოსალოდნელი იყო, ილიას მკვლელობის გამო ბევრი მწარე და სამართლიანი სიტყვა ითქვა ფილიპე მახარაძის მისამართით. იგი ერთხანს დუმდა, თურმე ზედმეტად მიიჩნევდა „უაზრო ცილისწამებაზე“ პასუხის გაცემას, მაგრამ, როდესაც 1913 წელს ილიას საფლავზე ძეგლის გახსნასთან დაკავშირებით კვლავ გაიხსენეს მისი „საგმირო“ საქმეები, იკარა ხმის ამოდება და ჟურნალ „ჩვენი წყაროს“ 1913 წლის 21 და 28 აპრილის ნომრებში გამოაქვეყნა წერილი „მეორე მხარესაც მოვუსმინოთ“, სადაც მონანიების ნაცვლად, კვლავ დაიწყო კერძო საკუთრების გაუქმების ქადაგება და გაზეთ „მოგზაურში“ ილია ჭავჭავაძეზე გამოქვეყნებული პასკვილების დაცვა. ამან ყიდვე უფრო გააღიზიანა ოპონენტები და ფილიპე მახარაძეს მართლაც რომ ბევრი რამ აკადრეს. ფილიპე გოვიჩაიშვილი: „იმ ხანებში, როცა ფ. მახარაძე „მოღვაწეობდა გაზ. „მოგზაურში“, მას კეთილი რჩევა მივეცი გაზეთის საშუალებით: ალბათ „მოღვაწეობამ“ მოგქანცა, — მიჰმართე ერთ-ერთ შესაფერ დაწესებულებას, სადაც ნერვებს სწამლობენ, იაქიმე, იქნება შევბა მოგცეს-მეთქი. არ ჭიცი ყურად იღო თუ არა მან ეს ჩემი რჩევა და სცადა თუ არა ნაჩვენები საშუალება. თუ მართლა სცადა, უნდა ვაღიარო, უსარგებლო რჩევა მიმიცია და უკურნებელისათვის ფუჭი იმედი გამიღვიძებია“.¹⁰ ფილიპე მახარაძე არც ამის შემდეგ დაწყნარდა. გაზეთ „თანამედროვე ქვეყნის“ 1913 წლის 5, 26-28 და 30-31 ივლისის ნომრებში გამოქვეყნდა მისი სტატიების ციკლი და მხარდამჭერთა კოლექტიური წერილები, რასაც რევაზ გაბაშვილმა ასეთი შეფასება მისცა: „ფილიპე მახარაძეს და მის ზნე-დაცემულ კომპანიას კიდევ ერთხელ მოუსურვებით გამომზეურება თავისი ბილწი გულისა და ახლა მიუმართავთ ორიგინალურ საშუალებისათვის — შეცდომაში შეჰყავთ გულბრყვილო, შეუგნებელი ხალხი, რომელიც ხშირად აჰყვება ხოლმე თავის გაღაღებულ ბელადებს და აწერინებენ პროტესტებს. რასაკვირველია, ს. დემოკრატიული ბელადები დაჩვეულნი არიან დემაგოგიურ სიყალბეს, რადგან ხელობათა აქვთ გადაქცეული ხალხის გაბრიყვება იქ, სადაც სიმართლით ვერას ზღებია... როდესაც დღეს, შვიდი წლის შემდეგ ფ. მახარაძე და მისი ამქარი იმეორებს იმავე ცილისწამებას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, როდესაც დღესაც თითქმის ამართლებენ ამ საზიზღარ მკვლელობას — ჩვენ იძულებულნი ვართ ვიფიქროთ, შემუშავებულნი ილიას მკვლელობის იდეისა და დამბადებულნი — სწორედ ს. დ. იყვნენ“.¹¹ ცოდვებით დამძიმებულ ფილიპე მახარაძეს, რომელიც 1921 წლის 25 თებერვალს რეკომის თავმჯდომარედ მოეწვინა საქართველოს, ასეთი სიტყვებით შეზღუდნენ: „ფილიპე მახარაძეს ჩვენი სათაყვანებელი ილიას სისხლით აქვს ხელები გასწერილი და დღეს ეს უღირსი, ნაძირალა შვილი საქართველოსი, ჩვენ ბედნიერებას გვპირდება. ამისთანა ტაკიმახარას გვაძლევენ ჩვენ ბოლშევიკები მინისტრად, თვითონ დაისვან რუსეთში მინისტრად. გზა მშვიდობისა ჰქონდეს“.¹²

ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სოციალ-დემოკრატებს ამა თუ იმ ფორმით დღემდე ადანაშაულებენ, ხოლო სოციალ-დემოკრატები და მათი მიმდევრები დაბეჯითებით უარყოფენ ამ მძიმე ბრალდებას. ამასთან, ვერცერთ მხარეს ვერ მოაქვს რაიმე უტყუარი და სარწმუნო საბუთი. ბრალდებაც და დაცვაც ზოგადი განცხადებებით, შეუმოწმებელი ფაქტებისა და არგუმენტების მოშველიებით კმაყოფილდება. ეს ყველაფერი კი იმის ბრალაა, რომ თავის დროზე საგამოძიებო წესით საფუძვლიანად არ შემოწმდა აღნიშნული ვერსია, თუმცა საამისოდ საკმაო მონაცემები არსებობდა და ეს ვერსიაც საგამოძიებო ორგანოებისათვის

10. ფ. გოვიჩაიშვილი, უკვდავი ზოროტება, გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1913, 12 მაისი.

11. რ. გ., ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე, ჟურნ. „კლდე“, 1913, № 29, გვ. 3.

12. გაზ. „საქართველო“, 1927 წლის 25 თებერვალი.

თავიდანვე იყო ცნობილი. 1907 წლის პირველ სექტემბერს რუსეთის იმპერიის კანცელარიიდან თბილისის გუბერნატორის სახელზე მივიდა ასეთი შინაარსის დეპეშა: „კეთილი ინებეთ და სახელმწიფო კანცელარიას შეატყობინეთ ცნობები სახელმწიფო საბჭოს წევრის თავად ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შესახებ“. იმავე დღეს თბილისის გუბერნატორი სახელმწიფო კანცელარიას ატყობინებს: „30 აგვისტოს, დაახლოებით 12 საათზე დუშეთის მაზრის, სოფ. საგურამოდან ოთხი ვერსის დაშორებით ოთხმა სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა ბოროტმოქმედმა თოფიდან გასროლით მოკლა სახელმწიფო საბჭოს წევრი ილია ჭავჭავაძე და მისი მსახური. კონდახით თავის არეში დაჭრილია კენინა. ყველა გაძარცვულია. მიღებულია სასწრაფო ზომები. სავარაუდოა, რომ თავადი მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა სოციალ-დემოკრატების წაქეზებით. ძარცვა სიმულერებულია“.¹³

იმის გამო, რომ გამოძიებამ არ შეამოწმა და არ შეაფასა გუბერნატორის შეტყობინებაში გამოთქმული ვარაუდი სოციალ-დემოკრატების მიერ მკვლელების წაქეზების შესახებ, დღეს ამ ფაქტს ვისაც როგორ მოესურვება ზუსტად იმეორებს და ისეთ კომენტარს უკეთებს. მაგალითად, შოთა ბადრიძის მტკიცებით, თბილისის გუბერნატორის მიერ პეტერბურგში გაგზავნილი დეპეშა მართოდენ ეჭვებზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ აგენტურულ მონაცემებსაც ეყრდნობოდა და აქედან გამომდინარე, იგი ასეთ უცნაურ დასკვნას აკეთებს: „დეპეშაში ჩადებული ინფორმაციის ერთი ნაწილი ძიების მიერაც იქნა დადასტურებული: „ილია მოკლეს ადგილობრივმა გლეხებმა“. რაღა საფუძველი გვაქვს არ ვენდოთ საერთო წყაროდან მომდინარე ინფორმაციის მეორე ნაწილს, რომ მკვლელები მოქმედებდნენ სოციალ-დემოკრატების წაქეზებით?“¹⁴

პეტერბურგში გაგზავნილ სავარაუდო ინფორმაციის მოპოვებას რა აგენტურა უნდოდა, როცა ამაზე ლაპარაკობდა მთელი საქართველო. წერდნენ გაზეთები, ჩვენებებს იღებდა პოლიცია და გამოძიება. ზაალ ჭავჭავაძის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მას ჯერ კიდევ მკვლელობის დღეს ექიმის ჩამოსაყვანად თბილისში ჩასვლისთანავე უნახია გუბერნატორი და ყველაფერი მოუყოლია მისთვის. ამ ჩვენებაში კი, რომელიც პირველ სექტემბერსაა მიცემული, ილიას მკვლელობის თითქმის ყველა ვერსიაზეა ლაპარაკი, მათ შორის, ადგილობრივი გლეხების მონაწილეობაზეც და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებზეც, რაშიც უდაოდ სოციალ-დემოკრატები იგულისხმებიან: „მე არ მაქვს საფუძველი დაუშვა, რომ თავად ილიას მკვლელობა ჩაიდინეს გლეხებმა და ეს მკვლელობა საერთოდ აგარარულ ურთიერთობათა საფუძველზე მოხდა. ალბათ, უფრო საფიქრებელია, რომ თავადი ილია მოკლეს ადამიანებმა, რომლებიც ეკუთვნოდნენ ან მიაჩნდათ, რომ ეკუთვნოდნენ ცნობილ პოლიტიკურ პარტიას. საქმე იმაშია, რომ წელიწადნახევრის წინათ თავად ილიას დევნიდა ქართული პრესა და ისეთ რამეებს წერდა, რასაც შეეძლო მის წინააღმდეგ იმ ხალხის ამხედრება, რომლებიც უკიდურესი მიმართულებისანი არიან, ვერ ერკვევიან მიზნის მიღწევის საშუალებებში და ანგარიშს ვერ უწევენ თავიანთ მოქმედებას. მხოლოდ ამ ადამიანებს შეეძლოთ ასეთ საქმეზე წასვლა და არ შემძლია მკვლელობის ჩადენაში ეჭვი მივიტანო რომელიმე პარტიაზე, როგორც ასეთზე“.¹⁵ ეჭვს გარეშეა, რომ ზაალ ჭავჭავაძის ამ ჩვენებაში ლაპარაკია სწორედ სოციალ-დემოკრატებზე და ორი დღის წინათ გუბერნატორთან მას იმავე საკითხებსა და ვარაუდებზე ექნებოდა საუბარი. გარდა ამისა, ოპერატიული ინფორმაციის

13. სცსსა, ფ. 17 აღ. 1 ს. 5888, ს. ფ. 3.

14. შოთა ბადრიძე, წიწამურის ტრაგედიის გამოცნები, თბილისი, 1991, გვ. 115-116.

15. სცსსა, ფ. 116, აღ. 1, ს. 13363, ს. ფ. 4-8.

ნაწილის დადასტურება სრულებითაც არ ნიშნავს მთლიანი ინფორმაციის ჭეშმარიტებას. თბილისის გუბერნატორის მიერ გაგზავნილ დეპეშაში უფრო ატეგორიული ფორმით არის ნათქვამი, რომ მკვლელობა ჩაიდინა ოთხმა სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა ბოროტმოქმედმაო, რაც შემდგომში ასევე არ დადასტურდა. სხვათა შორის, შოთა ბადრიძე ამის შესახებ არაფერს ამბობს და გუბერნატორის დეპეშის მის მიერ ციტირებულ ტექსტშიც ეს სიტყვები საერთოდ გამოტოვებულია“¹⁶.

1907–1909 წლების საგამოძიებო საქმეებში სოციალ-დემოკრატია ნახსენებია დიმიტრი ჯაშის პარტიულობასა და სხვა ამბავთან დაკავშირებით. რაც შეეხება ბერბიჭაშვილის საქმეს, ამ პერიოდისათვის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ორგანიზაცია მეფის ოხრანკის მიერ დიმიტრი ჯაშის მეშვეობთ, ოფიციალურად იყო აღიარებული და სოციალ-დემოკრატების და სხვა ვერსიების თაობაზე თითქმის არაფერი თქმულა. საბჭოური რეჟიმის დამხობის შემდეგ სოციალ-დემოკრატების ვერსიის რეამინაციის ცდებმაც არავითარი შედეგი არ გამოიღო. ამ მიზნით შექმნილმა კომისიამ რაიმე ახალი ფაქტები ვერ მოიპოვა და მუშაობა ისე დაამთავრა, დასკვნაც არ შეუდგენია.

16. იხ. შოთა ბადრიძე, წიწამურის ტრაგედიის გაკვეთილები, თბილისი, 1991, გვ. 3.

ზიძინა ნანოგაშვილი

ოჯახის გაყრის წესი და ქონების განაწილების პრინციპი კახეთში

კახეთში ოჯახის გაყრისა და ქონების განაწილების წესის შესახებ ლიტერატურაში მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საველე-ეთნოგრაფიულ მასალას. მასზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად შევეცდებით დასმული საკითხის გაშუქებას.

ოჯახის გაყრა-გაყოფის დროს მთელი მისი უძრავ-მოძრავი ქონება ძმებს შორის თანაბრად ნაწილდებოდა. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლებოდა გამოეყოთ „საუფროსო“ — ჩვეულებრივ, საქონელი — ერთი ძროხა, ან ხარი, მისი, როგორც უფროსი ძმის, დამსახურების გამო.¹ მსგავსი ვითარება დამასსიათებელია საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც, იგი ასახულია კიდევ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში² და ფიგურირებს ოფიციალურ სახელმწიფო კანონებში, კერძოდ, ეხტანგ მეექვსის სამართალში³, სახნავ-სათესი, სათიბი ადგილებისა და სხვა ქონების გაყოფაში წილის მეტნაკლებობის შესახებ თუნდაც ერთი შემთხვევა მთხრობელებს არც უნახავთ და არც გაუგონიათ. „ძმები გაიყრებოდნენ თუ არა, სუყველაფერი განაწილებული უნდა ყოფილიყო: სახნავიცა, მთაცა, ცხვარიც, საქონელიც, ბოსტანიც, სახლიც... ყველა თავისას უნდა დაეჯერდეთ. ასე ყოფილა და ასეც არის“.⁴ „ყველაგან გვიმტკიცებდნენ მთხრობელები, რომ მამულსა და მთას ძმას ვერ დააქლებდიო, რომ „მამა-შვილს“ (როგორც მამა და სახლის უფროსი), „ძმა-ძმას“ (როგორც ძმა და სახლის უფროსი) მამულს ვერ დაუჭერდაო. ამ ნიადაგზე შვილების მეპყვიდრობა და ძმების საკუთრების უფლება შეუვალი და თანაბარი იყო. „მამა-ბაბით იყო სოფელში გაყოფილი მიწა. მიწა არც შეიცვლებოდა არც როგორ. ერთ წელს შენ მოგეხნა, მეორეს მე — არა, ძმები გაიყრებოდნენ, გაიყოფოდნენ, სამანს ჩაუყრიდნენ“.

1. ბ. გამყრელიძე, საოჯახო ყოფის ამსახველი დოკუმენტები კახეთიდან, უფრ. „მაცნე“, 1988, № 4, გვ. 131.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, თხზ., თორმეტ ტომად, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 273; თ. სოსელია, ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1966, გვ. 116 და სხვ.

3. სამართალი ეხტანგ მეექვსისა, ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და სიძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, მუხლი 108, გვ. 215.

4. მთხრობელი ალექსი გიორგის ძე უზუნაშვილი, 85 წლისა, სოფ. მუჭუზანი, 1984 წ.

ქართული ფეოდალური სამართალი, კერძოდ, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის-
დება“ საჭიროდ ცნობს იმის დაკანონებას, რომ მამამ „ნასყიდიც შვილს დაუგდოს“
და თუ არ ნების მყოფელი იყოს, ნასყიდში არა ჰელი აქუს შვილსა, თუ უნდა, მამამ
გაყიდოს, ... რასაც უზამს, მამამ იცის, შვილი ნასყიდს ვერ ეცილოს“.⁵ ამგვარად,
კანონმდებელი მამას აძლევდა უფლებას როგორც უნდოდა, ისე მოეხმარა „ნასყიდი“,
ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შვილი არ იქნებოდა მისი დაბჯერი — „ნების მყო-
ფელი“.⁶

აღნიშნული გარემოება შეიძლება გამოვიყენოთ იმის არაპირდაპირ საბუთად,
რომ მამული-სახნავე-სათესი და სათიბი ადგილები საკვლევ რეგიონში საოჯახო კერ-
ძო საკუთრება იყო, რომელზედაც შვილებს მემკვიდრეობა (ძმებს თანაბარი წილი)
უზრუნველყოფილი ჰქონდათ.

აქვე უნდა ითქვას, რომ მიწის მფლობელობის ზემოაღწერილი წესი ერთნაირად
მოქმედებდა როგორც დიდ, ასევე პატარა ოჯახებში.

როგორც ცნობილია, მემკვიდრეობა არ არსებობს საკუთრების გარეშე და ორი-
ვე ერთად იმ საზოგადოებრივი წყობის დროინდელი კატეგორიებია, როცა შეიქმნა
უკვე გამოცალკავებული „პატარა“ — მონოგამური ოჯახი, რასაც წინ უძღვოდა და
თან ახლდა საზოგადოებრივი შრომის დანაწილება, სპეციალიზაცია, გასაცვლელი
პროდუქტების წარმოება და ბაზარზე გასხვისება.

ინდივიდუალური კერძო საკუთრების მაჩვენებელი პირდაპირი ცნობები ჩვენს
მასალებში თითქმის არ მოგვეპოვება. როგორც ცნობილია, ფეოდალურ საზოგადო-
ებაში, კერძოდ, ამ ფორმაციის დროინდელ საქართველოში მიწის საკუთრების ფორ-
მა იყო „პირობითი საოჯახო კერძო საკუთრება მიწაზე“.⁷ ისიც ცნობილია, რომ
„მიწის კერძო საკუთრების სრული ინდივიდუალიზაცია მხოლოდ კაპიტალისტურ
საზოგადოებაში ხდება“.⁸ როგორც ვთქვით, ამ მხრივ ჩვენ მიერ მოპოვებული მა-
სალა კონკრეტული ფაქტებით მწირია.

კომლებს შორის დიდი იყო სხვაობა სახნავე-სათესი და მთა ადგილების რაოდე-
ნობის თვალსაზრისით. ეს ეხება საკვლევი რეგიონის სოფლებსაც. ამის ერთი ბუნებ-
რივი მიზეზი შემდეგია: ოჯახების გაყრა-გაყოფისას ზოგჯერ ერთ მოწილეს, რო-
მელსაც ერთი შვილი (ვაჟი) ჰყავდა, იმდენივე ფართობი ერგებოდა, რამდენიც მე-
ორეს — რამდენიმე შვილის პატრონს. ბუნებრივია, ფართობის მეტნაკლებობა კი-
დევ უფრო საჩინო ხდებოდა გაყრის შემდგომ ეტაპზე, როცა, ვთქვათ, პირველი
მიწის ნაკვეთი კვლავ „ერთზე მოდიოდა“, ხოლო მისგან „ნელა განაყარი“ კომლის
ადგილმამული სამ-ოთხ წილად (სამი-ოთხი შვილის ყოლის გამო) უნდა განაწილე-
ბულიყო. ჩვენი მთხრობლის მამა-ბიძა სამნი ყოფილან — გიორგი, გივი და ბერო.
ამათთან ერთად ცხოვრობდა ბიძაშვილი — ბუთლია, უწილო (უშვილო — ბ. ნ.)
კაცი. იგი მეცხვარე ყოფილა. „რომ გავიყავით, ნახევარი იმ ბუთლიას მისცა ძველე-
ბურმა სამართალმა, ნახევარი ჩვენი წილი სამ ძმათ გაიყვეს. მერე ბუთლია მამა-
ჩემთან მოვიდა. იმისიც ჩვენ დაგვრჩა“,⁹ ასე რომ, ჩვეულებრივ პირობებში აღნიშ-

5. ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თბ. 1957, გვ. 110.

6. საქართველოში XI საუკუნეში ისეთი შეხედულებაც არსებობდა, რომ მამის კანონი-
ერი მემკვიდრე მხოლოდ ის შვილია, რომელიც მისი ნებისმყოფელია, იხ. ნ. ბერძენიშვილი,
მასალები XI საუკუნეში სწავლა-აღზრდის შესახებ, კრებული: სწავლა-აღზრდის ისტორია საქ-
ართველოში, წ. 1, თბ., 1937, გვ. 6.

7. ს. ჯანაშია, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 280.

8. იქვე, გვ. 280.

9. მთხრობელი საბა ისაკის ძე ტურაშვილი, სოფ. მატანი, 87 წლისა, 1976 წ.

ნული გარემოება სიმდიდრე-სიღარიბის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება.
ბოლა.



აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს „ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა“. ეს თხზულება უძველესი დროის ამბავს გადმოგვცემს.

ამ ძეგლის ისტორიული მნიშვნელობა კარგად აქვს გამოჩვენებული ნ. მარს. იგი მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ „კოლაელ ყრმათა მარტვილობა“ საყურადღებოა როგორც ძეგლი, რომელშიაც წარმოდგენილია „ის თავდაპირველი ხანა, როდესაც ქრისტიანობას საქართველოში ბრძოლა უნდა ჰქონოდა ადგილობრივ წარმართობასთან...“¹⁰ ამ ადრეკლასობრივ-ადრეფეოდალური ხანის ძეგლში „ქართული სამართლის ისტორიისათვისაც ისეთი ცნობები მოიპოვება, რომელთაც მკვლევარი გვერდს ვერ აუქცევს“.¹¹

ამ კატეგორიის ცნობათაგან ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ გამოყოფს ერთს: „შვილნი თქუენნი არიან, ხელმწიფებაი გაქუს, უყავთ, რაიცა გნებავთ“-ო. ამ ცნობის სამართლებრივ შეფასებასაც იძლევა ივ. ჯავახიშვილი. მისი განმარტებით, ეს „ერთი ცნობა ამტკიცებს, რომ მშობლებს თავიანთ შვილებზე განუსაზღვრელი უფლება ჰქონიათ მინიჭებული ისე, რომ მთავარი, რომელსაც მშობლებმა მათი შვილების გაქრისტიანების ამბავი შესჩივლეს, მშობლებს უპასუხებს: „შვილნი თქუენნი არიან, ხელმწიფებაი გაქუს, უყავით, რაიცა გნებავთ“-ო.¹²

„მშობლებს თავიანთ შვილებზე განუსაზღვრელი უფლება ჰქონიათ მინიჭებული“, სხვაგვარად არის „ოჯახის დესპოტური ფორმა“, მაგრამ ახლა იმ ფაქტობრივ ვითარებაზე უნდა ითქვას საზგასმით, რომ მშობლების განუსაზღვრელი უფლება შვილებზე ყოველთვის არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ „საოჯახო თემის“ სანქცია... ჩვენ უფრო სარწმუნო გვეჩვენება ადრევე გამოთქმული აზრი, რომ იგი გარკვეულ ისტორიულ დროსა და პირობებში არსებითად ერთნაირად და ერთ დონეზე მოქმედებდა ოჯახში, „დიდი“ იყო იგი თუ „პატარა“. ქრისტიანობის შემოსვლა-დამკვიდრების ხანაში დიდი ოჯახის ფორმა რომ იყო გაბატონებული, „ცხრა ძმა კოლაელთაგან“ თითოეული მათგანის მშობელი დიდი დესპოტური ოჯახის ბატონ-პატრონი იყო, იმ დროს რომ ცხოვრობდნენ დიდ ოჯახებად, ამის განსაზღვრა და მტკიცება მეტისმეტად საძნელოა. მაინც საინტერესოა ერთი საკითხი: მამის შეუვალი და განუსაზღვრელი ხელისუფლება ადრეფეოდალური ხანისა და ბუნების საოჯახო წესწყობილების გამომხატველია თუ ადრემონთმფლობელურისა?!

მამის ძალაუფლება შვილების მდგომარეობის განსაზღვრაში მეტ-ნაკლები სიმკაცრითა და სხვადასხვა მიზეზით საქართველოში გვიანფეოდალურ დროსაც მოქმედებდა. ბექას სამართლის 58-ე მუხლში ვკითხულობთ: „თუ თავისი შვილი მამამან მისისა შეცოდებისათვის კიდე გაამოს, ჰელეწიფების და ცილებასა არავინ არს მართალ“.¹³ შემდეგ, იმავე მუხლში არის შენიშვნები, რა შემთხვევაში რა უნდა იქნეს გამოძიებული და ბოლოს: „ამას კარგად მოკლებით, გაგონებით ქნა უნდა, რომე ამისი

10. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიხანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. ძეგლი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს), წ. 1, მეორე-მესამე შეცესებული გამოცემა, თბ., 1945, გვ. 65.

11. იქვე.

12. იქვე, გვ. 65-66.

13. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1963, გვ. 446.

საქნელი, მამისა შენაცოდარი ეგრეთ არ გამოჩნდეს, სხვისა, მეორის შვილისა გულისათვის, ანუ მეორის ცოლისა შვილთა გულისათვის და ცოლის ნათესავისათვის არა გააძოს მამამან ღვიძლი ძე, ვითა უბრალო შვილი. ამას არცა მამა ემართლებს, ნუცა ვინ სხვა უზამს.¹⁴ მაგრამ ასე მოქმედება მამისა, როგორც აღვნიშნეთ, იშვიათია, გამოსაძიებელი და კონკრეტულ-შემთხვევითი მოვლენაა და არა საყოველთაოდ გავრცელებული წეს-ჩვეულება. ერთი მაინც ფაქტია, სახელდობრ ის, რომ მამას ძალუხს „შვილი გააძოს“ წილმიუცემლად.¹⁵

შვილის, როგორც მემკვიდრის, უფლება, პირველ ყოვლისა, დამყარებული და განმტკიცებულია სხვისაგან ხელუხლებელ მის „წილზე“. ამ პირობებში შვილის დასჯის შესაძლებლობა არ არის გამორიცხული, მაგრამ მისი უწილოდ „გაძიება“. მიუხედავად ჩადენილი „დანაშაულისა“, ჩვენი აზრით, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. მამას ყოველგვარი „ჰელმწიფებაი“ უკვე აღარ აქვს შვილზე. ხოლო, როცა დიდ ოჯახში ძმები უმამოდ არიან დარჩენილნი და ერთად ცხოვრებას აგრძელებენ — ყველა მათგანი თანაბარმოწილეა ქონების, შემოსავალ-ვასავლისა. რასაკვირველია, ეს როდი ნიშნავს, რომ ოჯახში უფროსი აღარ იყოს. მაინც ამგვარ ვითარებას ეყვარება ოჯახის „დემოკრატიულობა“ საერთოდ და არა მხოლოდ დიდი ოჯახისა, კერძოდ. ოჯახში უფროს-უმცროსობის ადგილისა და მდგომარეობის შესახებ კახეთის სხვადასხვა სოფელში ჩავიწერე თქმულება, რომლის მიხედვით „ძმებმა უმცროსს უთხრეს — შენ დადექო უფროსად. უმცროსმა უარი თქვა — თქვენ უფროსები ხართ და არ მომყევითო. ძმები არ მოეშვნენ, — ყველა გამოყვევითო, გვითხარა და შეეასრულებთო. კარგიო, უთხრა ძმებს უმცროსმა, მეორე დღით მათ ეუბნება, — დაჭირეთ ცელი და წამომყევით — ჯეჯილი უნდა გავთიბოთო. ძმები გაყვნენ. მაშინ მობრუნდა უმცროსი, დააბრუნა ძმები და თანხმობა თქვა უფროსობაზე“. რასაკვირველია, ამ გადმოცემაში „დესპოტიზმის“ „გადმონაშთი“ არ გვხვდება, მაგრამ „უფროსს“ რომ უნდა ემორჩილებოდნენ „უმცროსები“, აუცილებელი პირობა ჩანს „უფროსობისათვის“. ოჯახებში „უფროსების“ „უმცროსებით“ შეცვლა, რაც მხოლოდ დიდ ოჯახებში ხდებოდა, როგორც გარკვეულია, იმით იყო გამოწვეული, რომ ახალი დროის მოთხოვნილებათა კვალობაზე ოჯახის ცხოვრებას „ძველები“ თუ ვეღარ გაუძლებდნენ და უმცროსი უკეთ „აიღებდა ალღოს“, მაშინ ადგილთა შენაცვლება მოხდებოდა.

ამ თვალსაზრისით საგულისხმო რამ შეამჩნია, აღწერა და გამოაქვეყნა ნ. აბაზაძე: უმრავლეს შემთხვევაში სახლის უფროსები არიან ხნით უფროსები. ეს შემთხვევითი არ არის, რადგან უფრო ხნერი უფრო გამოცდილია და სარგებლობს მეტი ავტორიტეტით, ვიდრე ოჯახის სხვა წევრები, მაგრამ არჩევანში ნაკლები მნიშვნელობისა არ არის და ზოგჯერ პირველ ადგილზეა, გარდა ჩამოთვლილი თვისებებისა, წიგნიერება.¹⁶ ნ. აბაზაძის ნაშრომის ამ ადგილს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული სოფლის „წიგნიერების“ დონის გასარკვევად.

ნ. აბაზაძის ამავე შრომიდან კარგად ჩანს, რომ იგი იცნობს „ზადრუგას“ შესახებ თანამედროვე ლიტერატურას და მის ერთგვარ გავლენასაც განიცდის. ამას ადასტურებს ეთნოგრაფიულ-იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების მისეული ახსნა-განმარტებანი. მაგალითად, იგი წერს: მთელი კომლის სახელით იურიდიულ ურთიერთობაში „შესვლა მხოლოდ „უფროსი კაცის“ კომპეტენციაა. მეორე მხრივ, უფრო-

14. იქვე.

15. შვილის უწილოდ დატოვების წესი ცნობილი იყო კავკასიის ხალხებში, იხ. ვალ. ითონიშვილი, კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1977, 83-77.

16. Н. А. Абазадзе, Семейная община у грузин, Журн. «Этнографическое обозрение», кн. III, М., 1889. с. 17.

სი კაცი სოლიდარობისა და თანხმობის მიზნით ეთათბირება ოჯახის დანარჩენ წევრებს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ უმცროსი წევრების აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.¹⁷ მაშასადამე, „უფროსი კაცის“ უფლებება „იურიდიულ ურთიერთობაში შესვლა“ და, რაც მთავარია, ოჯახის „უმცროსი წევრების აზრს“ უფროსისათვის „გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს“.

რა ვითარებაა ამ მხრივ ცოლ-ქმარს შორის? ამ საკითხზე საისტორიო თხზულებები მეტად ღარიბია, მაგრამ ზოგი რამ მაინც ვიცით. მაგალითად, კაცები და ქალები საქორწილო თუ სამგლოვიარო სუფრაზე სხვადასხვა ადგილას (ცალ-ცალკე) უნდა დამსხდარიყვნენ. საერთოდ, ქალი კაცთან ერთად არ უნდა დამჯდარიყო. გავისხენო ჯერ კიდევ ადრეული (V საუკუნის) ვითარება „შუშანიკის წამებიდან“: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა დედათა და მამათა ერთად ეჭამოთ პური?“. ქალები ხატში კაცებს ახლოსაც ვერ მიეკარებოდნენ; ამ აკრძალვის მიზეზად ქალის ე. წ. „უწმინდურობა“ იყო მომიზეზებული. ქალი კაცის საქმეში ვერ ჩაერეოდა და, პირიქით. მთაში გვხვდება გადმოცემები, რომ გარკვეული კატეგორიის დანაშაულის ჩადენისათვის, მაგალითად, ცოლ-ქმრული ღალატისათვის, კაცს შეეძლო ქალისათვის ცხვირი ან ყური მოეჭრა — „სერი უნდა გაეტანა“.¹⁸ თუკი ქტევის ასეთი ნორმა წარმოშობით არაქართული და შემოტანილი არ არის, კაცი ამგვარი მოქმედებისათვის ცოლის მხრივ დაუსჯელი და გაუყრელი რჩებოდა და სხვ.

საისტორიო თხზულებათაგან ამგვარი მონაცემები უხვად გვხვდება „შუშანიკის მარტილობაში“, რომელშიც „როგორც თანამედროვის მიერ დაწერილს თხზულებას შეჰშვენის, მაშინდელი საქართველოს შინაური თუ საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების შესახებ მრავალი საუცხოო ცნობები მოიპოვება“...¹⁹ აქ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქმრის დესპოტიზმს, რომელიც ისე ეპყრობა ცოლს, როგორც პატრონი და „უფალი“.

ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ერთობის სახლის გაყრის დროს გუთნისდებას წილში ჩაუგდებლად გამართული გუთანი ეკუთვნოდა „საუფროსო“. მსგავსი ვითარება სხვაგანაც დასტურდება.²⁰ სხვებისაგან განსხვავებით, გუთნისდება გუთნის კეთებაზე ზედმეტ შრომას ხარჯავდა და ამდენად, ბუნებრივია, იგი მას წილში ჩაუგდებლად მიჰკუთვნებოდა; მაგრამ გამართული გუთანი აგრეთვე საჭიროებდა სახნის-საკვეთს, ღვედ-ჯამბარას, რომელიც ერთობის სახლის საერთო ძალისხმევით იყო შექმნილი. ბუნებრივია, გამართული გუთანი გუთნისდებას მიჰკუთვნებოდა, როგორც ოსტატს და როგორც მხენელ-მთესველს მისი ერთობის სახლში ნაამაგარის სანაცვლოდ.

მასალები იმასაც ადასტურებენ, რომ ყოველ ხელოსანს თავისი სახელოსნო იარაღები წილში ჩაუგდებლად მიჰქონდა ერთობის სახლიდან: დურგალს — სადურგლო იარაღები, ურმის მკეთებელს — ურმის იარაღები და ზოგჯერ მისი გაკეთებული ერთი ურემიც კი. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ოჯახს შიგნით მეორე დანაწილება მიწისმოქმედსა და ხელოსანს შორის საკუთრების დანაწილებასაც იწვევდა, ერთობის სახლის შიგნითვე ხდებოდა კერძო საკუთრების ჩასახვა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების იმჟამინდელ განვითარებას ეპასუხებოდა, თუმცა, როგორც ვხედავთ, იგი მხოლოდ ერთობის გაყრისას იჩენდა თავს, მაგრამ, თავის მხრივ, ამ მოვლენას კიდევ აჩქარებდა და საყოველთაო ხასიათსაც ანიჭებდა, აქ აღარაფერს

17. იქვე, გვ. 22-23. „დემოკრატიული“ ოჯახის „სოლიდარულ ოჯახად“ სახელდება, როგორც ვნახეთ, არ არის ახალი.

18. უხუცეს მთხრობელთა საერთო აზრით, „სერიან ქალს აღარავენ წაიყვანდა, ისე როგორც სერიან ცხვარს“.

19. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის..., გვ. 48.

20. იხ. ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გვ. 99. და სხვ.

ვითყვით „პირადად“ შექმნილ ქონებასა თუ მამულზე. ასეთია, მაგალითად, „სისხლო“. ამგვარად „შექმნილი ქონება“ შეინიშნება როგორც დიდ, ისე პატარა ოჯახებში, საერთო ქონების გაყოფისას „პირადად შექმნილი“ მხედველობაში არ აქვთ. სხვა დანარჩენს კი „წილს დააყრიან“, ყოველი მოწილე თავის კუთვნილს აიღებს და წილს მიიღებს. ძმების შთამომავალთა ოჯახების სულთა რაოდენობა ქონების გაყოფის დროს მხედველობაში არ მიიღებოდა და წილის მეტნაკლებობაზე არ მოქმედებდა. ოჯახის ყველა წევრს — დიდი იყო ის თუ პატარა, ქალი თუ კაცი, სულერთია, საერთოდან ყველას ეძლეოდა მხოლოდ „სულადი“. ჭეხმძიმე ქალს ორ ნორმას აძლევდნენ — საორსულოს. ქართული სამართლის ყველაზე გვიანდელ საკოდიფიკაციო ძეგლში ვკითხულობთ: „სულადსა განიყოფდნენ მეზრ პირისა, რაოდენიცა არს სახლსა შინა“.²¹

ასეთი ფაქტობრივი ვითარება იმის მაჩვენებელია, რომ დიდი ოჯახი ფუძეს უქმნის მხოლოდ და მხოლოდ პირველი ძმების ოჯახებს, ხოლო მათ შვილებსა და, მით უმეტეს შემდეგ თაობას, წილს არ უღებს. მას ეს ფუნქცია არ ეკისრება და ამის სანქცია არცა აქვს. ოჯახი ყოველ დონეზე, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ნაწილი საზოგადოებისა, არის ცოლისა და ქმრის, მშობლებისა და შვილების ურთიერთობა. მათ შორის განსხვავებას ის იწვევს, თუ რამდენი ოჯახია ერთ კომლად გაერთიანებული. ამიტომაც მიღებული საქართველოს ისტორიაში, რომ ფისკალური გადასმდელი ერთეული არის კომლი და არა ყველა მასში შემავალი ცალ-ცალკე ოჯახი. ისიც ცნობილია, რომ საკომლო გადასახადმა ხელი შეუწყო ძმების გაუყრელობას. რასაკვირველია, აქ ლაპარაკია ოჯახის სტრუქტურის პრინციპებზე და არა იმაზე, რომ როგორც დიდ, ასევე ინდივიდუალურ ოჯახს არ გააჩნდა თავიანთი თავისებურება, რაც დიდ-პატარა ოჯახს გამოყოფს. მაგალითად, „საუფროსო“ ან „საუმცროსო“ დიდი ოჯახის გაყრისას არის ძალაში, მაგრამ ეს წესი ყველგან და ყოველთვის როდი ყოფილა მოქმედი. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული წესი მხოლოდ იმის მაჩვენებელი კი არ არის, რომ „საოჯახო თემი“ დაირღვა (იგი უკვე დიდი ხნის დარღვეულია), არამედ იგი ერთგვარი ღონისძიებაა, რათა ახალ პირობებში შექმნილი დიდი ოჯახი რაც შეიძლება დიდხანს დამაგრდეს და არ გაიყაროს, „უფროსმა“ და „უმცროსმა“ ერთად ცხოვრება გააგრძელონ და „გათავთავადებისაკენ“ არ გაიწიონ. მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, მთავარი და განმსაზღვრელი დიდი ოჯახის გაყრის წესსა და სამართალში არის მხოლოდ და მხოლოდ ძმების წილხვედრილობა. მათ იცინან, რომ გაყრის ვითარებაში უფრო ღარიბად იქნებიან, ვიდრე გაუყრელობისას. მართლაც, ძმების ერთობლივი შრომით ოჯახს გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე თითოეულს ცალ-ცალკე ექნებოდა.

21. „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დ. ფურცელაძემ, თბ., 1964 წ., გვ. 88.



მოსამართლეთა კონფერენცია

1996 წლის 7 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა 220 მოსამართლე.

კონფერენციამ მოისმინა საკვალიფიკაციო კოლეგიის თავმჯდომარის ნუგზარ ბირკაიას ანგარიში 1991 წლის 19 ნოემბრიდან 1996 წლის 19 ნოემბრამდე, ე. ი. ხუთი წლის მანძილზე მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საკვალიფიკაციო კოლეგიამ ჩაატარა 145 სამუშაო სხდომა, განიხილა კოლეგიის გადასაწყვეტად წარმოდგენილი 328 საკითხი, კერძოდ, რაიონისა და ქალაქის 98 მოსამართლის დისციპლინარული საქმე, რომლებიც აღძრული იყო იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. მათ შორის სასტიკი საყვედური გამოეცხადა 3 მოსამართლეს, საყვედური — 17 მოსამართლეს, შენიშვნა — 41 მოსამართლეს, დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემისთვის გათვალისწინებული ვადების გასვლის გამო 16 მოსამართლის მიმართ აღძრული დისციპლინარული დევნა წარმოებით შეწყდა. დისციპლინარულ პასუხისგებაში მიცემის შემდეგ, გარემოებათა შეცვლის გამო, 3 მოსამართლის მიმართ აღძრული დისციპლინარული დევნა წარმოებით შეწყდა, მასალების საკვალიფიკაციო კოლეგიის სხდომაზე განხილვის შემოფარგვლით, დისციპლინარული დევნა შეწყდა 13 მოსამართლის მიმართ. საკვალიფიკაციო კოლეგიამ ორი მოსამართლის ვადაზე ადრე გაწვევის საკითხი უარყო, ხოლო ხუთ მოსამართლეზე ვადამდე გათავისუფლების შესახებ იუსტიციის სამინისტროს დასტურის მისცა.

საანგარიშო პერიოდში ადგილი არ ჰქონია მოსამართლის მიმართ დისციპლინარული დევნის საკითხის აღძვრას სახელის გამტეხი საქციელისათვის, ასევე არ ყოფილა მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ფაქტი.

საკვალიფიკაციო კოლეგიამ შეაფასა რაიონის (ქალაქის) სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ პირველად დასახელებული კანდიდატის მზადყოფნა სასამართლო საქმიანობისათვის და ჩაატარა მათი საკვალიფიკაციო გამოცდა. ამ მიმართებით განიხილა იუსტიციის სამინისტროს 89 წარდგინება მოსამართლეთა ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად სათანადო დასკვნის მიცემის შესახებ, რომელთაგან 79 კანდიდატს მიეცა რეკომენდაცია მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად, ხოლო 10 კანდიდატს უარი ეთქვა დაბალი კვალიფიკაციის, იურისტის სპეციალობით მუშაობის სათანადო სტაჟის არქონის გამო და ა. შ.

საანგარიშო პერიოდში საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნით რესპუბლიკის, რაიონის და ქალაქის 141 მოსამართლეს მიენიჭა მოსამართლის სხვადა-

სხვა საკვალიფიკაციო კლასი მათი მუშაობის სტაჟის, თანამდებობრივი დაწინაურებისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

საკვალიფიკაციო კოლეგია არჩეულია მოსამართლეთა კონფერენციის მიერ და იგი საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედი ორგანოა. ამდენად, მის წევრებს ხელფასი არ ეძლეოდათ, მაშინ, როცა თავისი ფუნქციით საკვალიფიკაციო კოლეგიის მოღვაწეობა მეტად პასუხსაგებია.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის მიერ გაწეული მუშაობა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ იგი არ არის ფორმალური ან სტატისტიკის მდგომარეობაში მყოფი ორგანო, პირიქით, შეიძლება მტკიცედ, დაბეჯითებით ითქვას, რომ იმ უფლებამოსილებით, რითაც იგი აღჭურვილია, წარმოადგენს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ერთ-ერთ რეალურ გარანტს და იგი ჭეშმარიტი დემოკრატიის მონაპოვარია.

კონფერენციამ დადებითი შეფასება მისცა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის მუშაობას.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციის გარდამავალი დებულებების თანახმად, კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები და ეს ვადა იწურება 1997 წლის ნოემბრისათვის, მოსამართლეთა კონფერენციამ საქართველოს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის (თავმჯდომარე ნუგზარ ბირკაია, თავმჯდომარის მოადგილე ლეილა ნარიმანიძე, წევრები: დარეჯან გოგიბერძე, გიორგი თითბერიძე, ვახტანგ წულაძე, ოთარ ბარათაშვილი, მიხეილ ოთარაშვილი, დავით ერქვანია, გიგლა ვეკუა, ალბერტ კორინთელი, გურამ ფილიპაშვილი) გაუგრძელა უფლებამოსილება 1997 წლის 1 ნოემბრამდე.

მოსამართლეთა კონფერენციამ იმსჯელა აგრეთვე სასამართლო რეფორმის თაობაზე, კერძოდ, კანონპროექტზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებისა და დამატებების შეტანასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის შესახებ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თ. ნინიძემ, საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ მ. სააკაშვილმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. მეფარიშვილმა, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის განყოფილების წამყვანმა სახელმწიფო მრჩეველმა რ. ჯიბლაძემ, სასამართლო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ალ. ტალიაშვილმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის დირექტორმა თ. ლილუაშვილმა.


ბელა ბერკენიშვილი.

გამონენილი

მეცნიერი

და

მოღვაწე



ჯერ კიდევ სრულად ვალმოუხდელ მამულიშვილს, იურიდიულ მეცნიერე-რებათა დოქტორს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ისტორიის სექტორის ხელმძღვანელს, პროფესორ გიორგი ნადარეიშვილს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

გიორგი ნადარეიშვილი იმ ყაიდის მეცნიერია, ხმაურიანი ფუსფუსის გა-რეშე 40 წელზე მეტი დროით გულდაგულ, რულმოუდებლად, დღევანდლობის თვალხედვით რომ იკვლევს ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორი-ის შუქშეუღწვევლ ლაბირინთებში მთვლემარედ მიმოფენილ პრობლემებს.

სოფელ ონტოფოში შრომით, კეთილმოსურნეობით და პატიოსნებით გა-მორჩეული ოჯახისშვილი, ბატონი გიორგი, თავად ბრძანდება ამ თვისებათა ერთადერთი.

საშუალო სკოლა პატივცემულმა იუბილარმა ოქროს მედალზე, ხოლო უნი-ვერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. იგი დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ გაკვალებულ გზაზე მავალი სწავლულია, მოწაფე და ღირსე-ული პარტნიორი სახელოვან მეცნიერთა — ალექსანდრე ვაჩეიშვილის, ივანე სურგულაძის, ისიდორე დოლიძის, რომლებმაც მეცნიერების ამ დარგში ფუნდა-მენტური შრომებით ხვევიანი მემკვიდრეობა დაუტოვეს შთამომავლობას, ახლა ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია, რამეთუ ადრე, ეროვნული ისტორიის ობი-ექტური, თუნდაც თავდაჭერილად გაშუქებაც კი მიუტყვებელ ნაციონალიზმად ირაცხებოდა.

ბატონი გიორგი ფართო ერუდიციის მქონე მეცნიერია, ჩინებულად მე-ტყველი, ცხარე პოლემისტი, ესთეტიური სტილის კალმოსანი, რის ნიჭი და უნა-რი ასე მომადლებულად დაანათლა მას გამჩენმა.

როგორც მოქალაქეს და მოღვაწეს არასოდეს უზრუნია რეგალიების, იე-რარქიული საფეხურების მოსაძიებლად. მან იმთავითვე მეცნიერების შეუქცე-ვად მსახურად გაიცნობიერა თავი და მუყაითი გარჯილობის ფასად ღირებული

ჭირნახელიც მოიწია. იუბილარი 250-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის, ცალკე წიგნებად დასტამბული 15 მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორია; როგორც მელთა სრულად ჩამოთვლა შეუძლებელია. ამ მეცნიერის თვალსაწიერი, საზნაროვნო არეალი, ინტერესების წრე ფრიად ფართო და მრავალმხრივია. იგი, უწინარესად, იურიდიულად, ანუ კონკრეტულად, ლაკონიურად მაფიქრალი კაცია, სახელმწიფოცოდნე-ისტორიკოსი. ამავე დროს პარტიულობის გარეშე პოლიტიკოსიც, რადგან ისტორიის ანალებიდან მის მიერ ამოზიდული მასალები პოლიტიკური თვალთახედვითაა გაანალიზებული.

გიორგი ნადარეიშვილმა ქართულ სამეცნიერო იურიდიულ ლიტერატურაში პირველმა და დიდად საინტერესოდ გამოარკვია ისეთი სამართლებრივი გამოთქმების რეალური შინაარსი, როგორიცაა „უჯუარობით დამტკიცება“, „ალაგის წესი“, „გვარის წესი“, „დაგვაჯერა ღმერთმან“, „ჯერი იყოს“ და ასე შემდეგ. მან ახლებურად გაიაზრა ქართული სამართლის ისეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა „სისხლისა და სახელმწიფო სასჯელის ურთიერთ დამოკიდებულება“. მის კლამს ეკუთვნის ნარკვევები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესახებ; ლექციების კურსი, რომელშიც ანალიტიკურად განხილულია ძველი ეგვიპტის, ბაბილონის, ჩინეთისა და ძველი საბერძნეთის სამართალი, ქართული სამართლის ისტორიის მოკლე კურსი; თითქმის ოცდაათწლოვანი კვლევის შედეგი — „ნიკო მარი და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“. მთარგმნელობით სფეროშიც ვალმოხდილი მეცნიერია იუბილარი, რამდენადაც ქართულ იურიდიულ სასწავლებლებს, სტუდენტობასა და დაინტერესებულ მკითხველს მიაწოდა. ე. შტაერმანის და ო. იოფის ორი მნიშვნელოვანი ნაშრომის თარგმანა, რომის სამართალს რომ ეხება, მთარგმნელის შენიშვნებით და ჩანართებით.

ამჟამად, ბატონ გიორგის გამოსაცემად მზად აქვს შრომა „ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით“. ახლა, როცა ჩვენში საკმაოდ იზნორირებულია ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა, ვფიქრობთ, მეტად უპრიანი და საჭიროა უახლოეს დროში მისი დასტამბვა.

70-წლოვან გზაზე განცდილ-გადატანილის თუნდაც წამიერად თვალის გადავლება და წარსულთან შეხმაურების დაყოვნება არამცაა არამც არ ეგების ბატონ გიორგის. ესეისტური ჟანრის ბრწყინვალე კლასიკოსის, მოემისა არ იყოს, ბოლოს და ბოლოს სიხარულის მომტანი და სიამოვნების მომგვრელია ყველა იმ აზრის თავმოყრა, რომლებიც, როგორც იგი ამბობდა... ბედის ანაბარად დაქროდნენ ცნობიერების სხვადასხვა კუნჭულში.

ნურგინ იტყვის, რომ განვლილი გზის ნაფიქრალის, ნაღვაწისა და ნამოქმედარის საკუთარი შეფასება რაიმე ავის მინიშნებას მოასწავებდეს. პირიქით, ასეთი შეჯამებითი ნაწარმოები ყველა ნაწარმოებზე მარადიულია, რამეთუ იგი სამშობლოსადმი ანდერძის ტოლფასია. ჰოდა აი, დღეს ეს ჭარმაგი, გამოცდილებით აღვსილი, თანამედროვეთაგან აღიარებული კაცი თავისეულ „სამყაროსა და ნააზრევის“ შემოთავაზებას გვპირდება, რომლის ზელნაწერიდან მხოლოდ ერთ ფრაგმენტს მოვიხსენიებთ:

„ცალკე მინდა გამოყოფო ზოგიერთი ჩემი ნაშრომი რუსთველოლოგიაში. აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილის წარდგენით მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეში“ დაიბეჭდა ჩემი წერილი რუსთაველის ერთი სტროფის შესახებ — „ესე არაკი მართალი, ჩინს ქვასა ზედა სწერია — ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. მაინტერესებდა, გააჩნდა თუ არა რუსთაველს რაიმე ინფორმაცია ჩინური ლიტერატურის შესახებ. ჩინეთში მართლაც იცოდნენ მთელი წიგნების

ქვის დაფაზე ამოკვეთა, მაგრამ გამოსარკვევი იყო, რომელ ლიტერატურულ ძეგლს გულისხმობდა რუსთაველი. ჩინური ლიტერატურა ოკეანეა და ძნელია მასში იპოვო მინიშნებული ქვიშის მარცვალი. წლების განმავლობაში ვეძებდი მას და ვგონებ მივაგენი კიდეც. ესაა ე. წ. „ში ძინის“, ანუ „სიმღერების წიგნის“ ერთი ოდა (შედგენილია ძვ. წ. XII—V საუკუნეებში). კერძოდ, „ოდა მეგობრობის შესახებ“, რომლის ტექსტი მართლაც ქვის დაფაზე იყო ამოკვეთილი. ოდის მოკლე შინაარსი ასეთია: „ადამიანი მოვალეა მუდამ ეძებდეს მეგობარს“. როდესაც პუბლიკაციის ამონაბეჭდი („ჩინს ქვასა ზედა სწერია“) ჩვენს დიდ მასწავლებელს, აკადემიის ინსტიტუტის სექტორის გამგეს, ქალბატონ თინათინ წერეთელს ვაახელი, მან იგი უმაღლ ჩაიკითხა, ჩვეული, ღიმილნარევი მკაცრი სახით შემომხედა და გაკვირვებული ტონით მითხრა... „არ მეგონა, ჩინურ ლიტერატურასაც თუ მიწვდებოდიო“.

ამას წინათ, გიორგი ნადარეიშვილი ერთხმად აირჩიეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ბატონი გიორგი მეგობრების, ახლობლების, ქვეყნის ჭირვარამის სიტყვითა და საქმით გამზიარებელი, ჩვენ გვერდით მავალი ენციკლოპედურობით აღჭურვილი პიროვნებაა — რუსთაველი, ბიბლია, ჰომეროსი, შექსპირი თუ მათი თანატოლნი მისი მუდმივი თანამყოფნი არიან.

ოჯახურობაში მშვიდი კაცია, ჩინებულად აღზრდილი ქალ-ვაჟის ჩინებული მამა, სულ მცირე ხნის წინ აღსრულებული ქალბატონი ზოიას ერთგული მეუღლე.

თავმდაბალი, თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ გამოკვეთილი ფიგურა, დინჯად დააბიჯებს თავისი სათაყვანებელი ქვეყნის მიწაზე, რომლის ფენომენის კვლევას მან სიცოცხლისა და მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი მიუძღვნა, დინჯად დააბიჯებს და თან დააქვს ილიასეული ანთებული გული.

ეს მიძღვნა საიუბილეო ნობათი არაა, ყოველი სიტყვა თუ ფრაზა მასში ნაღდია, სადაგი ბატონი გიორგისა.

ესეისტურად საუბრის მოყვარულსა და კალამმომარჯვებულ კაცზე სიტყვის თქმა, ჩვენც ერთგვარად ამ სტილში ვისურვებ.

ღმერთმა უმრავლოს ჩვენს კურთხეულ სამშობლოს გიორგის დარი მამულიშვილნი.

**სარგო ჯორჯენაქი, ზურაბ რატიანი, იაკობ ფუტყარა-
კი, გიორგი ტყეშელაძე, ალბერტ აბესაძე, ბასო ზო-
იქი, ბელა ბერაქიანიშვილი.**



გიორგი ნაღარკვილი

იურიდიული ტერმინი „ნაშენი“ და მისი მნიშვნელობა

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის დანართში, რომელსაც ჩვეულებრივ „ბაგრატ კურაპალატის სამართალს“ ეძახიან და რომლის დათარიღების შესახებაც მეცნიერებაში ერთი აზრი არ არსებობს, ასეთი მუხლია მოთავსებული: „თუ ცოლი დასწულდეს, ქმარი ცოლისა გუარსა არას ემართლების, მისთვის რომე მისსა ხელსა შიგან დამართებია.

თუ გაეყაროს, შეფიცოს ნაშენითა, რომე სიძულილითა არა გაყროდეს, და ნახეარი სისხლი დაუურგოს და დედაკაცი ზითევს ნუ ითხოვს, თუ შვილი დარჩეს“.¹

ზემოთ მოტანილ მუხლში „გვარი“ შესაძლებელია ოჯახს ან საერთოდ ოჯახს და მის ახლო ნათესაებს ნიშნავდეს; გვარის შიგნით ოჯახთა ვიწრო წრეს გააჩნდა პატრონიმული წოდებრივი ღირსება და თუ ქმარი ცოლს სათანადო მიზეზის გარეშე გაეყრებოდა, ცოლის ნათესავთა ღირსება ხელყოფილად ითვლებოდა და ეს მიუფრო ხელშესახები იქნებოდა, თუ ქმარი გვარით უფრო საპატიო ცოლს დაადებდა.

გამოთქმამ „შეფიცოს ნაშენითა“ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ი. დოლიძის ნაშრომი „ძველი ქართული სამართალი“, სადაც ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი და მისი დანართი, ე. წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“ იყო მოთავსებული, წარდგენილი იყო სამეცნიერო საბჭოზე საკვალიფიკაციოდ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1956 წელს ავტორმა მიიღო კიდევ საძიებელი ხარისხი. ოფიციალურმა ოპონენტმა აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილმა დადებითად შეაფასა ნაშრომი და თანაც ცალკეული შენიშვნებიც გამოთქვა სადოქტორო ნაშრომის მიმართ. ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა ზემოხსენებული მუხლის წაკითხვასა და გაგებას. ნ. ბერძენიშვილმა დაარწმუნა ი. დოლიძე, რომ გამოთქმა „შეფიცოს ნაშენითა“ მცდარი წაკითხვის შედეგია. არ იყო გამორიცხული, რომ ნუსხა-ხუცურით დაწერილ სამართლის წიგნის ხელნაწერში „შეფიცოს ნაშენითა“ გადამწერის დაუკვირვებლობით გადაქცეულიყო გამოთქმად „შეფიცოს ნაბნითა“. ნ. ბერძენიშვილს, როგორც ჩანს, „ნაშენით ფიცი“ საბუთებში არ შეხვედრია, ხოლო ნაბნით ფიცი გვიანი შუა საუკუნეების ერთ საბუთში მაინც იხსენიება.

რაც შეეხება „ნაშენს“, ის ხშირად გვხვდება ქართულ საბუთებსა და ქართული სამართლის ძეგლებში.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით გამოთქმა „ნაშენი“ მიესადაგებოდა პირუტყვისა და ადამიანებსაც, „ნაშენი“ იყო, მაგალითად, პირუტყვის ნამრავლიც.

XII საუკუნეში ბერძნულიდან სომხურად თარგმნეს მესოეთე საუკუნეში შედგენილი სირიულ-რომაული სამართლის წიგნი. მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს სსენებული ძეგლი მოთავსდა ვახტანგ VI განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში და ის ქართულადაც იქნა თარგმნილი.

1. იხ. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თსუ გამ., თბილისი, 1953, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ტექსტი, 140-ე მუხლი, გვ. 339.

სირიულ-რომაული სამართლის წიგნის ქართული თარგმანის 81-ე მუხლში ვკითხულობთ: „ვისაც ცოლს მიჰყუეს ზითევი, ყმა ანუ ცხუარი, ანუ აქლემი, ან ხარა და ფური, ან სხვა რაგინდარა, მასუკან მიეცეს ყმასა შვილი და პირუტყუთაც აშენონ და გამრავლდნენ თუ, ვინ იცის, გაყრა მოხდეს ცოლ-ქმრისა, თავისი ზითევი ყუელა თან უნდა გაიტანოს და რაც ნაშენი მომატებული იყოს, შუა გაიყონ ცოლქმართა“.

ნაშენი ხსენებულ კონტექსტში პირუტყვის ნამრავლს ნიშნავს, პირუტყვის „მისის ნაშენიანად“ გაყოფაზე საუბარი ხსენებულივე ძეგლის 91-ე მუხლშიც.

ვახტანგ VI განკარგულებით შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სავსებით გარკვეულად უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელი ერთმანეთისაგან განასხვავებდა პირუტყვის ნაშენს ადამიანთა ნაშენისაგან, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ „ნაშენი“ ადამიანის შთამომავლობის, მისი ნამატის მიმართაც იხმარებოდა.

1963 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობამ პროფ. ისიდორე დოლიძის რედაქციით დასტამბა სქელტანიანი წიგნი „ქართული სამართლის ძეგლები“ (ტომი I), სადაც მოთავსებულია ბექა მანდატურთუხუცესისა და ალბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნი ე.წ. ბაგრატ კურაპალატის წიგნის ფრაგმენტითურთ.²

ხსენებულ გამოცემაში ი. დოლიძემ 1953 წლის გამოცემისეული — „შეფიცოს ნაშენითა“ — შეცვალა გამოთქმით „შეფიცოს ნაზნითა“, ასე რომ „ქართული სამართლის ძეგლების“ I ტომის მიხედვით შემოსხენებული მუხლი ასე იკითხება:

„თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი ცოლისა გუარსა არას ემართლებს, მისთვის რომე მისსა ხელსა შიგან დამართებია. თუ გაეყაროს, შეფიცოს ნაზნითა, რომე სიძულვილითა არა გაყროდეს და ნახევარი სისხლი დაუურვოს, და დედაკაცი ზითევის ნუ ითხოვს, თუ შვილი დარჩეს“.

ამავე დროს, ი. დოლიძე სქოლიოში მიუთითებს, რომ ორ ხელნაწერში „შეფიცოს ნაზნითა“-ს ნაცვლად იკითხება „შეფიცოს ნაშენითა“.

ე. ი., ფაქტობრივად ორ უძველეს ხელნაწერში ნათლად იკითხება „შეფიცოს ნაშენითა“, მაგრამ გამომცემელს შემოაქვს ჩასწორება „შეფიცოს ნაზნითა“.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ქართული სამართლის ძეგლების“ პირველი ტომის დასტამბვის დროისთვის ი. დოლიძეს არ გააჩნდა ინფორმაცია, რომ „ნაშენი“ ქართულ იურიდიულ საბუთებში შთამომავლის, ნაშიერის მნიშვნელობითაც იხმარებოდა და უფრო მისაღებად ჩათვალა გამოთქმა — „შეფიცოს ნაზნითა“.

შეიძლება მოინახოს საბუთები, სადაც „ნაშენი“ იხმარება შთამომავლის, ოჯახის წევრის მნიშვნელობით. ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი საბუთები 1956 წლისათვის, როდესაც ი. დოლიძე სადოქტორო დისერტაციას იცავდა, გამოქვეყნებული არ იყო და გამოთქმა „შეფიცოს ნაზნითა“ მისაღები ჩანდა.

1974 წელს გამოცემლობა „მეცნიერებამ“ გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები“, სადაც გამოქვეყნებულია XIII-XIX საუკუნეებში შედგენილი საბუთები.³

ხსენებულ „ძეგლებში“ რამდენიმეჯერ გვხვდება „ნაშენი“ ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობით. მაგალითად, XVII საუკუნის მეორე ნახევრის საბუთში, ზემო ქართლის სადროშოს აღწერის დავთარში ვკითხულობთ:

2. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, ი. დოლიძის რედაქციით, თბილისი, 1963, გვ. 468.

3. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები (XIII—XIX ს.ს.), წიგნი II, გამომც. „მეცნიერება“.

„ქ. ქიტუნას შვილი პაატა კუამლი ერთი. მისი ძმა სოზია. ძმისწული მისი ორი, იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი“.⁴

სხენებუღივე გამოცემის სხვა ადგილას ვკითხულობთ „ქ. ძამიას — შვილი პაატა კუამლი ერთი ძმა იმისი პაატა ერთი. იმათი ნაშენი სამი ვაჟი“.

როგორც ზემოთ მოტანილი საბუთებიდან ჩანს, XVII საუკუნის მეორე ნახევარში ზემო ქართლში „ნაშენი“ მამრობითი სქესის ნაშვიერს ნიშნავდა. სხენებუღივე ეკონომიური ისტორიის ძეგლების სხვა საბუთების მიხედვითაც „ნაშენი“ მამრობით სქესის შთამომავალია:

„ქ. წიწქაშვილი ბოგანო გოგია კუამლი ერთი. შვილი იმისი ოთხი სალაშქრო ვაჟით. იმათი ნაშენი ერთი ვაჟი“.

მოვიტანოთ ასეთი საბუთიც: „ქ. ტაბატაძე ზაზუნა კუამლი ერთი, მისი ძმა დათუნა ერთი. იმათი ნაშენი ოთხი ვაჟი“.

სხვაგან ვკითხულობთ: „ქ. შუბითიძე ოთია კუამლი ერთი, ძმა მისი გერმანე ერთი, თამაზა ერთი. იმათი ნაშენი ხუთი ვაჟი“.⁵

აქვე, ერთ მეჩვიდმეტე საუკუნის საბუთში ვკითხულობთ: „ქ. ზაქაძე შიო კუამლი ერთი, მისი ძმისწული ნასია ერთი, ზაქარია ერთი, მახარა ერთი. იმათი ნაშენი ცხრა ვაჟი“.

სხვაგან ამავე საუკუნისავე საბუთში ვკითხულობთ: „ვირშელას — შვილი ვიკოლა კუამლი ერთი, შვილი მისი ოთია, იმისი ნაშენი ოთხი ვაჟი. ორი იმის ნასყიდი სხვის შვილები — ბიჭები“.

როგორც მოტანილი საბუთებიდან ჩანს, არაიშვიათად კომლში ერთად ცხოვრობენ ბიძა-ძმისწულები, ე. ი. ცოლშვილიანი ძმები ერთად განაგრძობენ ცხოვრებას. არ არის გამორიცხული, რომ ზოგჯერ მონათესავე, მაგრამ უკვე გაყრილი ოჯახებიც რაღაც განსაკუთრებული უფლება-მოვალეობებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი. „ნაშენი“ და „სხვის შვილები“ ერთმანეთისგან განსხვავებულები იყვნენ. საინტერესოა გამოთქმაც „ნასყიდი სხვის შვილები ბიჭები“. მოსახლეობის აღწერის დროს ასეთი „ნასყიდი“ მოჯამაგირეების — სხვის შვილების სახელებსაც კი არ იხსენიებდნენ. გამოთქმა „ბიჭებში“ შეიძლება მათი უკანონოდობილებიც იგულისხმებოდეს. როგორც ჩანს, ძველ საქართველოში ნათესავის და ახლობელის ყიდვა იკრძალებოდა. „სხვის შვილებისა“ კი შეიძლებოდა. და რა თქმა უნდა, „სხვის შვილების“ პატივი და ღირსება უფრო დაბალი იყო, ვიდრე „ნაშენებისა“.

თვით ცალკეულ გვარებსა და თემებს შორის ბატონობა-მორჩილებითი ურთიერთობა არ იყო გამორიცხული. იურიდიული ტერმინი „სხვის შვილიც“ ამ ურთიერთობის ნაყოფია.

მოტანილი საბუთებიდან ჩანს, რომ კიკოლა ვირშელის-შვილის ოჯახში მამასთან ერთად ცხოვრობდა მისივე ვაჟიშვილი ოთია, ამ უკანასკნელის „ნაშენი“ იყო ოთხი ვაჟიშვილი.

მოტანილი საბუთები XVII საუკუნისაა და მათში სავსებით ნათლად ჩანს, რომ ამ ხანებში „ნაშენის“ ცნების ქვეშ არა პირუტყვნი, არამედ ადამიანები იგულისხმებოდნენ. კერძოდ, მოტანილი რამდენიმე საბუთის მიხედვით „ნაშენში“ ყოველთვის ვაჟიშვილები იგულისხმებიან. მასასადამე, „ნაშენი“ იხსენიებოდა ოფიციალურ საბუთებში.

„კომლში“ — ოჯახში ზოგჯერ ორი ან მეტი ცოლშვილიანი ვაჟიშვილი ცხოვრობდა, პირობითად შეიძლება ვთქვათ, რომ კომლი და ოჯახი ერთმანეთს არ ემთხვეოდა. კომლში შეიძლებოდა რამდენიმე ოჯახი ყოფილიყო. მოსახლეობის აღწერის

4. იქვე, გვ. 41.

5. იქვე, გვ. 42.



მასალებში ეს კარგად ჩანს. კომლში მცხოვრები ძმების შთამომავლობა, კერძოდ ვაჟიშვილები ნაშენად არის ფიქსირებული. მაგალითად, ვინმე შუბითიძე ოთარ, გერმანეს და თამაზას „ნაშენი“ იყო სუთი ვაჟიშვილი.

ზაზა (ზაზუნა) ტაბატაძე და მისი ძმა დათუნა ერთ კომლად ცხოვრობენ და მათი „ნაშენი“ შეადგენს ოთხ ვაჟიშვილს.

როგორც ჩანს, აღმწერლებს სამხედრო და საფინანსო მიზნით მხოლოდ ვაჟიშვილების აღრიცხვა აინტერესებდათ და ამიტომაც საბუთები ცნობას არ იძლევიან კომლში ქალთა რიცხვის შესახებ;

ზემოხსენებული სამართლის წიგნის ფრაგმენტების გამოთქმა „შეფიცოს ნაშენითა“ შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ ოჯახში მცხოვრები ახალგაზრდები, სრულწლოვანი ვაჟიშვილები როგორც თანამოფიცარები თავდათავ მოფიცართან ერთად ფიცულობდნენ, როგორც თანამოფიცარები.

როგორც ჩანს, გამოთქმა „შეფიცოს ნაშენითა“ გულისხმობდა ქმართან (მოფიცართან) ერთად კომლის წევრ სრულწლოვანი მამაკაცების თანამოფიცრობას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ფეოდალური სამართალი საერთოდ და მათ შორის ქართული ფეოდალური სამართალიც ქალის ფიცს მაინცადამაინც არ ენდობოდა. ვახტანგ VI სამართლის წიგნის 239-ე მუხლის მიხედვით „დედაკაცს არ ეფიცების, არც გარეშე“ კაცი შეეგდების, ამისთვის რომე გარეშეს კაცს არ გაუტყდებდა, არც არას მისის ფიცისას ინაღვლოს. უნდა მოსამართლემ მოუძებნოს, რაც რომ საყვარელი ყუანდეს, ძმა თუ შვილიანი სიძე, ის შეავდოს“.

ცხადია, ასეთი შეხედულება, უნდობლობა ქალის ფიცისადმი მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს არ არის წარმოშობილი. სამართლის წიგნმა შეითვისა ქართული ჩვეულებით სამართალში დიდი ხნის განმავლობაში შემუშავებული და გაბატონებული შეხედულება. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ გამოთქმა „შეფიცოს ნაშენითა“ გულისხმობდა კომლის წევრ სრულწლოვანი მამაკაცების ფიცს თავდათავ მოფიცართან ერთად.

„ნაშენი“ ანუ სრულწლოვანი ვაჟები, საფიქრებელია, კომლის მეთაურის თანამოფიცარები იყვნენ. ისინი ადასტურებდნენ იმ გარემოებას, რომ ქმარი ცოლს უმიზეზოდ, კანონიერი საფუძვლის გარეშე „სიძულილითა“ არ ეყრებოდა. უბრალო სიძულვილი საკმარისი არ იყო კანონიერი განქორწინებისათვის. თუ კაცს სნეულ, ავადმყოფ ქალს შეატყუებდნენ ცოლად, მაშინ ქმარს უფლება გააჩნდა ესარჩლა ცოლის „გვარის“, ე. ი. ახლო ნათესავების მიმართ და განშორებოდა ცოლს კანონიერი საფუძვლით. ხოლო თუ ცოლი გათხოვების შემდეგ ქმრის ხელში დასნეულდებოდა, ქმარი ვალდებული იყო ემკურნალა მისთვის, ექიმების მეშვეობით ცდა არ დაეკლო მისი გამოჯანმრთელებისათვის, და თუ ეს ცდა უშედეგოდ ჩაივილიდა, გარკვეული ვადის შემდეგ განქორწინება დაიშვებოდა.

ჩვენ გვგონია, რომ სამართლის წიგნის ზემოხსენებულ მუხლში ფიქსირებული გამოთქმა „შეფიცოს ნაშენითა“ უკავშირდება მხოლოდ ოჯახის სრულწლოვანი ვაჟიშვილების ერთობლივ თანამოფიცრობას და მასში ქალების ფიცი არ იგულისხმებოდა.

ვფიქრობ, რომ მოტანილი მაგალითი კარგად გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდი სიფრთხილე მართებს მკვლევარს ქართული სამართლის წიგნის რომელიმე მუხლის ჩასწორებისას. აქ ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ისტორიულ-იურიდიული საბუთების მონაცემები, ცოცხალი იურიდიული პრაქტიკის მასალებში ასახული სამართლებრივი ყოფაცხოვრება.



მესანიშნავი საოკოსოები, იზრისპი და მოქალაქე

50 წელი შეუსრულდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს სამბოსა და ძიუდოში, ამჟამად თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეს, ბატონ შენგელი ფიცხელაურს.

თექვსმეტი წლის იყო სპორტული ვოლგოთის როულ გზას რომ შეუდგა და სულ რაღაც ერთ წელიწადში სპორტის ოსტატობა მოიპოვა. ღვთისმომადღებელი ნიჭი და უნარი არასოდეს აკლდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ეს არ კმაროდა, ამიტომ იყო, რომ იგი ყოველთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა შრომასა და სიბეჯითეს. სწორედ ამით მიადწია მან ყველა სპორტულ მწვერვალს — ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი სამბოსა და ძიუდოში, მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორი, თბილისის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის, საფრანგეთისა და იაპონიის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული და კიდევ ვინ მითვლის მის სპორტულ მიღწევებს, თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ 8 წლის განმავლობაში ყოფილი სსრ კავშირის ნაკრების უცვლელი წევრი იყო...

1976 წელს საბოლოოდ გამოეთხოვა აქტიურ სპორტს, მაგრამ საყვარელი ტატამისათვის დღემდე არ უღალატნია — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია და როგორც იტყვიან, კვლავ დიდი სპორტის შუაგულში ტრიალებს.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და იურიდიული ფაკულტეტების დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს, მშობლიური ახმეტის რაიონული განყოფილების უფროსად, შემდეგ თბილისში გადმოდის სამუშაოდ და ჯერ სავაჭრო-სამმართველოს უფროსია, შემდეგ კი თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, ხოლო 1991 წლიდან თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარედ ნიშნავენ.

1994 წელს გააიარა ვარშავის სპეციალური კურსები და მიიღო საერთაშორისო კლასის იურისტის სერთიფიკატი...

როგორც ვხედავთ, ბატონ შენგელის არ აკლია სპორტული თუ სამსახურებრივი რევალიები, მაგრამ მისი ყველაზე დიდი ღირსება კაცური კაცობაა, ის საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული, ასე უხვად რომ აქვს კოლეგების და ახლობლებისაგან. მისი ოჯახი სითბოთი და სიმყუდროვით გამოირჩევა, ღირსეული მეუღლეა ქალბატონ მაიასი და მოსიყვარულე მამა ნინოსი და ნიკასი. პატარა ნიკა, როცა კი მამის სპორტული ნადავლით გავსებულ ვიტრინებს შეაგლებს თვალს, დიდი არჩევანის წინაშე დგება — ვერ გადაუწყვეტია, მამის გზას დაადგეს თუ ცურვით დალაშქროს სპორტული მწვერვალები...

ბატონო შენგელი! გულითადად ვილოცავთ საიუბილეო თარიღს და გისურვებთ, პირად ცხოვრებასა თუ მართლმსაჯულების სამსახურში, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დიდხანს მხნედ დგომას.

საქართველოს იურისტთა კავშირი,
შურნალ „სამართლის“ სარედაქციო კოლეჯია.

4063/3